560 იტერაციის შემდეგ მიღებული იქნა საუკეთესო შედეგი, რომელიც ნაჩვენებია ნახ.2-ზე:



ნახ. 2. სიმულაციის შედეგი SINR გაუმჯობესება

ქსელის ხარისხის მაჩვენებლები

მაჩვენებელი	RSRP	SIR	Bad bins	Distance	Overshooting	Pollution
არსებული	-102,52	1,75	2273	1,42	16,13	0,51
სიმულირებული	-102,26	2,48	2141	1,42	16,00	0,51
გაუმჯობესება	0,25%	41,57%	-5,81%	-0,09%	-0,83%	0,00%

სიმულაციის შედეგმა გვაჩვენა 41%-ით ქსელის ხარისხის გაუმჯობესება, საშუალო სიგნალის დონის უმნიშვნელო ცვლილების დროს, რაც გულისხმობს

სპეციალული ეფექტურობის, გადმოტვირთვის სიჩქარის და მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებას (ცხრილი).

ამრიგად, ფიჭების ავტომატური დაგეგმარების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით განხილულმა ახალმა ალგორითმმა, რომელიც დაფუძნებულია გეოლოგაციაზე, აჩვენა, რომ შემოთავაზებული ალგორითმი მნიშვნელოვნად ამცირებს იტერაციების რაოდენობას და შესაბამისად აუმჯობესებს სისტემის სტაბილურობას.

ფიჭებისა და იტერაციების რაოდენობებს შორის თითქმის ექსპონენტური დამოკიდებულების გათვალისწინებით, დადგენილია, რომ სისტემა განსაკუთრებით სტაბილურია მაშინ, როდესაც მცირე პოლიგონების რაოდენობა არ აჭარბებს 1000x1000.

სმარტფონებიდან მიღებული გაზომვების შედეგების (დაზუსტებული გეოლოგიურის მაჩვენებლების) გამოყენება ფიჭების ავტომატური დაგეგმარების ალგორითმში, აუმჯობესებს პრობლემური ადგილების (ფიჭების) აღმოჩენის სიზუსტესა და შესაბამისად ზრდის ქსელის მომსახურების ხარისხს სხვა არსებულ მეთოდებთან შედარებით, რაც თავის მხრივ ინოვაციური მიღებამა მსგავსი პრობლემის გადასაჭრელად.

ლიტერატურა

1. 3rd Generation Partnership Project (3GPP), TR 32.836 Study on NM Centralized Coverage and Capacity Optimization, Sep., 2012.
2. Gelfand, Izrail Moiseevich, "Calculus of Variations", Dover, Feb. 1963
3. Devlin, Keith, "What Exactly is Multiplication?" Texas, USA Jan. 2011.
4. Xiang, Limin, "A formal proof of the four color theorem", Apr, 2009.
5. Catedra, M. F., Perez-Arriaga, J, "Cell Planning for Wireless Communications", Artech House, Jun. 1999.
6. Jarvis, Leslie A, "Geolocation of LTE subscriber stations based on the timing advance ranging parameter", Dec. 2010
7. Mohammad Reza Pasan dideh, Automatic Planning of 3G UMTS All-IP Release 4 Networks with Realistic Traffic, Jan. 2011
8. Farhana Afroz, Ramprasad Subramanian, Roshanak Heidary, Kumbesan Sandrasegaran, Solaiman Ahmed, SINR, RSRP, RSSI and RSRQ measurements in Long Term Evolution networks, Aug. 2015
9. V. Buenestado, M.Toril, S.Luna-Ramírez, J.M.Ruiz-Avilés, Self-Planning of Base Station Transmit Power for Coverage and Capacity Optimization in LTE, Aug. 2017

SUMMARY

USE OF GEOLOCATION IN 4G AND 5G TECHNOLOGY-BASED SON SYSTEMS

Gogokhia S.Sh. and Abzianidze N.E.

Georgian Technical University

The article presents 4G and 5G SON algorithm. The brute force method has become very inefficient due to the exponential growth of the network elements, which requires very large computational resources and makes it almost impossible to detect and respond to problems on time. Geolocated degradations that are aggregated and sorted on bin levels, allow to predict and exclude parameter values that will deteriorate the quality of the system. This method significantly reduces the number of iterations, which is a key indicator of system efficiency. Increased efficiency allows to focus on cells causing the network performance degradation and allow operators to automatically and timely adjust network settings.

Keywords: geolocation, automation, iteration.


სიმბოლოთაშორისი დამახინჯება, მოდების გაყოფის ხმაშრი და სიმძლავრის ჯარიმის შეზარება გადაცემის ციფრულ პროცესის მიზანის სისტემებში

სვანიძე რ.გ., როსტიაშვილი ნ.რ., ჩხაიძე მ.თ.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ნაშრომებში [1,2] წარმოდგენილი იყო ბიტურ შეცდომათა ალბათობაზე და ენერგეტიკულ პოტენციალზე მოქმედი ფაქტორები და გადაცემის ციფრულ ბოჭკოვანოპტიკური სისტემების (გცბოს) გადამცემში (ლაზერული დიოდი), სახაზო ტრქატში წარმოქმნილი ხმაურები, რომლებიც განეკუთვნებიან სიგნალზე დამოკიდებულ ხმაურებს: მოდალური ხმაური, მოდების გაყოფის ხმაური – MPN (Mode Partition Noise, ფარდობითი ინტენსივობის ხმაური – RIN (Relative Intensity Noise) და სიმბოლოთაშორისი დამახინჯება (ინტერფერენცია, ხმაური – ISI- Intersymbol Interference)

ახლა განვიხილოთ პროცესი, რომლის დროსაც გცბოს სახაზო ტრაქტში გავლისას გადაცემული შეტყობინების იმპულსები განიცდიან დისპერსიას, შედეგად, იმპულსები ფართოვდებიან და ადგილი აქვს იმპულსების ურთიერთგადაფარვას, რაც ხდება სიმბოლოთაშორისი დამახინჯების (I-შდ-ISI) (ინტერფერენციის) მიზეზი. ამდენად, გაფართოებული (დისპერსიონული) სიმბოლოები იკავებენ სატაქტო ინტერვალის (T) ნაწილს (ნახ.1). რაც იწვევს გადაცემული სიმბლავრის გაუარესებას. ITU-T G.957 რეკომენდაცია ადგენს დისპერსიის გამო იმპულსებს შორის ენერგიის გადანაწილების და გადაცემული სიმბლავრის შემცირებას (გაუარესებას), რაც ფასდება სიმბლავრის ჯარიმის სახით.



ნახ.1. სიმბოლოთაშორისი დამახინჯების ილუსტრაცია ოპტიკურ კაბელში ციფრული სიგნალების გადაცემის დროს

როგორც აღინიშნა, სიმბოლოთაშორისი დამახინჯებისას ადგილი აქვს სიმბლავრის გადანაწილებას მოდებს შორის, რის გამოც გადაცემული სიგნალის სიმბლავრე მცირდება, ხოლო მისი შეფასება ხდება ჯარიმის სახით – P_{ISI} (დბ). NRZ ფორმატის სახაზო სიგნალისათვის და სელექტიური SLM (Selective laser melting) ლაზერის გამოყენების შემთხვევაში გამოისახება ფორმულით [2]:

$$P_{ISI} = 5 \log(1 + 2\pi\alpha^2) \quad (1)$$


ხოლო, მიღევა:

$$\alpha = \left(\frac{10^{\frac{P_{ISI}}{5}} - 1}{2\pi} \right)^{0.5} \quad (2)$$


სადაც, P_{ISI} -სიმბოლოთაშორის დამახინჯებით გამოწვეული სიმძლავრის ჯარიმაა, $\varepsilon \equiv \alpha$ მიღევაა, დბ/კბ.

(1) გამოსახულებიდან ჩანს, რომ მიღებული შედეგი არა არის დამოკიდებული ბიტურ შეცდომათა ალბათობაზე, რომელიც აღებულია $BER=10^{-10}$ დროს.

ნახ. 2 მოყვანილია სიმბოლოთაშორისი დამახინჯების გამო სიმძლავრეზე ჯარიმის დამოკიდებულება მიღევაზე – $P_{ISI} = \Psi(\alpha)$



ნახ. 2. სიმბოლოთაშორისი დამახინჯების სიმძლავრეზე ჯარიმის დამოკიდებულება მიღევაზე $P_{ISI} = \Psi(\alpha)$.



ნახ. 3. Q ფაქტორის $Q = \Psi(BER)$ დამოკიდებულება მიღევაზე, მოდური სეგმენტის კოეფიციენტის (k) სხვადასხვა მნიშვნელობებისათვის. $k=0.3; 0.5; 0.7$. მოდური სეგმენტის ხმაურის $P_{MPN}=0.2$ დროს

ამრიგად, როგორც მოსალოდნელი იყო ოპტიკური არხის მიღევა განაპირობებს სიმძლავრის ჯარიმას სიმბოლოთაშორის დამახინჯებაზე.

შედარებისათვის განვიხილოთ მრავალგრძივი მოდიანი MLM (Multi -Longitudine Mode) ლაზერების გამოყენების შემთხვევაში სისტემის ენერგეტიკული პოტენციალის გაუარესება (ჯარიმა სიმძლავრის მიხედვით მოდების გაყოფის ხმაურისთვის (MPN - Mode Partition Noise)). მოდების გაყოფის ხმაური იანგარიშება როგორც [1]:


$$P_{MPN-Jar} = -10 \log_{10} \left\{ 1 - \frac{1}{2} \left[kQ \left(1 - e^{-\pi^2 \alpha^2} \right) \right]^2 \right\} \quad (3)$$

სადაც, K – მოდების გაყოფის (სეგმენტის) ხმაურის კოეფიციენტია; Q – ხარისხის ფაქტორი.


(3) ფორმულიდან განვსაზღვროთ Q -ფაქტორი:

$$Q = \frac{2 \left(1 - 10^{-10 P_{MPN}} \right)}{k \left(1 - e^{-\pi^2 \alpha^2} \right)} \quad (4)$$

ნახ. 3. წარმოდგენილია Q ფაქტორის ($Q = \Psi$ (BER)) დამოკიდებულება მიღებაზე, მოდური სეგმენტის კოეფიციენტის (k) სხვადასხვა მნიშვნელობებისათვის. $k=0,3; 0,5; 0,7$. მოდური სეგმენტის ხმაურის $P_{MPN}=0,2$ დროს. ნახ. 4 მოყვანილია Q -ფაქტორის ($Q = \Psi$ (BER)) დამოკიდებულება მიღებაზე მოდური სეგმენტის კოეფიციენტის (k) სხვადასხვა მნიშვნელობებისათვის ($k=0,14; 0,2; 0,4$). მოდური სეგმენტის ხმაურის $P_{MPN}=0,2$ სიდიდის დროს.




ნახ. 4. Q -ფაქტორის – $Q = \Psi$ (BER) დამოკიდებულება მიღებაზე მოდური სეგმენტის კოეფიციენტის (k) სხვადასხვა მნიშვნელობებისათვის. $k=0,14; 0,2; 0,4$. მოდური სეგმენტის ხმაურის $P_{MPN}=0,2$ მნიშვნელობისათვის




ნახ. 5. $P_{MPN} = \Psi(Q)$ გრაფიკი, როდესაც $Q=6; 7; 7,5; 8$ $K=0,7$; $\varepsilon = \alpha = 0,1$ dB/dB

(3) ფორმულის მიხედვით აგაგოთ გრაფიკი $P_{MPN} = F(Q)$, (ნახ.5), როდესაც $K=0,7$; $\alpha=0,1$ დბ/კბ.

ნახ. 6-ზე წარმოდგენილია $P_{MPN} = \Psi(Q)$ გრაფიკი, როდესაც $K=0,3$; $\alpha=0,05$ დბ/კბ, ხოლო ნახ. 7-ზე მოყვანილია $P_{MPN} = F(\alpha)$ დამოკიდებულების გრაფიკი Q -ს სხვადასხვა მნიშვნელობებისათვის ($Q=6; 7; 7,5$ და $k=0,14$);




ნახ. 6. $P_{MPN} = \Psi(Q)$ გრაფიკი, როდესაც $K=0,3$ $\varepsilon = \alpha = 0,05$ დბ/კბ




ნახ. 7. $P_{MPN} = F(\alpha)$ დამოკიდებულების გრაფიკი, როდესაც, ($Q=6; 7; 7,5$ და $k=0,14$).

ნახ. 8. ნაჩვენებია $P_{MPN} = F(\alpha)$ დამოკიდებულება, როდესაც $Q=6; 7; 7,5$; $k=0,5$;

ნახ. 10. $P_{MPN} = F(\alpha)$ დამოკიდებულება, როდესაც $Q=6; 7; 7,5$; $k=0,14$, ხოლო ნახ. 9. $P_{MPN} = F(\alpha)$ დამოკიდებულება, როდესაც, $Q=6; 7; 7,5$; $k=0,5$




ნახ. 8 $P_{MPN} = F(\alpha)$ დამოკიდებულება, როდესაც $Q=6; 7; 7.5$, $k=0.2$,




ნახ. 9 $P_{MPN} = F(\alpha)$ დამოკიდებულება, როდესაც, $Q=6; 7; 7.5$; $k=0.5$


ნახ. 10 წარმოდგენილია $P_{MPN} = F(\alpha)$ დამოკიდებულება, როდესაც, $Q=6$; $k=0.14$, 0.2 ; ხოლო, ნახ. 11 წარმოდგენილია $P_{MPN} = F(\alpha)$ დამოკიდებულების გრაფიკი, როდესაც $Q=7$; $k=0.14, 0.2$;



ნახ. 10. $P_{MPN} = F(\alpha)$ დამოკიდებულება, როდესაც, $Q=6$; $k=0.14; 0.2$

ნახ. 11. $P_{MPN} = F(\alpha)$ დამოკიდებულება, როდესაც, $Q=7$; $k=0,14$.

ნახ. 12. წარმოდგენილია $P_{MPN} = F(k)$ დამოკიდებულების გრაფიკი $Q=6; 7; 7,5$ მნიშვნელობებისათვის.

ნახ. 12. $P_{MPN} = F(k)$ დამოკიდებულების გრაფიკი $Q=6; 7; 7,5$, $\alpha = 0,2$ დბ/კგ მნიშვნელობებისათვის

ვინაიდან, სიმბოლოთაშორისი დამახინჯების, მოდური სეგმენტის ხმაურის წარმოშობის წყაროები დამოუკიდებლები არიან, ამის გამო, საერთო ჯარიმა სიმბლავრის გაუარესებაზე შეიძლება შევაფასოთ, როგორც სიმბოლოთაშორის სიმბლავრეზე ჯარიმისა და ლაზერის მოდური სეგმენტის ხმაურზე (მოდების გაყოფის ხმაურზე) ჯარიმების ჯამი [3]:

$$P_{ჯარ.საერთო} = P_{isi} + P_{MPN} \quad (5)$$

შენიშვნა: საერთოდ, სიმბლავის ჯარიმა (გაუარესება) მერყეობს 0,5 – 2 დბ ფარგლებში [2], კერძოდ, სიმბლავრის ჯარიმა $P_{isi}=0,5$ დბ; $\alpha=0,203$; $P_{isi}=1,0$ დბ; $\alpha=0,305$; $P_{isi}=2$ დბ; $\alpha=0,491$

საერთო ჯარიმა სიმბლავრეზე გამოთვლილია (5) ფორმულის მიხედვით:

ა) Pisi: როდესაც მიღევა $\alpha = 0,15$ დბ/კბ, მაშინ, $Pisi = 0,25$ დბ, (ნახ.2), $\alpha = 0,3$; $Q=6$, $BER=10^{-9}$.

ბ) P_{MPN} : $\alpha = 0,15$ დბ/კბ, $P_{MPN} = 0,1$ დბ, $K = 0,14$; $Q=6$ (ნახ. 7); ამრიგად საერთო ჯარიმა $P_{ჯარ. საერთო} = 0,15+0,1=0,25$ დბ. ანუ, იმისათვის, რომ მივაღწიოთ ბიტურ შეცდომათა ალბათობას $BER = 10^{-9}$ ($Q=6$), როდესაც $K=0,14$ საერთო ჯარიმა უნდა იყოს $P_{ჯარ. საერთო} = 0,25$ დბ-ის ტოლი.

ამრიგად, სიბოლოთაშორის დამახინჯებაზე ჯარიმა – Pisi და ჯარიმა სიმძლავრის მიხედვით – P_{MPN} მოდების გაყოფის ხმაურზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ გცბოს ხარისხობრივ მახასიათებლებზე: Q -ფაქტორსა და ბიტურ შეცდომათა ალბათობაზე, მის ენერგეტიკულ პოტენციალზე (ბიუჯეტზე) და როგორც მითითებულია [1]-ში აუცილებლად უნდა იქნას შეფასებული და გათვალისწინებული სისტემის ენერგეტიკული პოტენციალის რეზერვის დაპროექტებისა და ექსპლუატაციის დროს. წარმოდგენილი გრაფიკებით შესაძლებელია შევაფასოთ აგრეთვე $Q = \Psi_{(BER)}$ მნიშვნელობის დამოკიდებულება მიღევის და მოდების გაყოფის ხმაურთან მიმართებით.

ლიტერატურა

1. Svanidze R., Rostashvili N. Chincharauli J. Factors affecting the probability of bit errors and energy potential in digital fiber-optic transmission systems. /Scientific enquiry in the contemporary world: theoretical basics and innovative approach. August 20, 2020. Conference Proceedings. B&M Publishing, 2020, San Francisco, California, USA.
2. Svanidze R. Rostashvili N., Chkhaidze M. The probability of bit errors (BER) and the mode of noise division of the transmission laser modes in digital-fiber-optic transmission systems. /Scientific enquiry in the contemporary world: theoretical basics and innovative approach. August 20, 2020. Conference Proceedings. B&M Publishing, 2020, San Francisco, California, USA.
3. Рек. МСЭ-Т, серия Г, добавление 39 (02/2006). СЕРИЯ Г: СИСТЕМЫ И СРЕДА ПЕРЕДАЧИ, ЦИФРОВЫЕ СИСТЕМЫ И СЕТИ.
4. Surachet Kanprachar Dr. Ira Jacobs, Chairman Electrical Engineering Modeling and analysis of the effects of impairments in fiber optic linkshttps://pdfs.semanticscholar.org/8b23/6ff4a50cd73280bb949f8b6e6317a83b5458.pdf

SUMMARY

INTER-SYMBOL DISTORTION, NOISE SPLITTING AND POWER FINE ESTIMATION IN DIGITAL FIBER-OPTIC TRANSMISSION SYSTEMS

Svanidze R.G., Rostashvili N.R. and Chkhaidze M.T.

Georgian Technical University

The paper presents an assessment of penalties for interdisciplinarity distortion (ISI) and noise division (MPN). It has been established that these penalties can have a significant impact on the quality of the heat: Q-factor and the probability of bit errors, its energy potential (budget) and must be assessed and taken into account when designing and operating the energy potential reserve of the system.

Keywords: BER – Bit error rate, MPN -Mode partition noise, RIN -Relative intensity noise, ISI- Intersymbol interference, MLM -Multi longitudine mode.


გადაცემის ციფრული ბოჭკოვან-ოპტიკური სისტემების საკაპელო ხაზების დებრადაცია

სეანიძე რ.გ. ჭინჭარაშვილი ჯ.ი.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

გადაცემის ციფრული ბოჭკოვან-ოპტიკური სისტემების (გცბოს) დანერგვიდან განუწყვეტლად ხორციელდება გცბოს-ის კვანძების და კომპონენტების მახასიათებლების დახვეწა, განახლება და მთლიანად სისტემების მოდერნიზაცია. ამასთან ერთად, სახეზეა გცბოს მოწყობილობა-დანაღვარების დევრადაცია და მისი თანმდევი მოვლენები. რაც დაკავშირებულია ამ კვანძების და კომპონენტების ექსპლუატაციასთან, ფიზიკურ დამველებასთან, რომელთა დადგენა აუცილებელია.

ქვემოთ მოყვანილია გცბოს-ის მონაცემთა ბაზის ბლოკ-სქემა (ძირითადი კვანძების ფუნქციონალური კლემენტების მთებულებები აღწერა და ფიზიკური მახასიათებლები), რომელთა მდგრმარეობა, მახასიათებლები, ექსპლუატაციის პირობები განაპირობებენ ოპტიკური სისტემების დევრადაციას.



ამ მოვლენებს მივყავართ სისტემის მწარმოებლურობის გაუარესებთან, კერძოდ, შესაძლებელია გაიზარდოს ბიტურ შეცდომათა ალბათობის კოეფიციენტის დაგეგმილი მნიშვნელობა, ლაზერის მიერ გამოსხივებული სიმძლავრის სიდიდე, მიმღების მგრძნობიარობა, რეგენერაციული უბნის წინასწარ გათვალისწინებული სიგრძე და სხვა.

გცბოს დაპროექტებისას წინასწარ შესაფასებელია სისტემის ელექტრული და ისეთი მექანიკური მახასიათებლები, როგორიცაა: სიმტკიცე გაწყვეტაზე, სტატისტიკური დაფლილობა, ოპტიკური ბოჭკოების ხანგამძლეობა, სისტემის მდგრადობა [1].


ფიზიკური მექანიზმების და კანონზომიერების ასხნა, რომლებიც წარმოშვებიან სიგნალების გავრცელებისას გცბოს-ის ექსპლუატაციის დროს ტელეკომუნიკაციის სფეროში წარმოადგენს აქტუალურ ამოცანას. ეს ეხება ოპტიკური სიგნალების დანაკარგებს, დისპერსიულ მოვლენებს და არაწრფივ დამახინჯებებს.

აღსანიშნავია, რომ ამ ეტაპზე საქართველოს სატელეკომუნიკაციო სისტემაში ოპერატორი კომპანიების საკუთრებაშია ოპტიკური საკაბელო ხაზები:


- საბორნებო გამანაწილებელი 80 889 კმ
- მაგისტრალური გამანაწილებელი 738 916 კმ
- მაგიტრალური 887 412 კმ
- საქალაქოთაშორისო მაგისტრალური 96 264 კმ

განვიხილოთ მილევასთან დაკავშირებული ოპტიკურ კაბელების დამრადაციის საკითხები.

ნახ. 1 მოყვანილია მილევის დანაკარგების მექანიზმი ოპტიკურ ბოჭკოებში (ობ) ხოლო ნახ. 2 მილევის დამოკიდებულება ობ-ში მიკრო- და მაკროგადაღუნვების ეფექტზე [2].




ნახ.1. დანაკარგების მექანიზმი ოპტიკურ ბოჭკოებში




ნახ.2. ოპტიკურ ბოჭკოების მიკრო- და მაკრო გადაღუნვების ეფექტი

ნახ. 3-ზე წარმოდგენილია დანაკარგების მექანიზმის ილუსტრაცია, საიდანაც ჩანს, მილევის დამოკიდებულება ტალღის სიგრძეზე ობ-ისათვის გადაღუნვით (მოხრით) და გადაღუნვის (მოხრის) გარეშე. ნახ. 4. მოყვანილია ლაზერული დიოდის (ლდ) ვატ-ამპერული მახასიათებლის დამოკიდებულება ტემპერატურაზე. მილევის ტიპობრივი კოეფიციენტები ობ-ში გადაღუნვის (მოხრის) გარეშე და ობ-ში სხვადასხვა სახის (მოხრის) შემთხვევაში.

როგორც ცნობილია, გარდა საკუთარი დანაკარგებისა (მიღევისა) ოპტიკური მაგისტრალების მშენებლობის და ექსპლუატაციის პროცესში დიდი მნიშვნელობა აქვს ოპტიკური კაბელების ინსტალაციას მათი გაყვანის პროცესში, მშენებლობის ნორმებისა და სტანდარტების დაცვას. დადგენილია, რომ დანაკარგების 20%-მდე სწორედ გარე დანაკარგებზე მოდის.



ნახ. 3. მიღევის ტიპობრივი მნიშვნელობები



ნახ. 4. ლაზერული დიოდის ვატ-ამპერული მახასიათებლები მოხრილი და მოუხრელი ოპტიკური ბოჭკოსათვისთვის

მნიშვნელოვანია მიღევები, რომლებიც წარმოიშვება ობ-ის შეერთებების (შეპირდაპირებების) დროს [3]. თანამედროვე შედევების აპარატების გამოყენებით ობ-ის მაღალხარისხეოვანი შედევებისას მიღევა არ უნდა აჭარბებდეს 0,1 დბ; ასევე, მაღალხარისხეოვანი ერთმოდიანი შემაერთებლების (კონექტორების) SC, ST და C გამოყენებისას მიღევა საშუალოდ შეადგენს 0,2 დბს. ამასთან ერთად, არსებული ნორმები მკაცრად უნდა იყოს დაცული ოპტიკური კაბელის გაწყვეტა-აღდგენის დროს, ან მაგისტრალის დაგრძელების შემთხვევაში; რეგენერაციული უბნის ანგარიშისას გათვალისწინებული უნდა იყოს დადგენილი რეზერვი.


ოპტიკური გამომსხივებლები, ოპტიკური მიმღებები აგრეთვე განიცდიან დაძველებას და დეგრადაციას. მათზე მოქმედებს გარემოს ტემპერატურა, სინესტე,

მექანიკური ვიბრაცია და სხვა. მაგალითისათვის მოვიყვანოთ გამოსხივების სიმძლავრის აღგზების დენზე დამოკიდებულება (ვატ-ამპერული მახასიათებელი) ტემპერატურის სხვადასხვა მნიშვნელობის დროს ნაჩვენებია ნახ. 4-ზე [3].

ზოგადად, გცბოს-ის კვანძების ტექნოლოგიების ხარისხი და მაჩვენებლები დღითიდედე იხვეწება. ზოგიერთი კვანძის მახასიათებლის და მუშაობის უნარიანობის ხანგრძლიობის შესაფასებლად საკმარისია მოვიყვანოთ რამდენიმე მაგალითი [2]:

— ოპტიკური ბოჭკო: 1966 წელს ოპტიკური ბოჭკოს მიღევა შეადგენდა 1000 დბ/კმ-ზე; 1970 წელს – 20 დბ/კმ-ზე; 1975 წელს – 2 დბ/კმ-ზე; 1975 წელს – 2 დბ/კმ-ზე; 1976 წელს – გამჭვირვალობის მესამე ფანჯარაში ($\lambda = 1,55 \text{ } \mu\text{m}$) 0,5 დბ/კმ-ზე; 1978 წელს მიღებული იქნა ობ 0,2 დბ/კმ-ზე მიღევით.


— ოპტიკური გამომსხივებელი: 1970 წელს ნობელის პრემიის ლაურეატმა ჯ. ალფიოროვმა დამუშავა ნახევარგამტარული ლაზერების ტექნოლოგია; 1973 წელს ლაზერული დიოდების მუშაობის ხანგრძლიობა შეადგენდა 1000 საათს; 1975 წელს შეიქმნა პირველი კომერციული ნახევაგამტარული ლაზერი, რომელიც მუშაობდა ოთახის ტემპერატურაზე, 1976 წელს ლაზერის მუშაობის ხანგრძლიობა გაზრდილი იქნა 100 000 საათამდე (10 წელი), შემდეგ ეტაპზე მუშაობის ხანგრძლიობა გაზრდილი იქნა 1 მილიონ საათამდე (100 წელი) [2].



ნახ. 5. G.652 A&B სტანდარტის ოპტიკური კაბელების მიღევის მახასიათებლები
ა) 1990 წლამდე ჩადებული; ბ) 2000 წლამდე ჩადებული; გ) 2003 წლამდე ჩადებული

განვიხილოთ კონკრეტული მაგალითები გცბოს-ის სახაზო ტრაქტის ოპტიკური კაბელების ტექნოლოგიური განვითარების დინამიკა მიღევის შემცირების თვალსაზრისით [3]. ნახ. 5. a) და გ)-ზე მოცემულია G.6521990, 2000–2003 წლებში ჩადებული სტანდარტის ოპტიკური კაბელის მიღევის დამოკიდებულება ტალღის სიგრძეზე [3].

ნახ. 6-ზე თვალსაზრისისათვის მოყვანილია სამივე წლის მონაცემების გაერთიანებული ნახაზი, რომლიდანაც ნათლად ჩანს მიღევის შეცირების დინამიკა; მაგალითად, 1400 ნმ ტალღის სიგრძეზე მიღევა 1990 წლის 0,5 დბ/კმ-დან შემცირდა 0,4 დბ/კმ-მდე (2000 წ) და 0,3 დბ/კმ-მდე (2003 წ).




ნახ. 6. მიღევის დამოკიდებულება ტალღის სიგრძეზე ოპტიკურ-ბოჭკოვან კაბელებში. კაბელები ჩადებულია: 1990 წლამდე, 2000 წლამდე, 2003 წელს


ცხრ. 1-ში მოყვანილია მიღევის კოეფიციენტის სტანდარტული საშუალო მნიშვნელობებიდან გადახრის მაჩვენებლებ (დბ/კმ) ოპტიკურ საბაზო ქსელში ტალღური მულტიპლექსირების CWDM აპარატურის ცენტრალური ტალღის სიგრძე (ნმ) ოთხი სხვადასხვა სისტემისათვის (1271,1351,1411 და 1551 ნმ), 1990, 2000 და 2033 წლებში. ცხრ.1-ის მონაცემებიდან ჩანს, რომ მიღევის კოეფიციენტის და სტანდარტული გადახრის საშუალო მნიშვნელობა ოთხივე ტალღდაზე მუდმივად მცირდება. ნახ. 7 ეს დამოკიდებულებები მოცემულია გრაფიკულად.

ცხრ. 1. მიღევის კოეფიციენტის სტატისიტიკა საბაზო ქსელში

CWDM-ის ცენტრალური ტალღის სიგრძე (ნმ)	კაბელები, ჩადებული 1990 წლამდე		კაბელები, ჩადებული 2000 წლამდე		კაბელები, ჩადებული 2003 წელს	
	საშუალო	სტანდ. გადახრა	საშუალო	სტანდ. გადახრა	საშუალო	სტანდ. გადახრა
1271	0,408	0,017	0,392	0,018	0,382	0,005
1351	0,329	0,015	0,307	0,019	0,291	0,004
1411	0,436	0,074	0,348	0,082	0,280	0,016
1551	0,207	0,022	0,194	0,010	0,186	0,003



ნახ. 7. მიღევის დამოკიდებულება ტალღის სიგრძეზე (1271,1351,1411 და 1551 ნმ) ოპტიკურ-ბოჭკოვან კაბელებში. კაბელები ჩადებულია: 1990 წლამდე, 2000 წლამდე, 2003 წელს




ნახ. 8. მიღევის დამოკიდებულება ტალღის სიგრძეზე (1571 და 1611 ნმ) ოპტიკურ-ბოჭკოვან კაბელებში. კაბელები ჩადებულია: 1990 წლამდე, 2000 წლამდე, 2003 წლამდე

ცხრ. 2-ში მოყვანილია მიღევის კოეფიციენტის ცვლილების დინამიკა საბაზო ქსელში ტალღური მულტიპლექსირების CWDM-ის ცენტრალური 1591, 1611 ტალღის სიგრძეებისათვის (ნმ) 1990, 2000, 2013 წლებში, ხოლო ნახ. 8 ამ დამოკიდებულების გრაფიკები.


ცხრილი 2. მიღევის კოეფიციენტის სტატისტიკა საბაზო ქსელში

CWDM-ის ცენტრალური ტალღის სიგრძე (ნმ)	კაბელები, ჩადებული 1990 წლამდე		კაბელები, ჩადებული 2000 წლამდე		კაბელები, ჩადებული 2003 წელს	
	საშუალო	სტანდ. გადახრა	საშუალო	სტანდ. გადახრა	საშუალო	სტანდ. გადახრა
1591	0,211	0,027	0,392	0,018	0,382	0,005
1611	0,220	0,028	0,307	0,019	0,291	0,004

გარდა მიღევის შემცირების ტენდენციისა უმჯობესდება მიღევის საშუალო მნიშვნელობიდან სტანდარტული გადახრის თვალსაზრისით ნახ. 9. (ცხრ. 2)



ნახ. 9. მიღევის მნიშვნელობიდან სტანდარტული გადახრის დამოკიდებულება ტალღის სიგრძეზე; კაბელი ჩადებულია 1990 წლამდე, 2000 წლამდე, 2003 წელს



ნახ. 10. ოპტიკური ხაზის შემხედვი მოსალოდნელი დანაკარგების ალბათობის დამოკიდებულება ხაზის მიღევაზე 1550 ნმ ტალღის სიგრძეზე 20 კმ-ზე მეტი სიგრძის ხაზებისათვის

უმჯობესდება აგრეთვე ოპტიკური ქსელების საერთო მახასიათებლები მიღევის კუთხით. ნახ. 10 წარმოდგენილია 9 ქსელური მომსახურების მიმწოდებელი ოპტიკური კალაქის პირობებში ჩადებული 1550 ნმ ტალღის სიგრძეზე მომუშავე 20 კმ-ზე მეტი სიგრძის 308 ხაზის მოსალოდნელი დანაკარგების ალბათობის დამოკიდებულება ხაზის მიღევაზე 2003–2005 წლებში, რაც ადასტურებს ITU-T G. 695 რეკომენდაციაში მოცემულ მნიშვნელობებს მოცემული პირობებისთვის [3].

ამრიგად, ოპტიკური კაბელების მუშაობის ხანგრძლიობა, რომელიც საშუალოდ შეადგენს 25–35 წელს, ხასიათდება დეგრადაციული მოვლენებით, რომლის დროსაც უარესდება გამომსხივებლის, ოპტიკური ხაზის, ოპტიკური მიმღების მახასიათებლები. რაც მნიშვნელოვნად აუარესებს გცბოს მწარმოებლურობას (ბიტურ შეცდომათა ალბათობას, რეგენერაციული უბნის დაგეგმილ სიგრძეს და სხვა), თუმცა, მიმდინარე ტექნოლოგიური პროგრესის გამო მნიშვნელოვნად გაიზარდა მა-

თი მუშაობის ხანგრძლიობა და ხარისხობრივი მაჩვენებლები. პროგრესია ოპტიკური კაბელების წარმოების მიმართულებით. ამ ეტაპზე თითქმის მიღწეულია ოპტიკური ბოჭკოს მიღევის თეორიული ზღვარი. მიუხედავად ამისა, ოპტიკური კაბელების დეგრადაციის დასაკომპენსირებლად, რომლებიც გამოწვეულია ოპტიკურ კაბელებზე მოქმედი მექანიკური დაზიანებებით და სხვა ფაქტორებით მიღყავართ ოპტიკური სიგნალების მიღევასთან, დისპერსიასთან, არაწრფივ დამახინჯებებთან რაც გააუმჯობესებს მთლიანად გცბოს-ის ხარისხობრივ მაჩვენებლებს და მდგრადობას [4].

ლიტერატურა

1. А.В. Листвин, В.Н. Листвин. Рефлектометрия оптических волокон. Л63-М.: ЛЕСАРпарт, 2005, 208 с.
2. რ. სვანიძე. გადაცემის ციფრული ბოჭკოვან-ოპტიკური სისტემები და ტექნოლოგიები. თბილისი, კავკასიის უნივერსიტეტის ტექნოლოგიური სკოლის გამომცემლობა, 2019 წ., 694 გვ.
3. მამუკა ჩხაიძე. გადაცემის ციფრული ბოჭკოვან-ოპტიკური სისტემების კვლევა. დისერტაცია დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, 2013 წ., 185 გვ.
4. Убайдуллаев Р.Р. Волоконно-оптические сети. -М.: ЭКО-ТРЕНДЗ, 1998, 267 с.
5. რეკომენდაცია МСЭ-Т, серия G, добавление 39 (02/2006). СЕРИЯ G: СИСТЕМЫ И СРЕДА ПЕРЕДАЧИ, ЦИФРОВЫЕ СИСТЕМЫ И СЕТИ.
6. Величко М.А. Уменьшение деградации оптических сигналов волоконно-оптических системах связи. Автореферат диссертации на соискание ученой степени кандидата физико-математических наук. -М., 2009.

SUMMARY

DEGRADATION OF CABLE TRANSMISSION LINES OF DIGITAL FIBER-OPTIC SYSTEMS

Svanidze R.G. and Chincharauli J.I.

Georgian Technical University

The paper presents approaches to assess the degradation of cable fiber-optic systems (TFOS) transmission lines. It has been established that with the deterioration of characteristics due to natural and artificial overlays during the operation of TFOS cells, the optical and mechanical characteristics of TFOS are constantly improved with the introduction of modern technologies, as well as the optical-mechanical characteristics of optical lines. The dynamics of improving the optical fiber, cable, as well as lasers of different standards are given.

Keywords: fiber-optical systems, degradation, transmission line.

შეთანხმების მოდელების შედარებითი ანალიზი

კოტრიკაძე ქ. ო., ყიფშიძე დ. გ.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ბლოკჩეინ სისტემის განხილვაში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი აღგილი უჭირავს ბლოკჩეინ პლატფორმის სწორად შერჩევას. შეთანხმების მოდელები და მათთან დაკავშირებული უსაფრთხოება, შეიძლება ითქვას, რომ წარმოადგენს ყველაზე მნიშვნელოვან ასპექტს, რომელიც მოითხოვს უდიდეს ყურადღებას ბლოკჩეინის პლატფორმის შერჩევის პერიოდში, რადგან სწორედ ეს მოდელები უნარჩუნებენ ავონ-ტურობას ბლოკჩეინ სისტემაში ჩაწერილ მონაცემებს. სისტემა მხოლოდ იმ შემთხვევაში შეძლებს ტრანზაქციების და ჯაჭვის ბლოკების მიმდევრობის დაცვას, თუკი თავდაპირველი გათვლები, რაც ჩადებული იყო სისტემაში სწორია და შეთანხმების მოდელებს შეუძლიათ შეინარჩუნონ მდგრადობა ჩავარდნის ან არასასურველი შეტევის მდგომარეობებში [1].

დღეისათვის, ყველაზე გავრცელებული შეთანხმების მოდელებია: მუშაობის დადასტურება, აქტივების დადასტურება, განვლილი დროის დადასტურება, ბიზანტიურ ჩავარდნებზე მედეგობა, გაერთიანებული ბიზანტიურ ჩავარდნებზე მედეგობა [2-6] და სხვ.

მოვახდინოთ ამ შეთანხმების მოდელების შედარება კატეგორიების მიხედვით (ცხრილი):

ბლოკჩეინის შეთანხმების ალგორითმების შედარება

ბლოკჩეინის ტიპი	დია	ორიგი	ორიგი	დახურული	დია
ტრანზაქციის დასრულება	შემთხვევითი	შემთხვევითი	შემთხვევითი	მაშინვე	მაშინვე
ტრანზაქციის დირექტულება	ცოტა	ბევრი	საშუალო	ბევრი	ბევრი
მონაწილეობის დირექტულება	კი	კი	არა	არა	არა
წევილური ქსელის მასშტაბირებადობა	დიდი	დიდი	დიდი	პატარა	დიდი
ნდობის მოდელი	არა	არა	არა	კი	ნაწილო ბრივი
მოწინააღმდეგის მიმართ მედეგობა	≤25%	დამოკიდებულ ია გამოყენებულ ალგორითმზე	მცირე	≤33%	≤33%

იმისათვის, რომ უკეთ გავიაზროთ მოცემული ცხრილი, მოვახდინოთ ცხრილში მოცემული კატეგორიების ანალიზი შესაბამისი თანმიმდევრობით:

ბლოკჩეინის ტიპი – ბლოკჩეინის ტიპი განსაზღვრავს ბლოკჩეინის პლატფორმის ტიპს – ლია (სადაც ნებისმიერ მომხმარებელს შეუძლია შემოუერთდეს) ან დახურული (ახალი მომხმარებლის დამატება ხდება მხოლოდ გარკვეული წესების მიხედვით).

ანალიზი. მაგალითად, მუშაობის დადასტურება და გაერთიანებული ბიზანტიურ ჩავარდნებზე მედეგობის მოდელები შექმნილია კონკრეტულად ლია პლატფორმებისთვის, სადაც შემოერთება ნებისმიერი მსურველისთვის არის შესაძლებელი. იდეაში, მათ დახურული ტიპის ბლოკჩეინშიც შეუძლიათ მუშაობა, თუმცა არაეფექტური იქნებიან.

ტრანზაქციის დასრულებადობა – განსაზღვრავს, რომ მას შემდეგ, რაც ტრანზაქცია შეუერთდა ბლოკჩეინის ბლოკს, შეიძლება ის ჩავთვალოთ თუ არა დასრულებულად.

ანალიზი. მუშაობის დადასტურებაზე და განვლილი დროის დადასტურებაზე დაფუძნებული შეთანხმების მოდელები დგანან იმ რისკის წინაშე, რომ შესაძლოა ერთდროულად ბევრი ბლოკის გამომუშავება განხორციელდეს მოდელში ლიდერის არჩევის წესიდან და ქსელში არსებული შეყოვნებებიდან გამომდინარე. იმის გამო, რომ ამან შეიძლება გამოიწვიოს ბლოკჩეინში სხვადასხვა განშტორებების ფორმირება და მათგან ერთი უკვე ხდება არსებულის გაგრძელება, ის ტრანზაქციები, რომლებიც უკვე დადასტურდა, ხელახალი გამოოვლებიდან ვარდება. ამას მიყვავართ შემთხვევითი ტრანზაქციების დასრულების მოდელამდე, სადაც მომხმარებლებმა უნდა დაიცადონ შედარებით დიდხანს, სანამ ტრანზაქცია დადასტურდება და დასრულდება.

აქტივების დადასტურების შემთხვევაში, დროებით განშტორებებს შეუძლიათ პარალელურად იარსებონ მცირე დროით, თუკი ვალიდატორები ამ დროს ერთმანეთის პარალელურად აძლევენ ხმას სხვადასხვა განშტორებებზე, რათა გაზარდონ მიღებული ჯილდოს ოდენობა. ასეთ სისტემებში ჯაჭვი, რომელსაც ყველაზე მეტი აქტივი დაუჭერს მხარს, ჩაჯდება საბოლოო რგოლად. სხვა მოდელებში, სადაც დასრულება მყისიერად მიმდინარეობს, როგორც კი ტრანზაქცია ჯდება ბლოკში, ის დადასტურდება და იქიდან ადარ ამოვარდება.

მონაწილეობის დირექტულება – სისტემაში მონაწილეობისთვის, სისტემის ოპერატორების მიერ განსაზღვრული დირექტულება.

ანალიზი. მუშაობის დადასტურება და აქტივების დადასტურება ავტომატურად გულისხმობენ ამ დირექტულებას შეთანხმებაში მონაწილეობის მისაღებად. მონაწილეობის დადასტურება მოითხოვს დიდი ოდენობის ენერგიას, რომელიც აუცილებელია დადასტურების მოსაპოვებლად. აქტივების დადასტურება კი მოითხოვს, რომ ნოდებმა წინასწარ შეიძინონ გარკვეული ოდენობის კრიპტოვალუტა უსაფრთხოების დეპოზიტისთვის, იმისათვის, რომ პლატფორმის მართვაში მიიღონ მონაწილეობა.

წყვილური ქსელის მასშტაბირებადობა – შეთანხმების მოდელების მასშტაბირებადობა არის მათი უნარი მიაღწიონ შეთანხმებას მაშინ, როდესაც წყვილური ნოდების რიცხვი გამუდმებით იზრდება.

ანალიზი. ჩვენს მიერ განხილული მოდელების უმეტესობაში, გარდა ბიზანტიურ ჩავარდნებზე მედეგობის და მისი ვარიაციებისა, ჩანს მასშტაბირების მაღალი მაჩვენებლები. რაც შეეხება ამ უკანასკნელს, რეკომენდირებულია, რომ შეთანხმების ქსელში წყვილთა კავშირები არ იყოს 20-ზე მეტი. წყვილების რაოდენობის 20-ზე მეტად გაზრდით იმატებს ქსელში გაცვლილი მესიჯების რაოდენობაც, რასაც საბოლოოდ არასასურველ შედეგებამდე მიყვავართ.

ნდობის მოდელი – ნდობის მოდელი განსაზღვრავს, შეთანხმებაში მონაწილე სისტემები, ანუ ნოდები უნდა იცნობდნენ ან ენდობოდნენ თუ არა ერთმანეთს.

ანალიზი. მუშაობის დადასტურების, აქტივების დადასტურების და განვლილი დროის დადასტურების ალგორითმების შემთხვევაში, ნოდები შეიძლება იყოს არასანდო, რაღაც შეთანხმების მისაღწავად გამოყენებულია სხვა ისეთი საშუალებები, როგორებიცაა გამოოვლითი სამუშაოები ან უსაფრთხოების დეპოზიტები. მანამ, სანამ

ქსელში მონაწილეობა 25–50%-ზე მეტი არ იქცევა მოწინააღმდეგებ (შემზევად), შეთანხმების მექანიზმს არაფერი ემუქრება.

ბლოკჩინი სისტემებში, რომლებიც იყენებენ ბიზანტიური ჩავარდნების მედებობის მოდელებს, ნოდების წყვილები ერთმანეთს უნდა იცნობდნენ და უნდა იყენენ სისტემაში დარეგისტრირებულები, თუ უნდათ, რომ შეთანხმებაში მიიღონ მონაწილეობა. ნოდები შეიძლება დაინიჭიცირდნენ ვირუსით ან ქონდეთ ხარვეზები პროგრამულ კოდში, მაგრამ მანამ, სანამ ასეთი მონაწილეების ოდენობა 33%-ზე ნაკლებია, შეთანხმების პროცესები ხელშეუხებელი რჩება. გაერთიანებული ბიზანტიურ ჩავარდნებზე მედეგობის შეთანხმების მოდელში, თითოეული ნოდი ზრუნავს იმაზე, რომ თავის სანდოობის სიაში იქნიოს ყველა სანდო ნოდი.

მოწინააღმედებების მიმართ მედეგობა – ეს არის მოლიანი ქსელის ის წილი, რომელიც შეიძლება აღმოჩნდეს არაკეთილმოსურნის ხელში, მაგრამ ამის მიუხედავად, შეთანხმებაში არაფერი შეიცვალოს. შეთანხმების თითოეულ მოდელს აქვთ მოწინააღმდებების მიმართ მედეგობის კონკრეტული ზღვარი.

ანალიზი. მოწინააღმდებების მიმართ მედეგობის მხრივ ყველაზე მაღალი მაჩვენებელი გააჩნიათ ბიზანტიურ ჩავარდნებზე მედეგობის და გაერთიანებულ ბიზანტიურ ჩავარდნებზე მედეგობის შეთანხმების მოდელებს, ხოლო აქტივების დადასტურების შემთხვევაში, მისი პროცენტულობა იცვლება გამოყენებული ალგორითმის შესაბამისად.

ზემოთ განხილული ცხრილის ანალიზი ცხადყოფს, რომ ბლოკჩინი სისტემა შედგება მრავალი ურთიერთდამოკიდებული კომპონენტებისაგან და როდესაც შეგვეძლება აასუხი გავცეთ ისეთ კომპლექსურ კითხვებზე, როგორებიცაა: სისტემისავის წაყენებული წარმადობა უფრო მნიშვნელოვანია ჩვენთვის, თუ დაცულობა, მასშიაბირებადობა თუ სანდოობა – მხოლოდ ამის შემდეგ უნდა მოხდეს შეთანხმების მოდელების და ალგორითმების შერჩევა.

ლიტერატურა

1. C. Herweijer, D. Waughray, S. Warren. Building Blockchains for a Better Planet. /World Economic Forum, Cologny, Geneva, September 2018, pp 10-11.
2. <https://cointelegraph.com/explained/proof-of-work-explained>
3. <https://blackcoin.org/blackcoin-pos-protocol-v2-whitepaper.pdf>
4. L. Chen, L. Xu, N. Shah, Z. Gao, Y. Lu, W. Shi, On Security Analysis of Proof-of-Elapsed-Time, Stabilization, Safety, and Security of Distributed Systems: /19th International Symposium, Boston, MA, USA, November 5–8, 2017, pp.284-286
5. K. Lei, Q. Zhang, L. Xu, Z. Qi, Reputation-Based Byzantine Fault-Tolerance for Consortium Blockchain, /ICPADS, Singapore, December 2018, pp. 605-606
6. <https://towardsdatascience.com/federated-byzantine-agreement-24ec57bf36e0>

SUMMARY

CONSENSUS MODELS COMPARATIVE ANALYSIS

Kotrikadze K.O. and Kipshidze D.G.

Georgian Technical University

Consensus models used by well-known blockchain platforms are mostly tailored to the specific platform requirements and challenges. For the most part, open platforms reach an agreement between multiple pairs of participants, or nodes using computing power, memory load, which, of course, acts on the performance of the consensus algorithm. On the other hand, the possibility of scaling in closed-platform blockchains is relatively small, but it provides much faster agreement capabilities. When discussing blockchain as a business solution, it is important to consider the size of the network, the connections between network participants, productivity, and security before we decide to use this or another model.

Keywords: analysis, consensus, model, blockchain

ავტომობილის საპიდარში უსარგებლოდ გაბერული მექანიზმი მნიშვნელოვნების
ელექტროენერგიად გარღამნის პროცესში გამოიყენება

ზიგზაგაძე ო.გ., ზიგზაგაძე ბ.ლ., კაჭახიძე ი.ს., გეგურაძე ა.ჭ., პაპიძე ზ.ა.

აკაძი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი

ავლევებით დადგენილია, რომ გზის საფარისგან აღძრული დატვირთვები, რომლებიც საკიდრის გავლით გადაეცემა ავტომობილის ჩარჩოს და შემდეგ ძარას და/ან კაბინას წარმოადგენს საკამაოდ დიდ ენერგიას [1-3], რომელიც უსარგებლოდ იკარგება და მისი გამოყენება მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს ავტომობილის ეკონომიურობას. დაკვირვებებისა და მოძიებული მასალების ანალიზით დადგინდა, რომ უფრო მოხერხებული იქნება ამ ენერგიის ელექტროენერგიად გარდაქმნა და მისი საშუალებით ელექტროაკუმულატორების დამუხტვა, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნას სხვადასხვა დანიშნულებით.

ამ მიზნით საკიდარში ამორტიზატორი ჩანაცვლდა ახალი ამორტიზატორ ელექტროგარდამქნელით, რომელსაც შესწევს უნარი არ მარტო ჩანაცვლოს ამორტიზატორი, არამედ საკიდარზე მოსული დატვირთვები გარდაქმნას ელექტრო ენერგიად. საკიდარში წარმოქმნილი ენერგია წარმოადგენს კიმეტიკური და პოტენციური ენერგიების ჯამს და წარმოდგება შემდეგი სახით:

$$P_k + P_p + R = Q \quad (1)$$

სადაც P_k – კინეტიკური ენერგია; P_p – პოტენციური ენერგია; R – დისიაბაცია (თბური, ხასუნი და სხვა); Q – გზის უსწორმასწორობის დაძლევაზე დაკარგული ენერგია.

$$P_k = \frac{mv^2}{2} \quad (2)$$

$$P_p = \frac{C}{2 \cdot x^2} \quad (3)$$

$$R = \frac{Kv^2}{2} \quad (4)$$

$$Q = h \cdot \sin(\omega t) \quad (5)$$

სადაც m – ერთ თვალზე მოსული წონაა; v – დრეკადი ელემენტის გადაადგილების სიჩქარეა; C – საკიდარის დრეკადი ელემენტის სიხისტეა; x – დრეკადი ელემენტის დეფორმაციის სიდიდეა; K – საკიდარში ჩამხრობი კოეფიციენტია; h – გზის მიკროპროფილის სიმაღლეა; ω – კუთხეური სიჩქარეა; t – დრო.

მაშინ (1) განტოლება წარმოდგება შემდეგი სახით:

$$\frac{Mv^2}{2} + \frac{C}{2 \cdot x^2} + \frac{Kv^2}{2} = h \sin(\omega t) \quad (6)$$

ექსპერტების მოსაზრებებით $15 \div 20$ წლისადმი მოსალოდნელია თხევად სავზე მომუშავე ავტომობილების სრული ჩანაცვლება ელექტრომობილებით, რაც კიდევ უფრო აქტუალურს ხდის ავტომობილის საკიდარს, როგორც ელექტროენერგიის აღტერნატიულ წყაროს, რაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს ავტომობილის ეკონომიურობას და საინტერესოს გახდის ფართო სამომხმარებლო ბაზრისათვის.

ავტომობილის საკიდარში ახალი ამორტიზატორ ელექტრო გარდამქნელის გამოყენების დადებითი მხარეებია:

- არის ენერგიის განახლებადი წყარო;
- არ აბინძურებს გარემოს გამონაბოლქვი აირებით;
- ამცირებს ელექტროაკუმულატორებზე დამოკიდებულებას;

- ამაღლებს ენერგოუსაფრთხოების დონეს;
- იაფია (უკუგების პერიოდის შემდეგ);
- ავტომობილს აქვს კარგი სვლის სიმდოვრე და იქნება უფრო კომფორტაბელური;
- საკიდრის ახალი ამორტიზატორის ცვალებადი მახასიათებლის გამო კონსტრუქცია არ შედის რეზონანსში;
- ქმნის კონკურენციას საავტომობილო ბაზარზე.

თუმცა ამორტიზატორ ელექტრო გარდამქნელიანი საკიდრის გამოყენებას ექნება უარყოფითი მხარეებიც, როგორებიცაა საკიდარის კონსტრუქციის გართულება და მისი ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად ავტომობილის ჩარჩოსთან სპეციალური, სახსრული დამაგრების საჭიროება, მაგრამ აქამდე უსარგებლოდ გაძნეული ენერგიის სასარგებლოდ გამოყენების პერსპექტივა ბევრად უფრო მნიშვნელოვანია და ტექნიკის ფილოსოფიიდან გამომდინარე, ამართლებს ახალი ფუნქციური დანიშნულებით ახალი მოწყობილობის გამოყენების საჭიროებას.


ავტომობილებში ფართოდაა გავრცელებული ავტომობილის საკიდარის ორი ძირითადი ტიპი: რესორული და ზამბარული (ანუ, სპირალურ ზამბარიანი). ამ ორი ტიპის საკიდრებს ურთიერთმიმართ გააჩნიათ უპირატესობები და შესაბამისად — ნაკლოვანებებიც. კერძოდ, რესორული საკიდრები კარგად მუშაობენ დიდ დატვირთვებზე რთულ საგზაო პირობებში (და შემოთავაზებული ავტომობილის ამორტიზატორ ელექტროგარდამქნელიანი საკიდარისათვის ეს მნიშვნელოვანია), როგორც ენერგიის წყაროები, ხოლო ზამბარული საკიდრები კარგად მუშაობენ მცირე დატვირთვებზე — კარგ საგზაო პირობებში (საქალაქო და საქალაქო შორისო კეთილმოწყობილ გზებზე) და არ წარმოადგენენ მნიშვნელოვან ენერგიის წყაროებს.

ახლად გამოგონილი ავტომობილის საკიდარის უნიკალური კონსტრუქციული თავისებურებიდან გამომდინარე შედეგით — კერძოდ, ვიბრაციებში ენერგიის გაბნევის მკვეთრი შემცირებით, შემოთავაზებული პროდუქტი მექანიკური რხევების ენერგიას გარდაქმნის ელექტროენერგიად მაღალი მარგი ქმდების კოეფიციენტით; ასევე, ძალური დანადგარი (ელექტრო-გენერატორი და მქნევარა), პიროსკოპული ეფექტით, საკიდარში ასრულებს საპირტონის როლს, რითაც განტვირთავს მას განივ-კუთხური და გრძივ-კუთხური რხევებისაგან, ხოლო საყრდენ ზედაპირზე (ავტომობილობის ჩარჩოზე) მკვეთრად შეამცირებს ვერტიკალურ რხევებს (ანუ, შეასრულებს ამორტიზატორის ფუნქციასაც), რის შედეგადაც მიიღება სრულიად ახალი პროდუქტია, რაც გარდა იმისა, რომ გაზრდის ავტომობილში ელექტროენერგიის მოხმარების ეფექტურობას, ამავე დროს, გამოიწვევს საკიდარის საექსპლოატაციო ხანგამდლების გაზრდას. ამასთან, ავტომობილის ახალი საკიდარის საყრდენის კინემატიკა, კერძოდ ავტომობილის ჩარჩოსთან სახსრული კავშირი, განაპირობებს მის კინემატიკურ დამყოლობას ვერტიკალურ სიბრტყეში, ხოლო მქნევარა და ელექტრო-გენერატორი — დინამიკურ დამყოლობას ცვალებად დინამიკურ დატვირთვებთან შესაბამისობაში. საბოლოოდ კი, დინამიკური დატვირთვების მინიმიზაციის შედეგად, საყრდენს ძირითადად გადაეცემა მექანიკური რხევებიდან ათვისებული ენერგიის რეაქტიული ძალებისაგან გამოწვეული სტატიკური დატვირთვა — ანუ, მქნევარას აჩქარების წინააღმდეგობა, მინიმალური დინამიკური მდგენელით.

კვლევის სიახლეა ავტომობილის ამორტიზატორ ელექტრო გარდამქნელიანი საკიდარი, რომელიც შეიცავს ელექტრომაგნიტურ გენერატორს, თვლის მორგვზე დამაგრებული დგარის ჩარჩოსთან დამაკავშირებელ დრეკად ელემენტს და მის ასაძრავად დგარსა და ჩარჩოს შორის მოთავსებულ ე.წ. ბზრიალას/ზიკორს, შესრულებულს ხრახნულ გადაცემაზე (ხრახნი-ქანჩი) დასმული მქნევარას სახით.


ავტომობილის ამორტიზატორ-ელექტრო გარდამქნელიანი საკიდარი შეიცავს (ნახ. 1-4) ელექტრომაგნიტურ გენერატორს 1, თვლის 2 მორგვზე 3 დამაგრებული დგარის 4 ჩარჩოსთან 5 დამაკავშირებელ დრეკად ელემენტს 6 (მოცემულ შემთხვევაში, რესორს), მის ასაძრავად დგარსა 4 და ჩარჩოს 5 შორის მოთავსებულ ციბრუტს, შესრულებულს ხრახნულ გადაცემაზე (ხრახნი 7 და ქანჩი 8) დასმული მქნევარას 9 სახით, რომლის ქანჩი 8 დამაჩქარებელი გადაცემით კინემატიკურად (კი-

ლანების 10 და 11 წყვილით) დაკავშირებულია ელექტრომაგნიტურ გენერატორთან 1, ხოლო ბზრიალას ჩარჩოსთან დაკავშირება შესაძლებელია სახსრით 12.



ნახ.1. ავტომობილის რეკუპერაციული საკიდარი გრძივ ჭრაში:

h – ავტომობილის გერტიკალური რხევები; ω – მქნევარას წრიული რხევები; V – ავტომობილის გადაადგილების სიჩქარე



ნახ.2. ავტომობილის რეკუპერაციული საკიდარი ფრონტალურ ხედში:


1 – ელექტრომაგნიტური გენერატორი; 2 – თვალი; 3 – უღელაკი; 4 – დგარი; 5 – ჩარჩო; 6 – დრეკადი ელემენტი (რესორი); 7 – ხრახნული გადაცემა მქნევარათი



ნახ.3. რეკუპერაციული საკიდრის საერთო ხედი



ნახ.4. ავტომობილის რეკუპერაციული საკიდრის ფრონტალური ხედი დამაჩქარებელი გადაცემით



ნახ. 5. რეკუპერაციულ საკიდარში რხევითი პროცესების საანგარიშო დინამიკური სისტემის კინემატიკური სქემა

პირველი რიგის ამოცანად დასახულია საკიდრის დრეკად ელემენტი აგუმულირებული ენერგიის სიდიდის დადგენა, რისთვისაც მიზანშეწონილია შეიქმნას საკიდრის ექვივალენტური საანგარიშო სისტემა (მათემატიკური მოდელი). ცნობილია, რომ ავტომობილებში წინა და უკანა ხიდების საკიდრების ურთიერთ გავლენა იმდენად მცირეა, რომ შეიძლება ისინი განხილულ იქნას დამოუკიდებლად, ცალ-ცალკე. ასევე, ცალ-ცალკე შეიძლება განვიხილოთ მარჯვენა და მარცხენა თვალი და საკიდარი თავისი წონებით, თუკი ჩავთვლით, რომ დარესორებული და დაურესორებული წონები შეფერხულია ერთ წერტილში. ამ დაშვებებით, შესაბამისი კინემატიკური სქემით (ნახ.5) ერთ თვალზე დაყვანილი მერხევი დინამიკური სისტემის მათემატიკური მოდელი აღწერილია მეორე გვარის დიფერენციალური განტოლებების სისტემით:

$$\begin{aligned} m_1 \ddot{z}_1 + K_1 (\dot{z}_1 - \dot{z}) + C_1 (z_1 - z) &= 0 \\ m \ddot{z} + K(\dot{z} - \dot{q}) + C(z - q) - K_1 (\dot{z}_1 - \dot{z}) - C_1 (z_1 - z) &= 0 \end{aligned} \quad (7)$$

სადაც m – დაურესორებული მასაა; m_1 – დარესორებული მასა; z – დაურესორებული მასის გადადგილება; z_1 – დარესორებული მასის გადადგილება; C – საბურავის სიხისტე; C_1 – საკიდარის სიხისტე; K – სალტის დემფერება; K_1 – საკიდრის დემფერება; q – გზის მიკრო პროფილის ორდინატი.

ჩვენთვის საინტერესოა (7) განტოლება და კერძოდ, ამორტიზატორის მიერ შთანქმული ენერგია - $K_1 (\dot{Z}_1 - \dot{Z})$. თუ მას აღვნიშნავთ N -ით, მაშინ

$$N = K_1 (\dot{Z}_1 - \dot{Z}) \quad (8)$$

ამ ენერგიის სიდიდე დამოკიდებულია K_1 ამორტიზაციის კოეფიციენტზე და $(Z_1 - Z)$ – დარესორებული და დაურესორებული მასების გადადგილებათა სხვაობაზე. ჩვეულებრივ ჩახშობის კოეფიციენტი K_1 ავტომობილების საკიდრებისათვის მუდმივია, გარდა იშვიათი გამონაკლისისა, ანუ იგი ძირითადად დამოკიდებულია $(Z_1 - Z)$ გადადგილების სიდიდეზე. ხოლო, თუკი დროის ერთეულში შესრულებული ციკლების რაოდენობა იქნება n და სრულ ენერგიას აღვნიშნავთ $N_{\text{სრ}}\text{-ით}$, მაშინ

$$N_{\text{სრ}} = n N = n K_1 (\dot{Z}_1 - \dot{Z}) \quad (9)$$

სწორედ ამ ენერგიის გარდაქმნაა შესაძლებელი ელექტრო ენერგიად, თუკი საკიდარში ამორტიზატორის ნაცვლად ჩავყენებთ ახალ ამორტიზატორ ელექტრო გარდამქმნელს (ნახ.1), რომელიც შეითავსებს ამორტიზატორის ფუნქციასაც და ამავე დროს ამორტიზატორის მიერ შთანთქმულ მექანიკურ ენერგიას გარდაქმნის სასარგებლო ელექტრო ენერგიად, რომელიც გამოყენებული იქნება სხვადასხვა მიმართულებით: აკუმულატორთა ბატარეიების დასამუხტავად, განათების სისტემაში, კონდიცირებაში, რადიო და ტელევიზიის კვებაში და ა.შ. აღნიშნული ამორტიზატორ ელექტრო გაედამქმნელი შესაძლებელია იყოს ორი სახის: ერთი როგორც ზემოთ არის განხილული (ამორტიზატორ ელექტრო გარდამქმნელი) და მეორე, როდესაც როტორი ჩანაცვლდება ჩარჩოთი, რომელიც სტატორში შეასრულებს წინსვლით-უკუსვლით მოძრაობით, მისი მ.ქ.კ. იქნება უფრო დაბალი, მაგრამ კონსტრუქციულად იქნება უფრო როტული, ძვირად ღირებული და ნაკლებად ხანგამდე ექსპლუატაციაში, ასევე იმუშავებს მხოლოდ კუმულატე. ხოლო მეორე, რომელიც წარმოდგენილია სტატორში წინსვლით-უკუსვლითი მოძრაობით, მისი მ.ქ.კ. იქნება უფრო დაბალი, მაგრამ კონსტრუქციულად იქნება უფრო მარტივი, იაფი

და უფრო ხანგამძლე ექსპლუატაციაში, ასევე იმუშავებს ორივე მიმართულებით, როგორც კუმულატივ, ასევე აღდგენაზე.

სრულ მექანიკურ ენერგიასა N_ს და გარდაქმნის შედეგად მიღებულ ელექტრო ენერგიას N_{ელ} შორის იქნება შემდეგი დამოკიდებულება

$$N_{ელ} = j N_{ს} \quad (10)$$

სადაც, j არის კოეფიციენტი, რომელიც ითვალისწინებს დანაკარგებს მექანიკური ენერგიის ელექტრო ენერგიად გარდაქმნისას.

ამრიგად, შემოთავაზებულია ახალი რეკუპერაციული მოწყობილობა, რომელსაც შესწევს უნარი არა მარტო ჩანაცვლოს ამორტიზატორი, არამედ საკიდარზე მოსული დატვირთვები გარდაქმნას ელექტრო ენერგიად. დამუშავებულია მათემატიკური მოდელი და შედგენილია განტოლებათა სისტემა, რომლის ამოხსნა იძლევა შესაძლებლობას განისაზღვროს ავტომობილის საკიდარში გაბნეული ის ენერგია, რომელიც უსარგებლოდ იკარგება გარემოში და დაგინდეს, თუ მისი რა ნაწილი გარდაიქმნება ელექტრო ენერგიად, რაც წარმოადგენს შემდეგი კვლევის მიზანს.

კვლევა განხორციელდა „შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამუცნიერო ფონდის მხარდაჭერით [გრანტის ნომერი CARYS-19-2345]“

ლიტერატურა

1. Ротенберг Р.В. Подвеска автомобиля. – М.: Машиностроение, 1972, 392 с.
2. Яценко Н. Н. Прутчиков О. К. Плавность хода грузовых автомобилей. –М., Машиностроение, 1969, 220 с.
3. ქაჯახიძე ისიდორე. მისაბმელიანი ავტომობილის კერტიკალური და ჰორიზონტალური რევენტის შემცირება რაციონალური საბუქსირე მექანიზმების დამუშავების გზით. დისერტაცია. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ქუთაისი, 2015 წ.

SUMMARY

PROSPECTS FOR CONVERTING MECHANICAL ENERGY WASTED IN THE VEHICLE SUSPENSION INTO ELECTRICAL ENERGY

Zivzividze O.V., Zivzividze B.L., Kachakhidze I.S., Geguchadze A.Ch. and Papidze Z.A.

Akaki Tsereteli State University, Kutaisi

The shock absorber in the suspension has been replaced by a new recuperative device that converts the loads transferred to the suspension from road surface irregularities into electric energy.

Keywords: mechanical energy, car suspension, electric energy.

ANALYSIS OF CODE TESTING AND LONG TERM RELIABILITY FOR INTERNET OF THINGS COMPONENTS

Kvirkvelia Sh.V, Kvernadze S.A. and Beridze J.L.

Georgian Technical University

Abstract. Considering some effects and faults of various electronic components, in long run perspectives, some software for Internet of things devices may prove unreliable. Financially, for some types of devices, making electronics that never fail might be inefficient. When it comes to using higher-level languages for programming microcontrollers, most of the programmers are left confused when sometimes software starts behaving randomly. Hardware faults are not common, but they happen. Sometimes a single hardware fault, in device's transmitter's component, can cause device to lose network connection and stay so until the components are restarted and renegotiated. This paper will try to describe some common aspects of hardware faults and some software solutions to them. Mathematical model for estimation Internet of things of device reliability is also presented.

Keywords: internet, code, model, software, hardware.

1. Introduction

Internet of things is new technology and it has complex architecture consisting of many different parts both hardware and software. The importance of reliability is vital for services offering via Internet of things. The importance of reliability is vital for services offering via Internet of things. Because of structure of nodes and network specific characteristics, software and hardware reliability have close relations. Mostly in research papers they are considered as independent. We present approach and suppose dependency of software and hardware reliability especially device wear out phase. It is also very important to predict or check faults in early phase for this Chebyshev inequality and its confidence probability methods are proposed. For increasing reliability majoring principles are suggested for IOT devices or its vital parts.

2. General software testing types for IOT

Despite the large number of research works that attack specific problems related to the design and development of IOT applications and services, a general software engineering approach is still missing [1]. Custom software require an advanced testing approach, far beyond just simple Workflow debugging. IOT's should be bound, but not limited to the next types of software testing [2]:

- Workflow Testing - Scripted end-to-end testing techniques which simulates specific workflows which are expected to be utilized by the end-user. This kind of testing is necessary for all kind of fields.... it can be both manual and automated.
- Error-Handling Testing - Software testing type which determines the ability of the system to process properly erroneous transactions.
- Interface Testing - Methods to evaluate whether systems or components pass data correctly to one another.
 - Loop Testing - A white box testing technique that check possible program loops.
 - Fault injection Testing - Element of a comprehensive test strategy that enables the tester to concentrate on the manner in which the application under test is able to handle exceptions.
- Scalability Testing - Part of non-functional testing which tests a software application for measuring its capability to scale up - be it the user load supported, the number of transactions or the data volume.
 - Load Testing - Testing technique that puts demand on a system or device and measures its response. It is usually conducted by the performance engineers.
 - Stability Testing - Testing technique which attempts to determine if an application will crash.
 - Stress Testing - Testing technique which evaluates a system or component at/or beyond the limits of its specified requirements. Useful for evaluating of possible hardware faults
 - Fuzz Testing - Software testing technique that provides invalid, unexpected or random data to the inputs of a program.

- Penetration Testing - Testing method which evaluates the security of a computer system or network by simulating a cyber attack. Usually this is conducted by specialized penetration testing companies.

- Vulnerability/Security Testing - A process to determine that an information system protects data and maintains functionality as intended. Type of testing which regards to application security and has the purpose to prevent problems which may affect the application integrity and stability. This also may include maintenance concepts.

This list may not be complete, but fits in almost every IOT device scenario.

3. Component's Interface fault

Hardware tends to fail. When this happens unexpected dataflow between components at bridge-interfaces may occur. This “unexpected dataflow” can be just some random data stream or even total silence. Due to unexpected data, bad software design may cause whole device to malfunction. Error-Handling Testing comes as crucial prerequisite at end state of Interface coding. While coding Interface logic, we would recommend to always have headers, acknowledgments, timers and CRC error-detecting code no matter what, unless the data is analog or non-diverse... Due to variety of IOT components, negotiation between interfaces are required. Some of the interface’s low level protocols are standardized and require just setting the correct parameters. A simple example will be Serial Interface that uses variable bit rates. Serial ports use two-level (binary) signaling, so the data rate in bits per second is equal to the symbol rate in baud [2]. Bit rates commonly supported include 75, 110, 300, 1200, 2400, 4800, 9600, 19200, 38400, 57600, 9600 and 115200 bit/s. In order to make the interface compatible for both sides, we need to set same baud rates at the interface ends. If for any reason, lets say hardware fault, the baud rate changed on one back end of the interface and didn’t change on the other, the communication between the components may fail until next reboot of the device.




Fig. 1. Common code workflow

Data may be received corruptly. A simple piece of code could fix this, but higher-level language programmer may tend not to keep in mind hardware errors. IOT components are tend to be cheap and some of them don't even have way of programming them, they are pre-coded. An example would be some Wireless modules that connect to IOT device via interface. In this case negotiation code is required from the programmable backend to communicate with the module. It is important to put renegotiation code as well. It is just in case when Wireless module gets rebooted by accident due to hardware fault, for example, some voltage drop. IOT devices are relatively new and non proprietary. There are common protocols developed with standardization in mind, unfortunately, full standardization still not achieved. When making a device or a system it is important to design robust software that can handle different kinds of hardware problems. Fig. 1 demonstrates a common software workflow. When the components loose synchronization, they stop communicating until device is restarted. This design lacks robustness. Fig. 2 address this issue by adding a synchronization check.




Fig. 2. Robust code workflow

4. Reliability

Software reliability is “the probability of failure-free operation of a computer program for a specific time in a specific environment” [4]. It’s true that hardware don’t fail that frequently, but it may be very annoying when it do. Components tend to wear out and with that the probability of hardware faults increase. Faulty hardware can create an unexpected data for our software to handle. If our code is not robust, software errors may increased as well. Reliability has always been centered on computer hardware, i.e. how durable is a component of a printer, keyboard, etc. yet, the same cannot be said about software systems. Standards of measuring reliability of hardware focus on “wearing out process ses” [5]. When making a device it goes through different lifetime phases. At early development phase, hardware tend to have a good physical condition. Simple Workflow Testing may

be not enough here. If we want our devices reliability to last, we need to **do** different kind of testing. Fig.3 shows dependency between Hardware-software errors and exploitation time.




Fig.3. Simple Workflow Testing's fault results

A fault or bug is a defect in software that has the potential to cause the software to fail. An error is a measured value or condition that deviates from the correct state of software during operation. A failure is the inability of the software product to deliver one of its services[6]. It is important to design a code that will parse any unexpected data with according action. With Fault injection Testing techniques we can simulate errors that don't happen at early development phase. Making a software that doesn't rely on hardware state is the key component for reliability. Hardware errors cause extra software errors. The total amount of errors increase and probability of fatal error increase as well. Fig. 4 show how a robust design software's fault rate should depend on lifetime of a device.




Fig.4. Robust software fault results

Software reliability is a statistical concept, i.e. assuming availability of a large number of identical samples, tests [7]. The mathematical model of reliability gives poor result at low failure rate.

Most models are difficult to use, as they require knowledge of software characteristics that can be calculated only after prolonged use [8]. The accuracy obtained in the statistical process using the example of measuring the probability of error in receiving information, one can estimate using the well-known Chebyshev inequality [9].

$$L \geq \frac{1}{4\Delta p(1-p)} \quad (1)$$

Where L is the required number of experiments $\Delta p = P^{\text{true}} - P^{\text{estimated}}$ Maximum Difference between the true value probability P^{true} of error by its estimation $P^{\text{estimated}}$ (confidence interval): P-The probability of fulfilling the condition $|P^{\text{true}} - P^{\text{estimated}}| \leq \Delta p$ (confidence probability).

Fault rate $\lambda(t)$ is one of most comfortable indicator for hardware device. probability can expressed as [10].

$$p(t) = \exp \left[\int_0^t \lambda(t) dt \right] \quad (2)$$

Software probability is expressed as

$$p(t) = e^{-\lambda(t)} \quad (3)$$

If IOT devices consist n main and m reserved components (both software and hardware) Probability of unmistakable work $P(t)$ can be determined as the probability of that in time t will happen m mistake

$$p(t) = \sum_{k=0}^m C_{m+n}^k P^{m+n-k}(t) [1 - P(t)]^k \quad (4)$$

where k is the number of device normal states.

If we use majoring principles for the IOT devices or vital parts of this device, for l-times majoring and if $m+n=l$, $m=(l-1)/2$ we get absolutely reliable devices and this reliability can be expressed as

$$p(t) = \sum_{k=0}^{\frac{l-1}{2}} C_l^k P^{l-k}(t) [1 - P(t)]^k \quad (5)$$

5. Code Security

Most security exploits come from components receiving data and then parsing it. This kind of data often go into variables, they are called “Inputs”. Compilers and programming modules optimize the software code and change some aspects of its logic, that could be completely different from what a high-level language programmer might expect. Reviewing a code is always good idea, but for security reasons Fuzz Testing is essential. Testing should be implemented on every single Input in your program. Another aspect of security would be possibility to remotely listen for sensitive, private data that are transmitted over public channels. This part of IOT is relatively more standardized and only require implementation. Hashing and encrypting critical data is essential. Testing of this part is usually only conducted by specialized penetration testing companies and is irrelevant for general IOT device’s software design. Custom implementations is possible, but highly unadvisable.

6. Conclusion and future works

This paper attempts to analyse, predict and show software and hardware relationship for internet of things devices. More applicable software testing types for internet of things is listed. As case some hardware and network problems that we think influence on software reliability is analyzed. Simple Workflow Testing’s fault and Robust software fault results graphs for early development, mid and device wear out phases are presented.

For future we are going to develop algorithm for fast and early detection software, hardware and correlated faults. As a base for this algorithm we consider Chebyshev inequality and combinatorial probability mathematical model as little was presented in our current work.

REFERENCES

1. Franco Zambonelli Towards a Discipline of IOT-Oriented Software Engineering <http://ceur-ws.org/Vol-1664/w1.pdf>
2. <https://www.guru99.com/types-of-software-testing.html>
3. https://en.wikipedia.org/wiki/Serial_port#Settings
4. Musa, J. Software Quality and Reliability Basics. AT&T Bell Laboratories. 1987, 1 (1), pp. 114-115.
5. Elspas, B; Green, M; Levitt, K. Software Reliability. Computer Science Group. 1 (1), 2006, pp.1-7.
6. Cobra Rahmani, Harvey Siy, Azad Azadmanesh An Experimental Analysis of OpenSource Software Reliability* <https://pdfs.semanticscholar.org/1264/9d0ca9cc0101b6b3573d9c389f631dbd9ab8.pdf>
7. E. P. Pavlenko, V. A. Aivazov. Indicators and methodology for assessing the reliability of the software of information systems. //Scientific Journal «ScienceRise» №5/2(34)2017.
8. Xunov T.X. Analysis of reliability prediction models software tools. New Information Technologies in Automated Systems, 2016.
9. Mikhailov G.A., Voytishek A.V. Numerical and Statistical Modeling: Methods of Monte Carlo -M.: Academy 2006, 370 p. (Russian Edition).
10. Goriachevi A., Shikevich A. Microprocessors, Information-computing systems. -Tbilisi, Ganatleba, 1989, 150 p.

РЕЗЮМЕ

АНАЛИЗ ТЕСТИРОВАНИЯ КОДА И ДОЛГОВРЕМЕННАЯ НАДЕЖНОСТЬ ДЛЯ КОМПОНЕНТОВ ИНТЕРНЕТА ВЕЩЕЙ

Квирквелиа Ш.В., Квернадзе С.А., Беридзе Дж.Л.

Грузинский Технический Университет

В соответствии с некоторыми эффектами и неисправностями различных электронных компонентов, в дальнейшем перспективе, некоторое программное обеспечение Интернета Вещей может оказаться ненадежным. В финансовом плане, для некоторых типов устройств, создание электроники, которая никогда не портится, может быть неэффективным. Когда доходит до использования высокого уровня программирования микроконтроллеров, большинство программистов в недоумении, поскольку программное обеспечение начинает вести себя случайным образом. Неисправности физических устройств происходят не часто, однако имеют место. Иногда, одна физическая неисправность в компоненте передатчика устройства может вызвать потерю сети, и оставаться в этом режиме до тех пора пока компоненты не будут перезапущены, и не произойдёт процесс переговоров. В этой статье попробуем описать некоторые аспекты физических неисправностей и решения посредством программного обеспечения, также присутствует математическая модель оценки Интернета Вещей устройства надежности.

Ключевые слова: Интернет, код, модель, программное обеспечение, аппаратура.

ခေါ်မျက်လျှို့ အာရာဇ်ဝပ်ပါဝဲ ပုံစံပုဂ္ဂန်များ အသေးစိတ် ဖြစ်ပါသည်။

მსეიძე ო.რ., ჭოხონელიძე გ.ი., ბაშარ მ. ამეენ აბდულლაჲ ალ-იმამ

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

საქართველო წარმოადგენს როული გეოგრაფიული რელიეფის მქონე ქვეყანას, სადაც ახალი მიწების ათვისება, მაგისტრალური სატრანსპორტო გზების, სამრეწველო და საცხოვრებელი კომპლექსების მშენებლობა და ა.შ. ხშირად ფერდობებზე და კალთებზე ხორციელდება, სადაც ადგილი აქვს გრუნტის ცოცვადობით გამოწვეულ ბუნებრივ გადაადგილებებს და მეწყერულ მოვლენებს. ამიტომ მათი მდგრადობის უზრუნველსაყოფად საჭირო ხდება სხვადასხვა ტიპის შემაკავებელი და დამცავი კონსტრუქციული სისტემების მოწყობა. არსებობს ძირითადი ფაქტორები, რომლებიც აკონტროლებენ დედამიწის ზედაპირზე მომხდარი მეწყერის ტიპს: ფერდობის გრადიენტი მაჩვინებელი, ფერდობების კონსოლიდაცია, წყალი, სიმაღლე და ა.შ. [1,2].

საქართველოში მრავალი კვლევა ჩატარებული მეწყრული რისკის შესაფასებლად.

ქ. თბილისის რელიეფის გეომორფოლოგიური ფორმები დაკავშირებულია თრიალეთის ქედის ჩრდილო-აღმოსავლეთ ქედის დაბოლოებასთან, რომელიც მცირე კაგასიონის როზული მთიანი ჯაჭვის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია. მდ. მტკვარი ორ ნაწილად ყოფს უფრო ამაღლებული მარჯვენა სანაპიროდ და მნიშვნელოვნად დადაბლებული მარცხენა სანაპიროდ. მარჯვენა სანაპირო ხასიათდება უმთავრესად მიმართულების ამაღლებებისა და დეპრესიების მონაცელებით. მარცხენა სანაპირო მორფოლოგიით განსხვავდება მარჯვენა სანაპიროსგან. ხასიათდება უფრო რბილი რელიეფით [3].

თბილისის და მისი შემოგარენი მნიშვნელოვანი სიმძლავრის დანალექ-ფლი-შური და ვულკანოგენური ნალექებითაა წარმოდგენილი. ქვედა ეოცენი – მიეკუთ-ვნება აჭარა-ორიალეთის ნაოჭა სისტემას, ნალექები წარმოდგენილია თხელშრეებ-რივი დევროლითების, ალევროლითების, ალევრელითური თიხების, და ა.შ. შუა ეოცენური ნალექები თბილისის ტერიტორიის სამხრეთ ნაწილში თელეთისა და სეიდაბადის ქედების აგებულებაში მონაწილეობენ, ამ ნალექების კარგი ჭრილები გვხვდება დაბახანის ხეობაში, ავლაბრის სერებზე და მეტების ხიდთან. ზედა ეოცენი გავრცელებულია თბილისის ტერიტორიაზე. საკვლევ რაიონში გავრცელებული ზედა ეოცენური ნალექები ორ წყებად იყოფა, ნავთლუდის ბითუმის შემცვლელი წყება, ანუ ქვედა თევზებიანი პორტონხეტი პირველი წყება ხასიათდება თხელშრეებრივი ალევ-როლითების, წვრილმარცვლოვანი ქვიშაქვების და ა.შ. ნუმილიტიანი, ანუ თბილისის წყება. ზედა ეოცენური ნალექების მეორე შემადგენელი ერთეული „ნუმილიტიანი თბილისის“ წყება კარგად არის წარმოდგენილი მამადავითის მთაზე [3].

აღნიშნულიდან შეიძლება დაგასკვნათ რომ ქ. თბილისი ეკუთვნის მთაგორიან სისტემას და ბუნებრივია, რომ მეწყრული პროცესების განვითარების ყოველგვარი წინაპირობებია.


დიდ დიღომში მუხათგვერდის მეწყერი განვითარდა მუხათგვერდის სასაფლაოსკენ მიმავალ გზაზე. დიდი დიღმის დეპრესიის აღმოსავლეთის მხრიდან ფრაგმენტულადაა გავრცელებული მდინარე მტკვრის მარჯვენა ნაწილზე წყალზედაპირ გელი.

ვინაიდან მეწყრული სხეული ძირითადად თიხაფიქლებისგან არის წარმოდგენილი. მათი პლასტიკურობის რიცხვი 17-ზე მეტია, რაც სახსტანდარტის ნორმებით თიხებს მიეკუთვნება. თიხური ფრაქცია ჰიდროქარსებითა და მონგრორილონიტით არის წარმოდგენილი. ბუნებრივ პირობებში, ზედა ზოლში თიხაფიქლების გრუნტის სიმტკიცის მაჩვენებლები – შიგახახუნის კუთხე (Φ) იცვლება ($16-18$) 0 ფარგლებში, ხოლო კუთრი შეჭიდულობა (C) შეადგენს ($0,10 - 0,32$) კგ/სმ 2 . ქვედა ზოლში კი აღნიშნული მაჩვენებლები ასეთია: $\Phi = (5 - 12)$ 0 , $C=(0,10 - 0,15)$ კგ/სმ 2 . თიხაფიქლები სასიათვება მათალი კამდგვარობის კონკირინტით და დეფორმაციის მოდულის დაბა-

ლი მნიშვნელობით. ეს მონაცემები ნათლად მიუთითებს, რომ სველი თიხაფიქლები საერთოდ თავისი თვისებებით მიეკუთვნება სუსტ გრუნტებს [4].


მეწყრის წარმოშობა ყოველთვის დაკავშირებულია წყლის მოქმედებასთან. ჩვენ შემთხვევაშიც მეწყრის წარმოქმნა ძირითადად გამოწვეულია წყლის მოქმედებასთან. ხშირია შემთხვევები, რომ ფერდობის დაქანება ხელოვნურად იცვლება ადამიანის ზემოქმედების შედეგად. ამრიგად, ფერდობის ქანების გაზრდამ და ზედაპირული წყლების გააქტიურებამ გამოიწვია მუხაოვანერდის მეწყრის წარმოქმნა.

ტერმინი „მეწყრი“ გამოიყენება მრავალფეროვანი პროცესების აღსაწერად, რაც იწვევს ნიადაგისა და კლდოვანი ფენის გადაადგილებას როდესაც ნიადაგისა და კლდოვანი ფენის ძვრის დეფორმაცია აჭარბებს სიმტკიცის ზღვარს (ნახ. 1) [5].



ნახ.1. ნიადაგისა და კლდოვანი ფენის ძვრის დეფორმაციის დამოკიდებულება სიმტკიცის ზღვარზე

დიდი პრაქტიკული გამოყენებით სარგებლობს „პორიზონტალური ძალების მეთოდი“, რომელიც სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილია როგორც მასლოვ-ბერერის მეთოდი. ეს მეთოდი მდგრმარეობს შედეგში: მოსალოდნელ მეწყრულ მასივს ყოფენ ცალკეულ ნაკვეთურებად და განიხილავენ თითოეული ნაკვეთურის ზღვრული წონასწორობის პირობას. აღგენერი დამჭერი და მძვრელი ძალების სიდიდეს თითოეული ნაკვეთურისათვის და შემდეგ მთელი მასივისათვის. დამჭერი და მძვრელი ძალების ფარდობა მოგვცემს ფერდობის მდგრადობის მარაგის კოეფიციენტს (ნახ. 2).



ნახ. 2. მეწყრული სხეულის დაყოფა

მეთოდის გამოყენების პრინციპი მკაფიოდ იკითხება მისი საანგარიშო სქემიდან, რომელიც წარმოდგენილია რომ:


$$H = g \operatorname{tg}\alpha$$

$$T = H - E = g [\operatorname{tg}\alpha - \operatorname{tg}(\alpha - \Psi)]$$

$$K = [\sum T_i / \sum \pm H_i]$$

სადაც, K არის ფერდობის მდგრადობის კოეფიციენტი; T – ხახუნისა და შეჭიდულობის ძალების მნიშვნელობა ყოველი ბლოკისათვის გადაადგილების ზედაპირზე; H – განბრჯენი, რომელიც გამოითვლება ყოველი ბლოკისათვის; E – განბრჯენის მდგენელი; g – საანგარიშო ბლოკის მასა; α – ფერდობის ნაკვეთურის ძირის (ფუძის) დახრა პორიზონტთან; Ψ – ძვრის კუთხე; c_i , Φ_i – შესაბამისად გრუნტის მასივის შეჭიდულობის და შიგა ხახუნის კუთხის მნიშვნელოვანი ნაკვეთურის ძირზე [6].

რაც ნიშნავს, რომ მეწყერი არამდგრადია და იგი მოითხოვს მეწყრული მასის ადგილზე გამაგრებას მასის თვისებების გაუმჯობესებით. მეწყრული ფერდობის გამაგრებასთვის, რომ სტაბილურობის კოეფიციენტი 1-ზე ნაკლებია, შემდეგ ახალი ტიპის საყრდენის კედელის მოდელი გამოვიყენეთ. (საყრდენის კედელის ზომა, + 3,5 მ სიმაღლე, საყრდენის კედლის სიგანე ზემოდან არის 0,5 მ და ქვემოდან 0,6 მ, ხიმონჯების სიგრძე (5,0) მ, კვადრატი ხიმინჯების (0,6*0,6) მ, მანძილი ხიმინჯებს შორის 3,0.



ნახ.3. საყრდენი კედლის მოდელი

ჩვენ გამოვთვალეთ საყრდენი კედლის სტაბილურობა როგორც მოცურების სტაბილურობა და გადატრიალების სტაბილურობა, და დავადგინეთ, რომ მოცურების სტაბილურობის უსაფრთხოების ფაქტორი არის 1,38 და უსაფრთხოა, ხოლო გადატრიალების სტაბილურობის ფაქტორი – 1,27 და უსაფრთხოა. უსაფრთხოების ხორმალური ფაქტორია 1,25 – 2. ფერდობის სტაბილურობის კოეფიციენტი გაიზარდა 0,77-დან 1,32-მდე და ეს უფრო მეტია (1,0), ეს ნიშნავს, რომ ფერდობის სტაბილურობა ახლა უსაფრთხოა ცხრილი 1 და 2.

მოცურების სტაბილურობის დამაგრების კედლის გაანგარიშებისთვის, პორიზონტალურმა ხიმინჯები დაამატა 4,32 ტ, როგორც წონა და 15,46 ტ, როგორც ხახუნის ძალა ნიადაგსა და ხიმინჯების შორის, ეს ნიშნავს, რომ გაზრდის ძალების წინააღმდეგობას საყრდენი კედლის გამაგრების 44,7% წინააღმდეგობის მთლიანი ძალებიდან, და საყრდენი კედლის გადატრიალების სტაბილურობის გაანგარიშებისთვის, პორიზონტალური ხიმინჯების დაემატა წინააღმდეგობის მომენტი საყრდენი კედლის გადატრიალების სტაბილურობის 9,44 ტ.მ (ხახუნსა და ნიადაგს შორის ხახუნა) და 4,75 ტ.მ (პორიზონტალური ხიმინჯების დატვირთვა) და 3,56 ტ.მ (გერგიკალური ტენიანი ხიმინჯზე), ეს ნიშნავს, რომ მომენტები გაზრდის გადატრიალების სტაბილურობის საყრდენის კედლი, დაახლოებით 87%.

ცხრილი 1. მუხაობერდის მეწყრის კოეფიციენტი საანგარიში ცხრილი
 (სიმჭიდროვე) $\gamma = 1,8 \text{ ტ/გ}$; (გრუნტის შიგა ხახუნის პუთხე, გრადუსებში) $\varphi = 6^\circ$;
 (გრუნტის პუთხური შეჭიდულობაა) $C = 0,1 \text{ კგ/ს}^2$

ცხრილი 2. მუხათგერდის მეწყრის პოეფიციენტი საანგარიში ცხრილი
საყრდენი კედლის სიმაღლე = + 3,5 მ (სიმჭიდროვე) $\gamma=1,8$ ტ/მ³;
(გვრის ძაბვების რეზისტენციის) $\varphi = 6^\circ$; (გრუნტის კუთხეური შეჭიდულობა) $C = 0,1$ კგ/სმ².

დასკვნები

- ქ. თბილისი გეომორფოლოგიურად წარმოადგენს მთაგორიანი ქვეყნის ნაწილს და ამიტომ, როგორც უკელა მთაგორიან წვეული, მეწყრული პროცესები საკმაოდ არის განვითარებული.
- ქ. თბილისში მეწყრული პროცესების განვითარების ძირითადი მიზეზი ტექნოგენური წყლებია. ამიტომ მეწყრულ ზონებში მკაცრად უნდა იქნეს დაცული ტერიტორიები ტექნოგენური წყლებისგან.
- საყრდენი კედლის გამოყენება მეწყერის კოეფიციენტს გაზრდის 0,77-დან 1,32-მდე და გახდება უსაფრთხო.

ლიტერატურა

1. Ancuța R., Daniel O. and Paulică R. Analysis of the Landslide Movements. //International Journal of Geology , Issue 3, Volume 1, p.71, 2007.
2. თ. თავაძე. ფერდოების და კალთების მდგრადობის უზრუნველყოფის საინჟინრო გადაწყვეტები. თბილისი, სტუ, დისერტაცია დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, 2014.
3. 6. ბახტაძე. შენობის ფუძის გაძლიერება დაწნებება-შეწნების მეთოდით. დისერტაცია დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად. თბილისი, სტუ, 2014.
4. Bowles Joseph E. Foundation analysis and design, ifth edition, McGraw-Hill , 1997, pp. 29-35.
5. Cruden, D.M. A simple definition of a landslide. /Bulletin International Association for Engineering Geology, 43: 27-29 , 1991.
6. Маслов Н.Н. Механика грунтов в практике строительства. (Оползни и борьба с ними). - М.: Стройиздат, 1977, сс. 266-269.

SUMMARY

SUPPORT OF LANDSLIDE SLOPES USING A NEW TYPE OF RETAINING WALL

Mkheidze O.R., Chokhonelidze G.I. and Bashar M.Ameen Abdullah Al-Imam

Georgian Technical University

Tbilisi city and its surroundings are a geologically divided territory, in which the river Mtkvari located in the middle of the city. Mukhatgverdi landslide developed in Didi Digomi on the way to Mukhatgverdi cemetery. Landslide origin is always related to the action of water. Thus the increase of slope rocks and the activation of surface waters led to the formation of the Mukhatgverdi landslide. When a landslide is unstable and it requires the landslide mass to be support by improving the mass properties. To support the landslide slope with a stability coefficient of less than 1, we used a new type of retaining wall model. The landslide slope stability has increased from 0.77 to 1.32 and became safe.

Keywords: landslide, retaining wall, model.

**მათემატიკური მოდელირების ინფებრიტება საავიაციო ჟაზრთხოვების
უზრუნველყოფისათვის**

ალანია დ.ლ.

საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი

საავიაციო უსაფრთხოება განისაზღვრება, როგორც ავიაციის საქმიანობაში უკანონო ჩარევისაგან დაცულობის მდგომარეობა. უკანონო ჩარევა ავიაციის საქმიანობაში [1] – უკანონო ქმედებები (უმოქმედობა), საფრთხეს უქმნის საავიაციო საქმიანობას, რის შედეგადაც ხდება ავარიები, ადამიანის სიცოცხლის ხელყოფა, ქონების დაზიანება, თვითმფრინავის გატაცება ან ამგვარი შედეგების საფრთხე.

თუ საავიაციო უსაფრთხოებას განვიხილავთ, როგორც სამეცნიერო კვლევის საგანს, უნდა აღინიშნოს, რომ მოცემულ ეტაზზე ორიენტირებული ვიქენებით საავიაციო უსაფრთხოების უზრუნველყოფის პრობლემაზე, ანუ კვლევის საგანია უზრუნველყოფის საშუალებები (ტექნიკური, ეკონომიკური, სამართლებრივი, რესურსი და სხვა).

ბოლო წლების ტენდენციას წარმოადგენს საავიაციო უსაფრთხოების უზრუნველყოფის საკითხები განიხილებოდეს მისი დონის ოპტიმალური მართვის თვალსაზრისით, მიღებული დავალებების იდენტიფიცირების თანამიმდევრული გადაწყვეტილ და გაზომვით. ამ მიმართულებით მიღებული შედეგების ანალიზი ცხადყოფს ფორმალიზაციის პრობლემაზე [2] გადასვლის აუცილებლობას, რომელსაც უზრუნველყოფს მათემატიკური მოდელირება საავიაციო უსაფრთხოების მართვის პროცესის ოპტიმიზაციის მიზნით.

ამისათვის კვლევაში, საავიაციო უსაფრთხოება ნაჩვენებია, როგორც რაღაც მდგომარეობა, რომელიც უკავშირდება საკვლევი ობიექტის გარკვეულ პარამეტრებს, რომელთა რაოდენობრივი მაჩვენებელი დინამიკაშია გარე და შიდა ფაქტორების გავლენით, ობიექტის ფუნქციონირების თვალსაზრისის გათვალისწინებით, მისადგებ საზღვრებში რჩება. ამავე დროს, გარემო ფორმირდება ობიექტების დაცვის საშუალებით, რომლებიც წარმოადგენს ტექნიკური და სხვა ფუნქციონალური ელემენტების გარკვეულ ნომეკლატურას [4], რომლებიც უზრუნველყოფენ შიდა და გარე საფრთხეების გამკლავებისთან დაკავშირებულ დავალებების შესრულებას.

დაცვის ობიექტის მდგომარეობის რაოდენობრივი გამოსახვა საავიაციო უსაფრთხოების თვალსაზრისით წარმოადგენს მოწყვლადობის ცნებას, რომელიც თავის მხრის წარმოადგენს საჭარო ტრანსპორტის ინფრასტრუქტურის ობიექტების [5] უსაფრთხოების ხარისხს და შეფასებულია, როგორც დაცვის მახასიათებლების შესაბამისობა დადგენილ მოთხოვნებთან. ასევე ცნობილია თვისებების ცნება, რომელიც განიხილება, როგორც თანდაყოლილი მახასიათებლების, მოთხოვნებთან შესაბამისობის ხარისხი. ამ შემთხვევაში შეიძლება ითქვას, რომ საგნის უსაფრთხოების მახასიათებლების ხარისხი, გარკვეული შეზღუდვებით და შეიძლება განისაზღვროს, როგორც მოწყვლადობის საპირისპირო სიდიდე.

აქედან ვაკეთებთ მნიშვნელოვან დასკვნას: საპარტო ტრანსპორტის ინფრასტრუქტურის ობიექტების დაცვის ხარისხი არის გარემოს პარამეტრი, რომელიც უზრუნველყოფს ობიექტების დაცვას. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, არსებობს სამოქალაქო ავიაციის ობიექტების დაცვის გარკვეული წარმოსახვითი ველი, რომელიც უზრუნველყოფს წინააღმდეგობის გაწევას არსებული ან სავარაუდო საფრთხეების მთლიანობასთან, რომლის კონტროლირებადი პარამეტრი არის დამცავი საშუალებების ხარისხი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ამ ეტაზზე დგება საკითხი – მათემატიკური მოდელირებით [6], შესაძლებლობების შეფასების გათვალისწინებით

გამოყენებულ იქნეს ავიაციის საქმიანობაში უკანონო ჩარევების საწინააღმდეგო პარამეტრების ფორმულირებისათვის.

შემოთავაზებული მოდელი განეკუთვნება კიდურა ამოცანების კლასს, რომელიც აღიწერება დიფერენციალური განტოლებებით კერძო წარმოებულებში. უნდა აღინიშნოს, რომ ამოცანის შემოთავაზებული ლინგვისტური დაყენება და მითუმეტეს, მოწყვლადობის სტრუქტურულ-ლოგიკური მოდელი, საკმაოდ არასრულყოფილია და არ ასახებ რეალურად არსებული ფიზიკური პროცესების გარკვეულ ნიუანსებს საავიაციო უსაფრთხოების დარგში. ამასთან, ზოგადად, რაიმე მოდელის არარსებობის გარდა, ამოცანის ასე დაყენება შეიძლება მივიღოთ ფორმალიზაციის ეტაპის დასრულების მოდელის დაზუსტების პირობის დროს.

ზემოთ გადმოცემულიდან გამომდინარე, მოცემულ ეტაპზე დგება კიდურა ამოცანების თეორიის მათემატიკური ანალიზის [7] ამოცანა, უკანონო ჩარევისგან სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის ობიექტის დაცვის ველის პარამეტრების ფორმალიზაციისთვის, მისი გამოყენების შესაძლობლების შეფასების მიზნით.

კიდურა ამოცანების თეორიის მათემატიკური აპარატი მოიცავს მათემატიკური მოდელების პრაქტიკულად ამომწურავ ჩამონათვალს სხვადასხვა ფიზიკური პროცესის ფორმალური წარმოდგენისთვის.

ქვემოთ წარმოდგენილია ზოგიერთი მიდგომა კიდურა ამოცანების ანალიტიკური ამოხსნის მიმართ. ჩავწეროთ დიფერენციალური განტოლება ოპერატიული სახით:

$$A(\varphi) = p\Omega \quad \text{არეში} \quad (1)$$

სადაც A – ხაზოვანი დიფერენციორებული ოპერატორია.

განტოლების ამოხსნა უნდა აკმაყოფილებდეს ოპერატიულ კიდურა პირობებს:

$$B(\varphi) = r \quad \text{მათლარზე} \quad (2)$$

ავაგოთ $\hat{\varphi}$ აპროქსიმაცია φ ამოხსნისთვის დაშლის სახით:

$$\varphi = \hat{\varphi} = \psi + \sum M_{m=1} amNm \quad (3)$$

სადაც Nm , $m = 1, 2, \dots, M$ – ხაზოვნად დამოუკიდებელი ბაზისური ფუნქციები, ამასთან $B(Nm) = 0$, $m = 1, 2, \dots, M$ მ-ზე.

Ψ ფუნქცია აკმაყოფილებს (2) მოხსაზღვრე პირობებს $B(\psi) = r$ მ-ზე;

am , $m = 1, 2, \dots, M$ - ზოგიერთი პარამეტრი, რომელიც იანგარიშება ისე, რომ კარგი მიახლოება მივიღოთ.

რამდენადაც (3) აკმაყოფილებს კიდურა პირობებს, აპროქსიმაციის მისაღებად აუცილებელია გარატი, რომ $\hat{\varphi}$ წარმოდგენს განტოლების მიახლოებით ამოხსნას. ჩავიწეროთ განხსნავება, A ოპერატორის ხაზოვანების გათვალისწინებით:

$$R\Omega = A\hat{\varphi} - p = A\hat{\varphi} + \sum_{m=1}^M amANm - p \quad (4)$$

(4) ნულოვანი გასნევავების მისაღებად ყველგან Ω ამოხსნის არეში გამოიყენოთ შემთხვევით განხსნავების მეთოდი

$$\int_{\Omega} WIR\Omega d\Omega = \int_{\Omega} WI \left\{ A\Psi + \sum_{m=1}^M amANm - p \right\} d\Omega = 0, \quad I = 1, 2, \dots, M \quad (5)$$

სადაც $Wl, l = 1, 2, \dots, M$ – ხაზოვნად დამოუკიდებელი შეწონილი ფუნქციები.

გამოხატულება (5) აღწერს ხაზოვანი ალგებრული განტოლებების სისტემის განტოლებებს.

ა.მ. ეს სისტემა შეიძლება ჩაიწეროს შემდეგი სახით

$$Ka = f,$$

სადაც K – მატრიცა ელემენტებით $Kim = \int_{\Omega} WIANmd\Omega, I \leq 1, m \leq M$, f – ვექტორი

ელემენტებით $fi = \int_{\Omega} WiPipd\Omega - \int_{\Omega} WiA\Psi d\Omega \quad 1 \leq 1, m \leq M$; a - საპოვნი ვექტორი.

უმეტეს შემთხვევებში კიდურა ამოცანების ამოხსნის ანალიტიკურ მეთოდებს გააჩნია შეზღუდული გამოყენება. ასეთ შემთხვევაში გამოიყენება რიცხობრივი მეთოდები. ჩვენს ამოცანასთან მიმართებაში, როცა ამოხსნის საფუძველში დევს მათ შორის ევრისტიკული პროცედურები, შეიძლება ვისაუბროთ მხოლოდ ამოხსნის რადაც კომბინირებულ მეთოდზე, მათ შორის, გადაწყვეტილებების მიღებისა და კიდურა ამოცანების თეორიასთან ერთობლიობაში ექვსერტიზის მეთოდებზე.

წარმოდგენილი კვლევა გვიჩვენებს სამოქალაქო ავიაციის ობიექტების უკანონო ჩარევისგან დაცვისა და საფრთხის პიპოთეზური ველების ფორმალიზაციისა და მოდელირების პრინციპულ შესაძლებლობას კერძო წარმოებულებში კიდურა ამოცანების თეორიის მათემატიკური აპარატის გამოყენებით. თუმცა, ამასთან, ჩნდება მათემატიკური და მეთოდოლოგიური პრობლემები, რაც უკავშირდება აღნიშნული ველების პარამეტრების ზუსტი იდენტიფიკაციის დაუძლეველ სირთულეს. ამ შემთხვევაში შესაძლებელია ევრისტიკული პროცედურების გამოყენება. მაშინ დგება საკითხი ევრისტიკული პროცედურების საკმაოდ ზუსტ მოდელებში კორექტულად ჩასმის თაობაზე, რაც აღიწერება დიფერენციალური განტოლებებით კერძო წარმოებულებში, რასაც, სავარაუდოდ, მივყავართ მოდელებისა და რეალური პროცესების გარევაულ არა ადექვატურობამდე. ასეთ შემთხვევაში უპრიანია კომპლექსური მიღომის განხილვა, გადაწყვეტილებების მიღების თეორიის, საექსპერტო მეთოდებისა და კიდურა ამოცანების თეორიის გამოყენებით.

ლიტერატურა

- [1. \[http://www.orenipk.ru/kp/distant_vk/docs/2_1_1/inf/inf_form.html\]\(http://www.orenipk.ru/kp/distant_vk/docs/2_1_1/inf/inf_form.html\)](http://www.orenipk.ru/kp/distant_vk/docs/2_1_1/inf/inf_form.html)
- [2. <https://www.icao.int/Security/Pages/default.aspx>](https://www.icao.int/Security/Pages/default.aspx)
- [3. \[https://ec.europa.eu/eurostat/cache/metadata/en/avia_if_esms.htm\]\(https://ec.europa.eu/eurostat/cache/metadata/en/avia_if_esms.htm\)](https://ec.europa.eu/eurostat/cache/metadata/en/avia_if_esms.htm)
4. Giuseppe Bruno. Andrea Genovese. A Mathematical Model for the Optimization of the Airport Check-In Service Problem. Electronic Notes in Discrete Mathematics 36:703-710. August 2010. DOI: 10.1016/j.endm.2010.05.089
5. Esteve Codina. Angel Marin. A mathematical programming model for the evaluation and design of airport configuration. February 2010. http://www.optimization-online.org/DB_FILE/2010/02/2551.pdf
6. <https://stumejournals.com/journals/mm/2019/2/70.full.pdf>
7. Kai Wang Ng. Guo-Liang Tian. Man-Lai Tang. Dirichlet and Related Distributions: Theory, Methods and Applications. 336 pages. May 2011.

SUMMARY

INTEGRATION OF MATHEMATICAL MODELING INTO AVIATION SECURITY

Alania D.L.

Georgian Aviation University

The article presents the setting of the problem of mathematical formalization related to aviation safety. The task of formalization is due to and initiated by the modern state of the problem of ensuring aviation security. Aviation security in modern systems is implemented on the basis of the organizational and regulatory principles of security management, which does not imply measuring of the level of safety in quantitative terms. The next management principle allows to solve the problem of ensuring aviation safety without assessing the optimality of decisions made and assessing the effectiveness of the software used. The question of an acceptable level of aviation safety remains somewhat open, since its enforcement is monitored in the form of inspection measures that respond to the question of the compliance of the site's protection measures with the established requirements. At the same time, the problem of the measurability of requirements and the subjectivity of assessments and mathematical formalization remains open. The article is about the integration of mathematical modeling in aviation security.

Keywords: Aviation security, formalization, mathematical modeling, quality of security, boundary value problem, partial differential equations, classification.

ავტომატიზირებული მშსპრატიზიზის გამოთვლის მეთოდები

წიკლაური მ.ო.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ავტომატიზირებული ექსპერტიზის მიმდინარეობისას საწყისი მონაცემების მნიშვნელობების სიზუსტე დამოკიდებულია მათი დადგენის მეთოდზე, მეტი ცდომილება შეიძლება იქნეს დაშვებული საწყისი მონაცემების მოწმეთა და შემთხვევაში მონაწილეთა ჩვენებების მიხედვით დადგენისას, ასევე მათი მნიშვნელობების არჩევისას საცნობარო ცხრილებიდან. საწყისი მონაცემები, რომლებიც მიღებულია სწორად ჩატარებული ექსპერიმენტის შედეგად, გამოირჩევა დიდი სიზუსტით. მაგალითი: გამართული, სედანის ტიპის ავტომობილი დაჯახა ქვეითად მოსიარულეს სავალ ნაწილზე გადასვლის მომენტში. ექსპერტის წინაშე დასმულია კითხვა: პქონდა ოუ არა მდგოლს ტექნიკური შესაძლებლობა თავიდან აეცილებინა დაჯახება, შემდეგი საწყისი მონაცემების არსებობისას: სავალი ნაწილი იყო მშრალი, ასფალტირებული, პორიზონტალური პროფილის; ავტომობილის მოძრაობის სიჩქარე – $V_s = 50 - 60 \text{ კმ/სთ}$; ქვეითის მოძრაობის სიჩქარე – $V_d = 3,3 \text{ კმ/სთ}$ (მუდმივი საშუალო მნიშვნელობა); ქვეითად მოსიარულებ სავალ ნაწილზე გაიარა – $S_d = 2\delta$ და ავტომობილი მას დაჯახა წინა ნაწილით, მდგოლს არ დაუმუხრუჭებია.

ექსპერტმა საწყისი მონაცემებით მიიღო: შენელება მკვეთრი დამუხრუჭებისას – $J=5,8 \text{ მ/წმ}^2$; მდგოლის რეაქციის დრო (ნორმატიული) – $t_1 = 0,8 \text{ წმ}$; სამუხრუჭები ამძრავის ამოქმედების დაყოვნების დრო – $t_2 = 0,1 \text{ წმ}$; დროის ნაზრდი სიჩქარის მაქსიმალური შენელების დროს – $t_3 = 0,15 \text{ წმ}$.

ამ მონაცემებზე დაყრდნობით ექსპერტი განსაზღვრავს გასაჩერებელ მანძილს S_d და ავტომანქანის დაშორებას დაჯახების ადგილიდან იმ მომენტისთვის, როდესაც ქვეითმა დაიწყო სავალი ნაწილის გადაკვეთა $S_{დაგ}$.

$$S_d = (t_1 + t_2 + 0,5 \times t_3) \times \frac{V}{3,6} + \frac{V^2}{26 \times J} = (t_1 + t_2 + 0,5 \times 0,15) \times \frac{50 \div 60}{3,6} + \frac{50^2 \div 60^2}{26 \times 5,8} = 31 \div 41 \text{ მ}$$

$$S_{დაგ} = \frac{V}{V_d} \times S_d = \frac{50 \div 60}{3,3} \times 2 = 30 \div 36 \text{ მ}$$

მიღებული შედეგების შეჯამების შედეგად დადგინდა, რომ მდგოლს არ პქონდა ტექნიკური შესაძლებლობა თავიდან აეცილებინა დაჯახება, რადგან ავტომობილის $50-60 \text{ კმ/სთ}$ სიჩქარით მოძრაობისას $S_d > S_{დაგ}$.

სატრანსპორტო საშუალების სიჩქარე დამუხრუჭების დაწყებამდე გამოთვლის გზით შეიძლება იქნას დადგენილი იმ შემთხვევაში, თუ არის მონაცემები დამუხრუჭების დაწყებიდან მის სრულ გაჩერებამდე დახარული კინეტიკური ენერგიის შესახებ. სატრანსპორტო საშუალების სიჩქარის განსაზღვრის რამდენიმე მეთოდი, რომელებიც ხშირად გვხვდება საექსპერტო პრაქტიკაში:

სატრანსპორტო საშუალების სიჩქარის განსაზღვრა სამუხრუჭების კვალის სიგრძის მიხედვით თუ მკვეთრი დამუხრუჭებისას სატრანსპორტო საშუალების საბურავები იძლოკება, მაშინ მისი სიჩქარე დამუხრუჭების დაწყებამდე გამოითვლება შემდეგი ფორმულით:

$$V_s = 1,8 \times t_3 \times J + \sqrt{26 \times S \times J} \text{ კმ/სთ}$$

სადაც, t_3 არის დროის ნაზრდი სიჩქარის შენელებისას ($\text{წ}\text{მ}$); J – მაქსიმალური შენელება მკეთრი დამუხრუჭებისას ($\text{მ}/\text{წ}^2$); S – სამუხრუჭები კვალის სიგრძე სატრანსპორტო საშუალების სრულ გაჩერებამდე (მ).

სამუხრუჭები კვალის სიგრძე ტოლია იმ მანძილის, რომელზეც გადაადგილდა სატრანსპორტო საშუალება მაქსიმალური შენელებით დამუხრუჭების პროცესში. სინამდვილეში სამუხრუჭები კვალი ნაკლებია ამ მანძილზე, ამიტომ გამოთვლებში ცდომილების შესამცირებლად შენელების დროის ნაზრდის მნიშვნელობა, რამდენადმე აჭარბებს მის ჭეშმარიტ სიდიდეს.

საექსპერტო კვლევის სირთულე დამოკიდებულია არა მხოლოდ იმაზე თუ რამდენად სრულად ითვალისწინებს ექსპერტი შემთხვევის სხვადასხვა გარემოების გაფლენას გამოთვლების შედეგებზე, არამედ იმაზე, თუ როგორ ატარებს ის კვლევას. იმისთვის, რომ შევამციროთ ექსპერტის დასკვნის კვლევითი ნაწილის მოცულობა და გავუადგილოთ საგამოძიებო ორგანოს მისი შეფასება, მიზანშეწონილია გამოვიყენოთ საექსპერტო პრაქტიკისთვის რეკომენდებული საბოლოო ფორმულები.

ლიტერატურა

- შ. ფაფიაშვილი. კრიმინალისტიკა, დანაშაულთა გახსნის ტაქტიკა. -თბილის 2007, 735 გვ.
- გ. კაპანაძე, ლ. ფანოზიშვილი. სასამართლო ავტოტექნიკური ექსპერტიზის მეთოდიკა. -თბილის 2014, 180 გვ.
3. <https://www.interpol.int/How-we-work/Forensics>, 9.07.2020

SUMMARY

METHODS OF CALCULATING OF AUTO TECHNICAL EXPERTISE

Tsiklauri M.O.

Georgian Technical University

In expert studies, one or another value can be determined by different methods of calculation. The choice of method depends on how accurately it is necessary to take into account the influence of different circumstances of the case on the result of the calculation. It is advisable to use the simplest possible method, which at the same time allows to get an accurate answer to the question asked.

Keywords: technical suspension capability, maximum deceleration.

პირგენტი აღგათობის ბამოყვანების შესახებ

ტყემალაძე გ.შ., დოჭვირი ბ.მ., მახაშვილი ქ.ა.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

1. ბუნების უმთავრესი ფენომენია სიცოცხლე ადამიანი ცდილობს ამ ფენომენთან ერთად შეისწავლოს სამი ძირითადი ფენომენის – სივრცის, დროისა და შემთხვევითობის ყოფაქცევა. ბუნებაში მიმდინარე პროცესები შემთხვევითი ხასიათისა და მეცნიერების სხვადასხვა დარგის მეთოდებთან ერთად ამ პროცესების შესწავლასა და ანალიზში არსებითად გამოიყენება ალბათურ-სტატისტიკური მეთოდები – თანამედროვე სტოქასტიკური ანალიზი ანუ სტოქასტიკური ინტეგრალური და დიფერენციალური ალრიცხვა. ალბათურ-სტატისტიკურ კვლევაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია პირობითობისა და დამოუკიდებლობის ცნებას. საკმარისია დაგასახელოთ სპეციალური პირობითი მათემატიკური ლოდინი – მარტინგალი, ენტროპია, პირობითი ენტროპია [1-3].

ნაშრომში მოტანილია პირობითი ალბათობის განსაზღვრება კლასიკური ექსპერიმენტის შემთხვევაში და რამდენიმე საილუსტრაციო რიცხვითი ამოცანის გადაწყვეტა.

2. განვიხილოთ ე.წ. კლასიკური სქემის ექსპერიმენტი (ცდა), რომელიც შემდეგნაირად აღიწერება

$$\Omega = \{\omega_1, \dots, \omega_n\} \quad (1)$$

სადაც $\omega_1, \dots, \omega_n$ სიდიდეები ექსპერიმენტის ერთნაირად მოსალოდნელი და ურთიერთგამომრიცხავი ყველა შესაძლო შემთხვევითი შედეგია. ამ სიდიდეებს ელემენტარული ხდომილობები ეწოდება, ხოლო Ω სიმრავლეს აუცილებელი ხდომილობა ანუ ელემენტარულ ხდომილობათა სივრცე ეწოდება. Ω -ს ნებისმიერ $A \subset \Omega$ ქვესიმრავლეს შემთხვევითი ხდომილობა (ფაქტი) ეწოდება, რომლის ალბათობა განისაზღვრება ტოლობით

$$P(A) = \frac{m}{n} = \frac{A - \text{ს ელემენტთა რაოდენობა}}{\Omega - \text{ს ელემენტთა რაოდენობა}} \quad (2)$$

აქვე გვინდა ალბათობის ცნების შემოღებასთან დაკავშირებით გამოვთქვათ რამდენიმე მოსაზრება. განვიხილოთ ერთი შეხედვით უმარტივესი კლასიკური ექსპერიმენტი – წესიერი მონეტის აგდება ორი შესაძლო შედეგით: გერბი ან საფასური. ვთქვათ მონეტა ავაგდეთ ათჯერ აღვნიშნოთ $X(i)$ -ით, $i = 0,1,\dots,10$ გერბის მოსვლათა რიცხვი. აღვნიშნოთ აგრეთვე $A(i) = \{X(i) = i\}$ შემთხვევითი ხდომილობის ალბათობები p_i -ით, $i = 0,1,\dots,10$. თუ ამ თერთმეტი შემთხვევითი ხდომილობის ალბათობებს ბერნულის ფორმულით გამოვითვლით, აღვილად დავინახავთ, რომ ყველა ალბათობა დადგებითია და მათი ჯამი ერთის ტოლია. ამ ექსპერიმენტის დიდ რიცხვზე გამეორების დროს ისევ ადვილად დავინახავთ, რომ გერბის მოსვლათა რიცხვის ფარდობითი სიხშირე ან 0,5-ის ტოლია ან ახლოს არის მასთან. ალბათობის თეორიაში დამტკიცებულია ე.წ. ცენტრალური ზღვარითი თეორემა, რომლის თანახმად როცა ექსპერიმენტების რაოდენობა უსასრულოდ იზრდება, მაშინ გერბის მოსვლათა ფარდობითი სიხშირე სწორედ 0,5-სკენ იკრიბება.

ეს იმას ნიშნავს, რომ ერთ ცდაში გერბის მოსვლის ალბათობა 0,5-ის ტოლია. თუმცა ეს იმას სულაც არ ნიშნავს, რომ წესიერი მონეტის, მაგალითად ოთხჯერ

აგდების შემთხვევაში გერბი ზუსტად ორჯერ მოვა. მიგვაჩნია, რომ ექსპერიმენტაციონი ეს და ანალოგიური ფაქტები უნდა გაითვალისწინოს ექსპერიმენტების შედეგების საფუძველზე გაკეთებული დასკვნების დროს.

საზოგადოდ მონეტის აგდებასთან დაკავშირებულია უამრავი თეორიული და პრაქტიკული სასიათის რთული მათემატიკური ამოცანა. მაგალითისათვის შეიძლება დავასახელოთ კარგად ცნობილი სიმეტრიული ბროუნის მოძრაობა და მისი ყოფაჭრების აღმწერი ადეკვატური მათემატიკური მოდელების აგება.

ხშირად საჭიროა გამოვითვალოთ ერთი ხდომილობის ალბათობა იმ პირობით, რომ მეორე ხდომილობა უკვე მოხდა. A ხდომილობის პირობითი ალბათობა B პირობით (B მოხდა) აღინიშნება $P(A|B)$ სიმბოლოთი და განისაზღვრება ტოლობით

$$P(A|B) = \frac{P(AB)}{P(B)} \quad (3)$$

ანალოგიურად გვექნება

$$P(B|A) = \frac{P(AB)}{P(A)} \quad (4)$$

ბოლო თრი ტოლობის თანახმად მივიღებთ თრი A და B ხდომილობის ნამრავლის ალბათობის ფორმულას

$$P(AB) = P(A)P(B|A) = P(B)P(A|B) \quad (5)$$

ჩვენ დაგვჭირდება კიდევ შემდეგი თრი ტოლობა:

$$A = A\Omega = A(B + \bar{B}) = AB + A\bar{B} \quad (6)$$

$$B = B\Omega = B(A + \bar{A}) = AB + \bar{A}B \quad (7)$$

შევნიშნავთ, რომ პირობითი ალბათობა, ისევე როგორც ალბათობა, განუსაზღვრელობის უნივერსალური რიცხვითი საზომია და გააჩნია ცდის შედეგების ანალიზისა და პროგნოზირების თვისებები.

3. ქვემოთ მოტანილია ალბათობისა და პირობითი ალბათობის გამოყენების საილუსტრაციო რამდენიმე ამოცანის ამოხსნა.

ამოცანა 1. ლაბორატორიაში დიაგნოსტიკურ ტესტებს ამზადებს მკვლევართა თრი ჯგუფი. ტესტების პროდუქციაში პირველი ჯგუფის წილია – 40%, მეორეში – 60%.

ჩატარებული ცდების ანალიზის საფუძველზე დადგენილია:

პირველი ჯგუფის პროდუქციაში „ვარგისია“ 90%, მეორის – 80%. კლინიკაში შეიძინა ერთი ტესტი.

1) იპოვეთ ალბათობა იმისა, რომ ტესტი არის „ვარგისი“.

2) ტესტი აღმოჩნდა „ვარგისი“. იპოვეთ პირობითი ალბათობა იმისა, რომ ტესტი არის პირველი ჯგუფის პროდუქტიდან.

ამოხსნა. პირველ რიგში შევნიშნავთ, რომ ტერმინის „ვარგისი“ შინაარსის დაზუსტება და რიცხვითი მნიშვნელობის მინიჭება მოითხოვს პაციენტებზე ტესტის გამოყენების გარკვეული რაოდენობის ცდებს და ამის საფუძველზე ტესტის „ვარგისიანობის“ კრიტერიუმის განსაზღვრებას.

1) შემოვიდოთ თრი შემთხვევითი ხდომილობა:

A – ტესტი „ვარგისი“ (\bar{A} – არ არის ვარგისი)

B – ტესტი პირველი ჯგუფის პროდუქტიდან არის

(\bar{B} – ტესტი მეორე ჯგუფის პროდუქტიდან არის).

ზემოთ მოტანილი ფორმულების გამოყენებით გვექნება:

$$\begin{aligned} P(A) &= P(AB + A\bar{B}) = P(AB) + P(A\bar{B}) = P(B)P(A|B) + P(\bar{B})P(A|\bar{B}) = \\ &= \frac{40}{100} \cdot \frac{90}{100} + \frac{60}{100} \cdot \frac{80}{100} = \frac{21}{25} = 0,84 \\ P(B|A) &= \frac{P(B) \cdot P(A|B)}{P(A)} = \frac{40}{100} \cdot \frac{90}{100} : \frac{21}{25} = \frac{9}{25} \cdot \frac{25}{21} = \frac{3}{7} \approx 0,43 \end{aligned}$$

ამოცანა 2. ვთქვათ გვაქვს დიაგნოსტიკური ტესტების N რაოდენობის სიმრავლე, რომელთა შორის M არის „გარგისი“ (N – M გარგისი არ არის). საჭიროა თითო ტესტი შემთხვევით რიგრიგობით ავარჩიოთ უკან დაუბრუნებლად. იპოვეთ ალბათობა იმისა, რომ რიგით მეორე ნაბიჯზე არჩეული ტესტი აღმოჩნდება „გარგისი“. ამოცანა 2-ის მისახვედრია, რომ პირველ ნაბიჯზე შემთხვევით გარგისი ტესტის არჩევის ალბათობაა M/N. ამ ამოცანაში საინტერესო ისაა, რომ მეორე ნაბიჯზე შემთხვევით არჩეული ტესტის „გარგისიანობის“ ალბათობა ისევ M/N სიდიდის ტოლია.

შემოვიდოთ ორი შემთხვევითი ხდომილობა: A₁ – პირველი ტესტი „გარგისია“, A₂ – მეორე ტესტი გარგისია. გვაქვს:

$$\begin{aligned} P(A_2) &= P(A_1A_2 + \bar{A}_1A_2) = P(A_1A_2) + P(\bar{A}_1A_2) = P(A_1)P(A_2/A_1) + P(\bar{A}_1)P(A_2/\bar{A}_1) = \\ &= \frac{M}{N} \cdot \frac{M-1}{N-1} + \frac{N-M}{N} \cdot \frac{M}{N-1} = \frac{M}{N} \left(\frac{M-1}{N-1} + \frac{N-M}{N-1} \right) = \frac{M}{N} \end{aligned}$$

ამოცანა 3. ინგლისში და უელსში 1891 წელს მოსახლეობის აღწერით დადგენილი იყო: მუქთვალებიანი მამები და მუქთვალებიანი ვაჟიშვილები (ხდომილობა AB) შედგენერ 5%-ს, მუქთვალებიანი მამები და არამუქთვალებიანი ვაჟიშვილები (ხდომილობა $\bar{A}\bar{B}$) – 7,9%, არამუქთვალებიანი მამები და მუქთვალებიანი ვაჟიშვილები (ხდომილობა $\bar{A}B$) – 8,9%, არამუქთვალებიანი მამები და არამუქთვალებიანი ვაჟიშვილები (ხდომილობა $A\bar{B}$) – 78,2%. პირობითი ალბათობის გამოყენებით დავადგინოთ ვაჟიშვილების თვალების ფერის კავშირი (დამოკიდებულება) მამების თვალების ფერთან.

$$\begin{aligned} 1. P(B|A) &= \frac{P(AB)}{P(A)} = \frac{P(AB)}{P(A)} = \frac{P(AB)}{P(A\Omega)} = \frac{P(AB)}{P[A(\bar{B} + B)]} = \frac{P(AB)}{P(AB + \bar{A}\bar{B})} = \frac{P(AB)}{P(AB) + P(\bar{A}\bar{B})} = \\ &= \frac{0,05}{0,05 + 0,079} = 0,39; \end{aligned}$$

$$2. P(\bar{B}|A) = 1 - P(B|A) = 1 - 0,39 = 0,61;$$

$$3. P(B|\bar{A}) = \frac{P(\bar{A}B)}{P(\bar{A})} = \frac{P(\bar{A}B)}{P(\bar{A}\bar{B}) + P(\bar{A}B)} = \frac{0,089}{0,089 + 0,782} = 0,102;$$

$$4. P(\bar{B}|\bar{A}) = 1 - P(B|\bar{A}) = 1 - 0,102 = 0,898$$

საინტერესოა გავარკვიოთ, მაგალითად თუ რა დასკვნის საშუალებას იძლევა $P(B|A) = 0,39$ ტოლობა. ამოცანა 3-ის პირობებში ეს იმას ნიშნავს, რომ ალბათობა

იმისა, რომ მუქთვალებიან მამას (ხდომილობა A) ეყოლება მუქთვალებიანი ვაჟიშვილი (ხდომილობა B) შეადგენს 0,39-ს.

ანალოგიური ინტერპრეტაცია შეიძლება მივცეთ დანარჩენ ტოლობებსაც.

ამოცანა 4. ვთქვათ, პაციენტი დაავადებულია რაიმე კონკრეტული დაავადებით (ხდომილობა A) ან არ არის დაავადებული ამ ავადმყოფობით (ხდომილობა \bar{A}). პაციენტის მიმართ გამოიყენეს დიაგნოსტიკური ტესტი. ეს ტესტი იძლევა დადებით რეაქციას ამ ავადმყოფობაზე (ხდომილობა B). ცნობილია, რომ $P(B|A)=0,95$, $P(B|\bar{A})=0,05$ (ე.ი. ალბათობა იმისა, რომ ავადმყოფ პაციენტზე ტესტი მოგვცემს დადებით რეაქციას, შეადგენს 0,95-ს, ხოლო ალბათობა იმისა, რომ ჯანმრთელ პაციენტზე ტესტი მოგვცემს დადებით რეაქციას, შეადგენს 0,05-ს). ცნობილია აგრეთვე, რომ პაციენტთა გარკვეული ჯგუფისთვის $P(A)=0,005$, $P(\bar{A})=0,995$. გამოვთვალოთ პაციენტთა ამ ჯგუფისთვის პირობითი ალბათობა $P(A|B)$.

ნამრავლის ალბათობის ფორმულის გამოყენებით მივიღებთ:

$$\begin{aligned} P(A|B) &= \frac{P(A)P(B|A)}{P(B)} = \frac{P(A)P(B|A)}{P(AB) + P(\bar{A}B)} = \frac{P(A)P(B|A)}{P(A)P(B|A) + P(\bar{A})P(B|\bar{A})} = \\ &= \frac{0,005 \cdot 0,95}{0,005 \cdot 0,95 + 0,995 \cdot 0,05} = 0,0872 \end{aligned}$$

ეს ნიშნავს, რომ ადნიშნული ჯგუფის გამოკვლეული პაციენტებიდან, რომელთა დიაგნოსტიკურმა ტესტმა დადებითი რეაქცია მოგვცა, სინამდვილეში მხოლოდ 8,72% არის დაავადებული. ეს მაგალითი გვიჩვენებს, თუ რა დიდი სიფრთხილით უნდა მოვეკიდოთ დიაგნოსტიკური ტესტების საფუძველზე მიღებულ დასკვნებს.

გამოვთვალოთ აგრეთვე $P(B)$ და $P(AB)$ ალბათობები.

გვექნება:

$$\begin{aligned} 1) P(B) &= P(AB + \bar{A}B) + P(AB) + P(\bar{A}B) + P(A)P(B|A) + P(\bar{A})P(B|\bar{A}) = \\ &= 0,005 \cdot 0,95 + 0,995 \cdot 0,05 \approx 0,6 \\ 2) P(AB) &= P(A)P(B|A) = 0,005 \cdot 0,95 \approx 0,005 \end{aligned}$$

ვიგულისხმოთ ახლა, რომ $P(A|B)=0,095$ ე.ი. პირობითი ალბათობა იმისა, რომ პაციენტი რომლის ტესტმა დადებითი შედეგი აჩვენა არის დაავადებული 0,95 ალბათობით, ხოლო $P(A|\bar{B})=0,05$ ე.ი. პაციენტი რომლის ტესტირებამ უარყოფითი შედეგი აჩვენა დაავადებული 0,05 ალბათობით.

ვთქვათ $P(B)=0,005$. ამ ალბათობების გამოყენებით ამოცანა 4-ის ანალოგიურად ადვილად გამოვთვალოთ, რომ $P(B|A) \approx 0,09$

ე.ი. ალბათობა იმისა, რომ პაციენტზე რომელიც დაავადებულია, ტესტი აჩვენებს დადებით შედეგს = 0,09.

შევნიშნავთ აგრეთვე, რომ მოტანილი ალბათობები და პირობითი ალბათობები წარმოადგენს ფაქტების ფარდობით სიხშირეებს და მიღებულია საკმაოდ დიდი რაოდენობის ჩატარებული ცდების შედეგებზეა დაფუძნებული.

იმ შემთხვევაში, როდესაც გვაქს დროში დიდ რიცხვები პაციენტების ტესტირების რიცხვითი სტატისტიკური მონაცემები – დროითი მწერივები, შეიძლება

შემდგები კვლევის ჩატარება. ხდება დაავადების გავრცელების აღმწერი რეგრესიული მოდელების აგება, რომელიც ფაქტობრივად არის დაინფიცირებულთა ყოფაქცევის საპროგნოზო განტოლებები. ასეთია, მაგალითად წრფივი, მაჩვენებლიანი (ლოგარითმული) და ავტორეგრესიული მოდელები.

ლიტერატურა

1. დოჭვირი ბ. ფინანსური მათემატიკა. ალბათობა, სტატისტიკა. -თბილისი, უნივერსალი, 2012, 255 გვ.
2. დოჭვირი ბ., ტყემალაძე გ. ქიმიური კინეტიკის ზოგიერთი ამოცანა. -თბილისი მერიდიანი, 2018, 162 გვ.
3. მახაშვილი ქ., ტყემალაძე გ., დოჭვირი ბ. ეპიდემიის დეტერმინისტული მოდელის შესახებ. //საქართველოს საინჟინრო სიახლენი (GEN), 2019, v. 89, გვ. 119-121.

SUMMARY

ABOUT THE USE OF CONDITIONAL PROBABILITY

Tkemaladze G.Sh., Dochviri B.M. and Makhashvili K.A.

Georgian Technical University

Definition of conditional probability in the case of classical experiment and solution of some illustrative numerical problems are considered.

Keywords: conditional probability, event, probabilistic-statistical research.

მარკეტინგულ კვლევაში პიკოტეზების შემოწმების შესახებ

მაღლაკელიძე ქ.დ.

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

მარკეტინგულ კვლევაში მარკეტინგულ მეთოდოლოგიასთან ერთად გამოიყენება ალბათურ-სტატისტიკური მეთოდები – წერტილოვანი და ინტერვალურ შედარებითი, პიპოტეზის შემოწმება, რეგრესიული და დროსი მწკრივების ანალიზი.

ნაშრომში გადაწყვეტილია პიპოტეზათა შემოწმების ამოცანების საქართველოს ოთხ უმაღლეს სასწავლებელში სწავლის ფასების და ათ რეგიონში მოგზაურობის მსურველთა შესახებ.

ქვემოთ მოტანილია სტუდენტების სწავლის სასურველი ფასების და მოგზაურობის მსურველთა რაოდენობის ცხრილები, პიპოტეზათა შემოწმების ამოცანების დასმა და სათანადო გადაწყვეტილებები. შევნიშნოთ რომ მარკეტინგული ინფორმაცია მიღებულია ქ. თბილისში რესპონდენტების გამოკითხვით.

პიპოტეზის შემოწმება სწავლის ფასების პოპულაციის საშუალოსათვის.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ცხრილი 1. სტუდენტებისთვის მისაღები საშუალო ფასები

დრო t	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12
ფასი Y(t)	1000	900	1100	1200	1000	1000	1500	1000	1200	1000	1100	1000

პიპოტეზა $H_0 : a = 1080$ ალტერნატივა $H_1 : a > 1080$

$$n = 12, \bar{X} = 1083 \quad S = 150 \quad \alpha = 0,05 \quad t_{11;0,05} = 2,7; \quad t = \frac{\bar{X} - a}{S/\sqrt{n}} = 0,1$$

გადაწყვეტილება: სამართლიანია H_0 პიპოტეზა

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ცხრილი 2. სტუდენტებისთვის მისაღები საშუალო ფასები

დრო t	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12
ფასი Y(t)	1500	1200	1400	1000	1000	1200	1600	1500	1200	1100	1000	1200

პიპოტეზა $H_0 : a = 1080$ ალტერნატივა $H_1 : a > 1080$

$$n = 12, \bar{X} = 1333 \quad S = \frac{\max x_i - \min x_i}{4} = 150 \quad \alpha = 0,05 \quad t_{11;0,05} = 2,7; \quad t = \frac{\bar{X} - a}{S/\sqrt{n}} = 0,2$$

გადაწყვეტილება: სამართლიანია H_0 პიპოტეზა

საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი

ცხრილი 3. სტუდენტებისთვის მისაღები საშუალო ფასები

დრო t	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12
ფასი Y(t)	1600	1500	1600	1700	1800	1700	1800	1800	1600	1500	1400	1400

ჰიპოთეზა H_0 : ალტერნატივა $H_1 : a$

$$n = 12, \bar{X} \quad S = \frac{\max x_i - \min x_i}{4} = 100 \quad \alpha = 0,05 \quad t_{11;0,05} = 2,7; \quad t = \frac{\bar{X} - a}{s/\sqrt{n}} = 0,58$$

გადაწყვეტილება: სამართლიანია H_0 ჰიპოთეზა

თავისუფალი უნივერსიტეტი

ცხრილი 4. სტუდენტებისთვის მისაღები საშუალო ფასები

დრო t	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12
ფასი Y(t)	3000	3200	4000	3500	3000	2900	3500	3300	3400	3000	3100	3000

ჰიპოთეზა H_0 : ალტერნატივა $H_1 : a$

$$n = 12, \bar{X} \quad S = \frac{\max x_i - \min x_i}{4} = 275 \quad \alpha = 0,05 \quad t_{11;0,05} = 2,7; \quad t = \frac{\bar{X} - a}{s/\sqrt{n}} = 0,52$$

გადაწყვეტილება: სამართლიანია H_0 ჰიპოთეზა

ჰიპოთეზის შემოწმება ტურისტების პოპულაციის საშუალოსათვის

აჭარა

ცხრილი 5. ტურისტთა რაოდენობა

დრო t	1	2	3	4	5	6	7	8	9	10
ფასი Y(t)	22	16	20	18	24	20	21	18	25	20

ჰიპოთეზა $H_0 : a = 21$ ალტერნატივა $H_1 : a > 21$

$$n = 10, \bar{X} \quad S = \max x_i - \min x_i = 2,25 \quad \alpha = 0,05 \quad t_{11;0,05} = 2,7; \quad t = \frac{\bar{X} - a}{s/\sqrt{n}} = -0,8$$

გადაწყვეტილება: სამართლიანია H_0 ჰიპოთეზა

გურია

ცხრილი 6. ტურისტთა რაოდენობა

დრო t	1	2	3	4	5	6	7	8	9	10
ფასი Y(t)	16	18	16	20	22	24	15	14	18	16

პიპოთება $H_0 : a = 16$ ალტერნატივა $H_1 : a > 16$

$$n = 10, \bar{X} = 17,9 \quad S = \max x_i - \min x_i = 2,5 \quad \alpha = 0,05 \quad t_{11;0,05} = 2,7; \quad t = \frac{\bar{X} - a}{s/\sqrt{n}} = 2,4$$

გადაწყვეტილება: სამართლიანია H_0 პიპოთება

იმერეთი

ცხრილი 7. ტურისტთა რაოდენობა

დრო t	1	2	3	4	5	6	7	8	9	10
ფასი Y(t)	15	12	16	20	22	14	15	14	18	16

პიპოთება $H_0 : a = 16$ ალტერნატივა $H_1 : a > 16$

$$n = 10, \bar{X} = 16,2 \quad S = \max x_i - \min x_i = 2,5 \quad \alpha = 0,05 \quad t_{11;0,05} = 2,7; \quad t = \frac{\bar{X} - a}{s/\sqrt{n}} = 0,25$$

გადაწყვეტილება: სამართლიანია H_0 პიპოთება

კახეთი

ცხრილი 8. ტურისტთა რაოდენობა

დრო t	1	2	3	4	5	6	7	8	9	10
ფასი Y(t)	20	18	22	23	19	20	18	17	19	22

პიპოთება $H_0 : a = 19$ ალტერნატივა $H_1 : a > 19$

$$n = 10, \bar{X} = 19,8 \quad S = \max x_i - \min x_i = 1,5 \quad \alpha = 0,05 \quad t_{11;0,05} = 2,7; \quad t = \frac{\bar{X} - a}{s/\sqrt{n}} = 1,69$$

გადაწყვეტილება: სამართლიანია H_0 პიპოთება

მცხეთა-მთიანეთი

ცხრილი 9. ტურისტთა რაოდენობა

დრო t	1	2	3	4	5	6	7	8	9	10
ფასი Y(t)	30	25	20	21	22	20	23	19	18	21

პიპოთება $H_0 : a = 21$ ალტერნატივა $H_1 : a > 21$

$$n = 10, \bar{X} = 21,9 \quad S = \max x_i - \min x_i = 3 \quad \alpha = 0,05 \quad t_{11;0,05} = 2,7; \quad t = \frac{\bar{X} - a}{s/\sqrt{n}} = 0,95$$

გადაწყვეტილება: სამართლიანია H_0 პიპოთება

რაჭა

ცხრილი 10. ტურისტთა რაოდენობა

დრო t	1	2	3	4	5	6	7	8	9	10
ფასი Y(t)	16	12	14	10	11	18	14	11	16	12

პიპოთება $H_0 : a = 14$ ალტერნატივა $H_1 : a > 14$

$$n = 10, \bar{X} = 13,4 \quad S = \max x_i - \min x_i = 2 \quad \alpha = 0,05 \quad t_{11;0,05} = 2,7; \quad t = \frac{\bar{X} - a}{s/\sqrt{n}} = -0,9$$

გადაწყვეტილება: სამართლიანია H_0 პიპოთება

სამეგრელო

ცხრილი 11. ტურისტთა რაოდენობა

დრო t	1	2	3	4	5	6	7	8	9	10
ფასი Y(t)	18	20	19	21	24	15	14	14	15	16

პიპოთება $H_0 : a = 17$ ალტერნატივა $H_1 : a > 17$

$$n = 10, \bar{X} = 17,6 \quad S = \max x_i - \min x_i = 2,5 \quad \alpha = 0,05 \quad t_{11;0,05} = 2,7; \quad t = \frac{\bar{X} - a}{s/\sqrt{n}} = 0,76$$

გადაწყვეტილება: სამართლიანია H_0 პიპოთება

სამცხე-ჯავახეთი

ცხრილი 12. ტურისტთა რაოდენობა

დრო t	1	2	3	4	5	6	7	8	9	10
ფასი Y(t)	12	14	10	18	16	11	12	11	14	12

პიპოთება $H_0 : a = 12$ ალტერნატივა $H_1 : a > 17$

$$n = 10, \bar{X} = 13 \quad S = \max x_i - \min x_i = 2 \quad \alpha = 0,05 \quad t_{11;0,05} = 2,7; \quad t = \frac{\bar{X} - a}{s/\sqrt{n}} = 1,58$$

გადაწყვეტილება: სამართლიანია H_0 პიპოთება

სვანეთი

ცხრილი 13. ტურისტთა რაოდენობა

დრო t	1	2	3	4	5	6	7	8	9	10
ფასი Y(t)	20	18	22	24	18	20	14	16	18	20

პიპოთება $H_0 : a = 20$ ალტერნატივა $H_1 : a > 20$

$$n = 10, \bar{X} = 19 \quad S = \max x_i - \min x_i = 2,5 \quad \alpha = 0,05 \quad t_{11;0,05} = 2,7; \quad t = \frac{\bar{X} - a}{s/\sqrt{n}} = -1,3$$

გადაწყვეტილება: სამართლიანია H_0 პიპოთება

ქვემო ქართლი

ცხრილი 14. ტურისტთა რაოდენობა

დრო t	1	2	3	4	5	6	7	8	9	10
ფასი Y(t)	14	12	16	10	8	10	12	11	12	10

ჰიპოთეზა $H_0 : a = 11$ აღმოჩენაზე $H_1 : a > 11$

$$n = 10, \bar{X} = 11,5 \quad S = \max x_i - \min x_i = 2 \quad \alpha = 0,05 \quad t_{11;0,05} = 2,7; \quad t = \frac{\bar{X} - a}{S/\sqrt{n}} = 0,79$$

გადაწყვეტილება: სამართლიანია H_0 ჰიპოთეზა

ლიტერატურა

1. Malhotra N.K. Marketing Research: An Applied Orientation. New Jersey, 2008, 761p.
According to sulfur content Tkibuli hard coal belongs to ecologically acceptable solid fuel since its total content does not exceed 11.7 g/kg and is equal to 8.5 g/kg average (Table 1). Total sulfur content was determined using Eschka method [ISO 334-1992]. Speciation of sulfur was performed based on different solubility of the compounds formed by different species in hydrochloric acid and nitric acid [ISO 157-1996]. According to this methodology 2g sample of hard coal was first extracted with hydrochloric acid (380 cm³ HCl diluted in 1 dm³ water, d=1.19 g/cm³) that resulted in extraction of sulfate forms. The solid residue was further extracted with 130 cm³ nitric acid (d= 1.42g/cm³) diluted in 1 dm³ water (pyrite form is oxidized and transforms into sulfate form). Precipitation obtained after acid treatment contains „organic“ sulfur (sulfur in organic compounds). Organic sulfur was determined by the difference between total sulfur content and the sum of sulfate and pyrite sulfur contents. Results, shown in Table 1, indicate that 59–78% of total sulfur is present as pyrite. That is why the content of total iron and sulfur in Tkibuli hard coal correlate well with each other (correlation coefficient $r = + 0.53$). As expected, content of sulfate sulfur is low (0.47-0.97 g/kg), that is equal to 4–10% of total sulfur. No sulfide sulfur was observed in samples under investigation, while the content of organic sulfur changed between 14–32% of its total value.

Table 1. Content of total sulfur (g/kg) and its species (% from total sulfur) in Tkibuli hard coal

Sulfur	Minimum	Maximum	Average
Total sulfur	3.0	10.7	8.5
Sulfide sulfur	0	0	0
Pyrite sulfur	59	78	70
Sulfate sulfur	4	10	8
Organic sulfur	14	32	22

According to sulfate sulfur and sulfur remained in ash, amount of sulfur dioxide generated as a result of combustion one ton of hard coal is equal to 15–16 kg. This can be considered to be in the acceptable limits for the environment.

Hard coal is a natural concentrator of many regulated substances, including arsenic [1]. According to literature data, arsenic content in solid fuels varies in wide range and can reach several hundreds mg/kg [7].

Hard coals combustion products are the main sources of anthropogenic pollution of atmosphere [2].

Arsenic was determined by photometric method with the use of silver diethyldithiocarbamate, which forms reddish compound with arsine (arsenic hydride) [ISO 2590-2004]. Maximum content of arsenic in samples studied reached 5.9 mg/kg, while average content was 2.4 mg/kg (Table 2). This is

far below the allowed limit (0.02% [6]). The average content of arsenic was 3.3 mg/kg in the hard coal combustion ash corresponding to 0.9 mg/kg in terms of hard coal. As it well known, pyrite admixtures are the basic carriers (source) of arsenic in hard coal. That is why good correlation between total iron and arsenic contents ($r = +0.95$) was observed [7].

As is seen from obtained results, average content of volatile form of arsenic is 1.5 mg/kg, that in average is equal to 42% of its total content. Appropriate calculations show that arsenic concentration in exhaust gases will be less than 0.1 mg/m³ that will be reduced several times after mixing with the air (maximum permissible concentration of arsenic in the air is 0.003 mg/m³ [4]). Soils and ground waters pollution even by ash originated as a result of hard coal combustion is less likely, since arsenic content in products of their water leaching is less than 0.1–0.7 mkg/l, and averagely equals to 0.2 mkg/l (Table 2).

Table 2. Content of arsenic in Tkibuli hard coal and its combustion products (mg/kg in hard coal)

Subject	Form	Minimum	Maximum	Average
Hard coal	Total	0.3	5.9	2.4
Ash	Total	0.2	1.5	0.8
Ash	Soluble in water	< 0.1	0.7	0.2
Volatile	Total	0,1	4.5	1.6

Information on total chlorine content in coal, all the more about chlorine forms is scarce. According to sources available for us, mass share of chlorine varies within the range of 0.01–0.50%. Based on other data, 83–106 mg/kg of chlorine is found in coal. Chlorine is presented in the coal in the form of halite (sodium chloride) or sylvine (potassium chloride), while the remaining part is associated with organic compounds. Oil also contains chlorine in small quantities (0.16–0.8 g/kg). Low chlorine concentration in solid fuels is caused by its low content in plants ($n=0.01\%$ in plant ash [6]) and low sorption activity of chloride-ions in peat during coal formation process.

While chlorine content in coal reaches 0.3–0.7%, in the process of its combustion may form hydrogen chloride and dioxins, which contaminate the environment along with exhaust gases [2]. Their quantity in exhaust gases can be assessed according to chlorine remained in ash (0.1–0.4%). As of today according to effective standards maximum allowable concentration of chlorine in coal is 0.60%, or 6 g/kg [6].

Tkibuli coal is not studied regarding the content of halogens, including chlorine and its separate forms. Therefore, the information acquired by us, will fill a gap existing in this field of knowledge, at least partly. Except of coal, we also identified the content of chloride-ions in its ash that makes possible calculation of chlorine entering into atmosphere in the process of coal combustion.

Content of fluorides and chlorides in hard coal is also regulated, since during combustion halogen hydrides, dioxins and other toxic compounds can be formed. According to obtained results, fluorides content in Tkibuli hard coal is low (0–14 mg/kg, average 8 mg/kg) and it is much lower than permissible limit (500 mg/kg).

Total chlorine content in Tkibuli hard coal (variation between 1.0–2.7, in average – 1.8 g/kg, Table 3) also turned out to be less than maximum permissible value (0.60% [6]). The part of chlorides in hard coal (17% in average) is present in water-soluble form. Chloride ions concentration in extracts was in a good correlation with specific electric conductivity of solution (correlation coefficient $r=+0.62$). Content of 0.4–1.4 g/kg Na⁺ and 0.4–1.9 g/kg K⁺ in the products of water leaching along with chloride ions points at the presence of halite and sylvite.

Table 3. Content of total chlorine (g/kg) and its separate forms (%) in Tkibuli hard coal

Chlorine	Minimum	Maximum	Average
Total	1.0	2.7	1.8
Soluble in water	3	66	17
Ash	15	40	30
Volatile	60	86	70

Based on chlorine content in the ash (Table 3), one can conclude that its major part escapes during combustion process. As far as there was no chlorine in extracts obtained with the use of organic solvents (hexane, acetone), one should suppose that volatilization of chlorides occurs in the form of iron and aluminum chlorides originated at high temperature. Process modeling showed that 40–86% of chlorides escapes as a result of drying of 2.0 ml of 0.1 N NaCl solution and its heating up to 700–750⁰ in the presence of 5–10 mg of Fe₂O₃ or Al₂O₃.

Therefore, the contents of sulfur and its forms, as well as arsenic and chlorine contents are determined in samples taken from different mines of Tkibuli hard coal. Humidity and ash content are identified. According to obtained results we may conclude that Tkibuli hard coal belongs to ecologically clean solid fuels.

REFERENCES

1. Supatashvili G. Environmental Chemistry (Eco Chemistry). Tbilisi, 2009, pp. 20-21, 75-77, 92-93 (in Georgian).
2. Henrich D. Ecology. Moscow, 2003, pp. 87-88 (in Russian).
3. Supatashvili G. Hydrochemistry of Georgia. Tbilisi, 2003, pp. 50-52 (in Russian).
4. Takaishvili N. Turbidimetric Determination of Sulfate-ions in Environmental Objects. Abstract. Tbilisi, 2002, (in Georgian).
5. Papunadze V., Khatisashvili G., Sadunishvili T. Plants for Healthy Environment. Batumi, Adjara, 2005, pp. 39-40, 45 (in Georgian).
6. GOST R. 51591-2000. Coals - Brown, Hard, Anthracite. Technical Requirements (in Russian).
7. Supatashvili G., Loria N., Labartkava N. Arsenic in Environment of Georgia, 2006 (in Russian).

РЕЗЮМЕ

ЭКОХИМИЧЕСКАЯ ОЦЕНКА ТКИБУЛЬСКОГО УГЛЯ

Супаташвили Г.Д., Такаишвили Н.В., Лабарткава Н.А., Брегадзе М.А., Гиоргадзе Н.В.

Тбилисский Государственный Университет им. Ив. Джавахишвили¹

В пробах, взятых из разных шахт Ткибульского месторождения каменного угля определены содержания нормированных элементов, таких как сера, мышьяк, хлор и фтор. Для определения содержания выше перечисленных компонентов были использованы методы, официально рекомендованные международными и российскими регулирующими агентствами. Основываясь на полученных результатах исследования Ткибульский уголь можно считать экологически сравнимо безвредным твердым топливом.

Ключевые слова: уголь, сера, мышьяк, хлор.

**პალიგნულყაღვების ორგანულ ნამრთებთან პიდროპალობების
შვანტურ-ქიმიური მოდელირება**

ფაჩულია ზ.გ., ინჟინერი დ.ჯ., ტაბატაძე ლ.გ.


სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ქიმიური რეაქციების მექანიზმის შესწავლა წარმოადგენს თანამედროვე ქიმიის ერთ-ერთ აქტუალურ ამოცანას. სპექტრომეტრული (ინფრაწითელი, ულტრაიისფერი) და ბირთვულ-მაგნიტური რეზონანსის მეთოდებთან ერთად მოლეკულების აღნაგობისა და რეაქციების მექანიზმის დაღვენაში უკანასკნელ წლებში ფართო გამოყენება პოვა ქვანტურ-ქიმიურმა მეთოდებმა.


შესწავლილია ფტორწყალბადის პროპინთან ურთიერთქმედების – პიდროპალობენირების რეაქციები ქვანტურ-ქიმიური მოდელირებით. ფტორწყალბადის ურთიერთქმედება პროპინთან მარკოვნიკოვის წესის მიხედვით მიმდინარეობს ორ სტადიად. პირველ სტადიაზე ხდება სამმაგი ბმის გაწყვეტა 2-ფტორპროპენის წარმოქმნით. მეორე სტადიაზე ხდება ორმაგი ბმის გაწყვეტა 2,2-დიფტორპროპენის წარმოქმნით.

შესწავლილ იქნა ფტორწყალბადის პროპინთან ურთიერთქმედება ხარაშის ეფექტით, რომლის დროსაც უჯერ ნახშირწყალბადებთან ჰალოგენწყალბადების მიერთებისას წყალბადის ატომი უერთდება უჯერი ბმის წარმოქმნელ უფრო ნაკლებად ჰიდროგენიზებულ ნახშირბადატომს, ჰალოგენი კი მეტად ჰიდროგენიზებულ ნახშირბადატომს. ფტორწყალბადის ურთიერთქმედება პროპინთან ხარაშის ეფექტის მიხედვით მიმდინარეობს ორ სტადიად. პირველ სტადიაზე ხდება სამმაგი ბმის გაწყვეტა 1-ფტორპროპენის წარმოქმნით. მეორე სტადიაზე კი ორმაგი ბმის გაწყვეტა 1,2-დიფტორიკუპროპენის წარმოქმნით.

არსებული მეთოდიკით რეაქციის სრული ჩვენების და რეაქციის მექანიზმის ჭეშმარიტების დადგენის მიზნით ნახევრადემპირიული ქვანტურ-ქიმიური მეთოდის AM1-ის გამოყენებით გამოთვლილ იქნა 2-ფტორპროპენის, 2,2-დიფტორპროპანისა და 1-ფტორპროპენის, 1,2-დიფტორპროპენის ენერგეტიკული და ელექტრონული მახასიათებლები. თავდაპირველად განხილულ იქნა ფტორწყალბადისა და პროპინის მოლეკულის ურთიერთქმედება მარკოვნიკოვის წესის მიხედვით:




მორეაგირე ნივთიერებების საწყისი მდგომარეობა მოცემულია ნახ. 1-ზე.



ნახ. 1. მორეაგირე ნივთიერებების საწყისი მდგომარეობა


მანძილი ნახშირბადის C_1 ატომსა და წყალბადის H_8 ატომს შორის, ნახშირბადის C_2 ატომსა და ფტორის F_9 ატომს შორის აღებულ იქნა $1,0 \text{ \AA}$ -ით მეტი, ვიდრე ბმის მანძილი საბოლოო პროდუქტში ($1,36 \text{ \AA}$). $\text{R}_{\text{C}1-\text{H}8}$, $\text{R}_{\text{C}2-\text{F}9}$ მანძილების ცვლილება

ნახშირბადის C_1 ატომსა და წყალბადის H_8 ატომს შორის, ნახშირბადის C_2 ატომსა და ფტორის F_9 ატომს შორის ხდებოდა $0,05 \text{ \AA}$ -ის ინტერვალით. სისტემის ენერგიის ცვლილების (ΔH) დამოკიდებულება ნახშირბადის ატომსა და ფტორის ატომს შორის $R_{C_2-F_9}$ მანძილზე მოცემულია ნახ. 2-ზე.




ნახ. 2. სისტემის ენერგიის ცვლილების (ΔH) დამოკიდებულება ნახშირბადისა და ფტორის ატომებს შორის $R_{C_2-F_9}$ მანძილზე

როგორც ნახ. 2-დან ჩანს, ფტორის ატომის F_9 მიახლოებისას ნახშირბადის C_2 ატომთან $R_{C_2-F} = 1,71 \text{ \AA}$ მანძილამდე, სისტემის ენერგია იზრდება. ბმის რიგი C_2 და F_9 ატომებს შორის იზრდება ($0,006860$ - $1,003672$). შეიმჩნევა ახალი ბმის წარმოქმნა: $P_{C_2-H_8} = 0,004519$ - $0,955054$; შუალედური მდგომარეობის სტრუქტურა მოცემულია მე-3 ნახ.-ზე.




ნახ. 3. სისტემის შუალედური მდგომარეობა




ნახ. 4. რეაქციის პროდუქტის საბოლოო მდგომარეობა

მანძილი $R_{C_2-F_9}$ რეაქციის პროდუქტი შეადგენს $1,36 \text{ \AA}$ -ს. მოცემული სქემით მიმდინარეობისას რეაქციის აქტივაციის ენერგია $\Delta\Delta H^* = 416,86 \text{ kJ/mol}$, ხოლო რეაქციის სითბო $\Delta H = -83,18 \text{ kJ/mol}$. როგორც ვხედავთ, რეაქცია ეგზოთერმულია.

ფტორწყალბადის პროპინთან ურთიერთქმედება ასევე მიმდინარეობს ხარაშის ეფექტის მიხედვით, რომლის დროსაც უჯერ ნახშირწყალბადებთან ჰალოგენწყალბადების მიერთებისას წყალბადის ატომი უერთდება უჯერი ბმის წარმომქმნელ უფრო ნაკლებად პიდროგენიზებულ ნახშირბადატომს, ჰალოგენი კი მეტად პიდროგენიზებულ ნახშირბადატომს. ხარაშის ეფექტით რეაქცია გამოისახება შემდეგნაირად:




მორეაგირე ნივთიერებების საწყისი მდგომარეობა მოცემულია ნახ. 5-ზე.



ნახ. 5. მორეაგირე ნივთიერებების საწყისი მდგომარეობა


მანძილი ნახშირბადის C_1 ატომსა და ფტორის F_9 ატომს შორის, ნახშირბადის C_2 ატომსა და წყალბადის H_8 ატომს შორის აღებულ იქნა $1,0 \text{ \AA}$ -ით მეტი, ვიდრე ბმის მანძილი საბოლოო პროდუქტში ($1,35 \text{ \AA}$). $R_{\text{C}_1\text{-F}_9}$, $R_{\text{C}_2\text{-H}_8}$ მანძილების ცვლილება ნახშირბადის C_1 ატომსა და ფტორის F_9 ატომს შორის, ნახშირბადის C_2 ატომსა და წყალბადის H_8 ატომს შორის ხდებოდა $0,05 \text{ \AA}$ -ის ინტერვალით. სისტემის ენერგიის ცვლილების (ΔH) დამოკიდებულება ნახშირბადის ატომსა და ფტორის ატომს $R_{\text{C}_1\text{-F}_9}$ მანძილზე მოცემულია ნახ. 6-ზე.




ნახ. 6. სისტემის ენერგიის ცვლილების (ΔH) დამოკიდებულება ნახშირბადისა და ფტორის ატომებს შორის $R_{\text{C}_1\text{-F}_9}$ მანძილზე

როგორც ნახ. 6-დან ჩანს, ფტორის ატომის F_9 მიახლოებისას ნახშირბადის C_1 ატომთან $R_{\text{C}-\text{F}} = 1,70 \text{ \AA}$ მანძილამდე, სისტემის ენერგია იზრდება. ბმის რიგი C_1 და F_9

ატომებს შორის იზრდება ($0,007661-1,015395$). შეიმჩნევა ახალი ბმის წარმოქმნა: $P_{C_2-H_8} = 0,004288-0,947612$; შუალედური მდგომარეობის სტრუქტურა მოცემულია ნახ. 7-ზე.



ნახ. 7. სისტემის შუალედური მდგომარეობა




ნახ. 8. რეაქციის პროდუქტის საბოლოო მდგომარეობა

მანძილი $R_{C_2-F_9}$ რეაქციის პროდუქტი შეადგენს $1,35 \text{ \AA}$ -ს. მოცემული სქემით მიმდინარეობისას რეაქციის აქტივაციის ენერგია $\Delta\Delta H^* = 378,46 \text{ кJ/მოლი}$, ხოლო რეაქციის სითბო $\Delta\Delta H = -97,03 \text{ кJ/მოლი}$. როგორც ვხედავთ, რეაქცია ეგზოთერმულია.

მე-2 სტადიაზე მარკოვნიკოვის წესის ოანახმად რეაქცია გამოისახება შემდეგნაირად:




მორეაგირე ნივთიერებების საწყისი მდგომარეობა მოცემულია ნახ. 9-ზე.



ნახ. 9. მორეაგირე ნივთიერებების საწყისი მდგომარეობა


მანძილი ნახშირბადის C_1 ატომსა და წყალბადის H_{10} ატომს შორის, ნახშირბადის C_2 ატომსა და ფტორის F_{11} ატომს შორის აღებულ იქნა $1,0 \text{ \AA}$ -ით მეტი, ვიდრე ბმის მანძილი საბოლოო პროდუქტში ($1,38 \text{ \AA}$). $R_{C_1-H_{10}}$, $R_{C_2-F_{11}}$ მანძილების ცვლილება

ნახშირბადის C_1 ატომსა და წყალბადის H_{10} ატომს შორის, ნახშირბადის C_2 ატომსა და ფტორის F_{11} ატომს შორის ხდებოდა $0,05 \text{ \AA}$ -ის ინტერვალით. სისტემის ენერგიის ცვლილების (ΔH) დამოკიდებულება ნახშირბადის ატომსა და ფტორის ატომს შორის $R_{C_2-F_{11}}$ მანძილზე მოცემულია ნახ. 10-ზე.




ნახ. 10. სისტემის ენერგიის ცვლილების (ΔH) დამოკიდებულება ნახშირბადისა და ფტორის ატომებს შორის $R_{C_2-F_{11}}$ მანძილზე

როგორც ნახ. 10-დან ჩანს, ფტორის ატომის F_{11} მიახლოებისას ნახშირბადის C_2 ატომთან $R_{C-F} = 1,73 \text{ \AA}$ მანძილამდე, სისტემის ენერგია იზრდება. ბმის რიგი C_2 და F_{11} ატომებს შორის იზრდება ($0,008567-0,958226$). შეიმჩნევა ასალი ბმის წარმოქმნა: $P_{C1-H10} = 0,005083-0,973264$; შუალედური მდგომარეობის სტრუქტურა მოცემულია ნახ. 11-ზე.




ნახ. 11. სისტემის შუალედური მდგომარეობა




ნახ. 12. რეაქციის პროდუქტის საბოლოო მდგომარეობა

მანძილი $R_{C_2-F_{11}}$ რეაქციის პროდუქტში შეადგენს $1,38 \text{ \AA}$ -ს. მოცემული სქემით მიმდინარეობისას რეაქციის აქტივაციის ენერგია $\Delta H^* = 332,78 \text{ კJ/მოლი}$, ხოლო რეაქციის სითბო $\Delta H = -61,10 \text{ კJ/მოლი}$. როგორც ვხედავთ, რეაქცია ეგზოთერმულია. მეორე ეტაპზე ხარაშის ეფექტის თანახმად რეაქცია გამოისახება შემდეგნაირად:




მორეაგირე ნივთიერებების საწყისი მდგომარეობა მოცემულია ნახ. 13-ზე.




ნახ. 13. მორეაგირე ნივთიერებების საწყისი მდგომარეობა

მანძილი ნახშირბადის C_1 ატომსა და ფტორის F_{11} ატომს შორის, ნახშირბადის C_2 ატომსა და წყალბადის H_{10} ატომს შორის აღებულ იქნა $1,0 \text{ \AA}$ -ით მეტი, ვიდრე ბმის მანძილი საბოლოო პროდუქტში ($1,38 \text{ \AA}$). $R_{C_1-F_{11}}$, $R_{C_2-H_{10}}$ მანძილების ცვლილება ნახშირბადის C_1 ატომსა და ფტორის F_{11} ატომს შორის, ნახშირბადის C_2 ატომსა და წყალბადის H_{10} ატომს შორის ხდებოდა $0,05 \text{ \AA}$ -ის ინტერვალით. სისტემის ენერგიის ცვლილების (ΔH) დამოკიდებულება ნახშირბადის ატომსა და ფტორის ატომს შორის $R_{C_1-F_{11}}$ მანძილზე მოცემულია ნახ. 14-ზე.




ნახ. 14. სისტემის ენერგიის ცვლილების (ΔH) დამოკიდებულება ნახშირბადისა და ფტორის ატომებს შორის $R_{C_1-F_{11}}$ მანძილზე

როგორც ნახ. 14-დან ჩანს, ფტორის ატომის F_{11} მიახლოებისას ნახშირბადის C_1 ატომთან $R_{C-F} = 1,73 \text{ \AA}$ მანძილამდე, სისტემის ენერგია იზრდება. ბმის რიგი C_1 და F_{11} ატომებს შორის იზრდება ($0,007599-0,983125$). შეიმჩნევა ახალი ბმის წარმოქმნა: $P_{C_2-H_{10}} = 0,003957-0,944695$; შუალედური მდგომარეობის სტრუქტურა მოცემულია ნახ. 15-ზე.



ნახ. 15. სისტემის შუალედური მდგომარეობა



ნახ. 16. რეაქციის პროდუქტის საბოლოო მდგომარეობა

მანძილი R_{Cl-F11} რეაქციის პროდუქტში შეადგენს $1,38 \text{ \AA}$ -ს. მოცემული სქემით მიმდინარეობისას რეაქციის აქტივაციის ენერგია $\Delta\Delta H^* = 332,95 \text{ кДж/მოლი}$, ხოლო რეაქციის სითბო $\Delta\Delta H = -48,61 \text{ кДж/მოლი}$. როგორც ვხედავთ, რეაქცია ეგზოთერმულია.

აქტივაციის ენერგიებისა და რეაქციის სითბური ეფექტების შედარებიდან გამომდინარე პიდროვტორინების რეაქცია პროპინსა და ფტორწყალბადს შორის მეორე სქემით (ხარაშის ეფექტი) ენერგეტიკულად უფრო ხელსაყრელია, ხოლო პიდროვტორინების რეაქცია პროპენსა და ფტორწყალბადს შორის პირველი სქემით (მარკოვნიკოვის წესი) ენერგეტიკულად უფრო ხელსაყრელია სითბური ეფექტის უპირატესობის გამო. ასეთი შედეგები ეწინააღმდეგება მარკოვნიკოვის წესს, მაგრამ სრულ თანხმობაშია ხარაშის ეფექტობან. ჭეშმარიტების დადგენისათვის აუცილებელია ფაქტი ექსპერიმენტის ჩატარება და ქვანტურ-ქიმიური გამოთვლების უფრო სრულყოფილი არაემპირიული მეთოდების გამოყენება.

ლიტერატურა

- ქრისტინე გიორგაძე, ნოდარ ლეგიშვილი; ზოგადი და არაორგანული ქიმია. ნაწ. 2: ქიმიური ელემენტები. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. თბილისი, თსუ-ს გამომცემლობა 2017, 360 გვ.
- Tabatadze L., Shengelia N., Pachulia Z., Vekua E., Gakhokidze R. Refinement of drugs in order to reduce toxic impacts and increase the therapeutic effects. /International Scientific Conference „Modern researches and prospects of their use in chemistry, chemical engineering and related fields“, 2016, September 21-23, Ureki – Georgia, pp. 178.
- Dewar M.J.S., Zoebisch E.G., Healy E.F., and Stewart J.J.P. AM1: A New General Purpose Quantum Mechanical Molecular Model. // J. Am.Chem.Soc., 1985, 107, pp. 3902-3909.
- Sérgio Filipe Sousa, António J. M. Ribeiro, Rui P. P. Neves, Natércia F. Brás, Nuno M. F. S. A. Cerqueira, Pedro A. Fernandes; Application of quantum mechanics/molecular mechanics methods in the study of enzymatic reaction mechanisms; 01 September 2016. Alan Hinchliffe; Molecular Modelling for Beginners; UMIST, Manchester, UK, 2003; p. 430

SUMMARY

QUANTUM-CHEMICAL MODELING OF HYDROHALOGENATION WITH HALOGENATED ORGANIC COMPOUNDS

Pachulia Z.V., Iremashvili D.J. and Tabatadze LV.

Sokhumi State University

Quantum-chemical modeling of hydrohalogenation under the effect of Markovnikov and Harash is discussed in the reaction coordinate mode. Semi-empirical AM1 (Austin Model 1) Modern quantum-chemical methods are used to calculate the energy and electronic properties of 2-fluoropropene, 2,2-difluoropropane and 1-fluoropropene, 1,2-difluoropropane.

Keywords: quantum-chemical modeling, hydrohalogenation.

**1,4-ბის [დიალგილეტილარსონიუმ] – 1,4-დიპიდრონაფტალინების დინოდიდების
მათემატიკურ-ქიმიური შესწავლა**

რობაჭიძე ნ.ზ., გვერნაძე მ.ს.

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

მათემატიკური ქიმია თანამედროვე თეორიული ქიმიის შედარებით ახალი დარგია. იგი წარმოიქმნა ქიმიისა და უმაღლესი ალგებრის გარკვეული სიმბიოზის შედეგად და მისი მეთოდების გამოყენებით გადაჭრილია თეორიული ქიმიის მრავალი მნიშვნელოვანი პრობლემა [1,2].

ტოპოლოგიური ინდექსების (მოლეკულური დისკრიპტორების) მეთოდი მათემატიკური ქიმიის პრობლემატიკის კვლევის უმდლავრესი საშუალებაა. დღეისათვის არსებულ დაახლოებით ექვს ათეულ ტოპოლოგიურ ინდექსს შორის, შვიდი კონსტრუირებულია მათემატიკური ქიმიის ქართული სკოლის მიერ [3]. ამ შვიდ ტოპოლოგიურ ინდექსს შორის, განსაკუთრებულად ვრცლად აპრობირებულია ორი – $\lg(\Delta_{\text{ან}})$ და $\lg(\Delta_{\text{ქან}})$ [4].

$\lg(\Delta_{\text{ან}})$ წარმოადგენს ანბ-მატრიცის დეტერმინანტის მნიშვნელობის ათობით ლოგარითმს. ანბ-მატრიცა კვადრატული და სიმეტრიულია. მისი დიაგონალური ელემენტებია მოლეკულაში შემავალი ქიმიური ელემენტების ატომური ნომრები, არადიაგონალური ელემენტებია. ქიმიური ბმების ჯერადობები. ანბ-მატრიცის რანგი მოლეკულაში შემავალი ატომების რიცხვის ტოლია. ABC სამტომიანი მოლეკულის შესაბამისი ანბ-მატრიცაა:

$$\begin{vmatrix} Z_A & \Delta_{AB} & \Delta_{AC} \\ \Delta_{AB} & Z_B & \Delta_{BC} \\ \Delta_{AC} & \Delta_{BC} & Z_C \end{vmatrix} \quad (1)$$

$\lg(\Delta_{\text{ქან}})$ წარმოადგენს ქანბ – (ქვაზი-ანბ) მატრიცის დეტერმანტის მნიშვნელობის ათობით ლოგარითმს. ფორმალურად მას (1) სახე გააჩნია, ოდონდ იმ შემთხვევაში დიაგონალური ელემენტები წარმოადგენენ მოლეკულის ცალკეულ სტრუქტურულ ფრაგმენტებში შემავალი ქიმიური ელემენტების ატომური ნომრების ჯამს, არადიაგონალური ელემენტები – ქიმიურ ბმების ჯერადობებია ამ სტრუქტურულ ფრაგმენტებს შორის. ამგვარად, ქანბ-მატრიცის კონსტრუირება ხდება არა მოლეკულის, არა მედ მისი გარკვეული მოდელის ბაზაზე, რაც ნოვატორული მიდგომაა მათემატიკურ ქიმიაში.

ცხრილში 1,2-ბის [დიალგილეტილარსონიუმ]-1,4-დიპიდრონაფტალინის დიიოდიდებისათვის მოყვანილია $\lg(\Delta_{\text{ქან}})$ და (მოლური ელექტროგამტარობა) [5]. ამ ნაერთების ზოგადი ფორმულაა:

$$I[C_2H_5R_2AS - C_{10}H_8 - AgC_2H_5R_2]I$$

მათოვის შერჩეული მარტივი მოდელი A – B – A

$\lg(\Delta_{\text{ქან}})$ და μ 1,2-ბის [დიალგილეტილარსონიუმ]-1,4-დიპიდრონაფტალინის დიოდიდებისათვის

R	C ₃ H ₇	C ₄ H ₈	C ₅ H ₁₁	C ₆ H ₁₃
$\lg(\Delta_{\text{ქან}})$	5,83	5,96	6,03	6,16
$\mu \text{ მ}^{-1}\text{ს}^{-1}\text{მ}^{-1}$	105	107	113	117

უმცირესი კვადრატების მეთოდის გამოყენებით, კომპიუტერზე აგებული კორელაციური განტოლება:

$$\mu = 33 \lg(\Delta_{\text{ჯნ}}) - 88 \quad (2)$$

კორელაციის რ კოეფიციენტი ტოლია 0,985. ამგვარად, ჯაფეს კრიტერიუმებით [6], კორელაცია დამაკმაყოფილებელია, ტოპოლოგიური ინდექსი $\lg(\Delta_{\text{ჯნ}})$ ეფუძნება აღმოჩნდა ზემოთ განხილული რთული სისტემებისათვის, რაც მის შემდგომი გამოყენების პერსპექტივას მნიშვნელოვნად აფაროვებს.

ლიტერატურა

1. გ. გამზიანი, მ. გვერდწითელი. იზომერიის მოვლენა მათემატიკური ქიმიის თვალთახედვით. -თბილისი, მეცნიერება, 1992.
2. Gverdtsiteli, M.Rusia, K. Kupatadze. Mathematical-chemical Investigation of some Inorganis Halides. Tbilisi, „Universal“, 2011.
3. M. Gverdtsiteli, G. Gamziani, I. Gverdtsiteli. The Contignity Matrices of Molecular Graiphs and their Madifications. Tbilisi, TV-press, 1996.
4. გ. ქვარცხავა, მ. გვერდწითელი. ზოგიერთი არაორგანული და ორგანული ნაერთის მათემატიკურ-ქიმიური გამოკვლევა. -თბილისი, ტექნიკური უნივერსიტეტი, 2018.
5. Гигаури Р.Д., Робакидзе Н.З., Инджия Н.А., М.А., Вачнадзе Е.С. Синтез и обмен аниона диодидов бис [диалкиларилэтиларсоним] – 1,4-дигидропафталинов. //журн. общ. хим, 68(3), 1998 г, с.444.
6. მ. გვერდწითელი, ფიზიკური ორგანული ქიმიის რჩეული თავები. -თბილისი, თსუ გამომც., 1982, გვ. 19.

SUMMARY

MATHEMATICAL-CHEMICAL STUDY OF DIODIDES OF
1,4-BIS [DIALKYLETYLARSONIUM]-1,4 DIHYDRONAPHTA-LENES.

Robakidze N.Z. and Kvernadze M.S.

Iv. Ivakhishvili Tbilisi State University

Diodides of 1,4-bis [dialkylethylarsonium]-1,4-dihydronapthalenes were studied within the scope of QAN8-matrica method. The correlation equation was derived. The correlation is satisfactory.

Keywords: QANB-matrix, satisfactory correlation.

**d-მეტალთა ფეტრათიონათიმონაფების ამიაკატური კომპლექსების
თერმობრავიმეტრული კვლევა**

სამსარაძე მ.გ., მაჩალაძე თ.ე., კახიძე ნ.ა.

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ივ. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, რაფიელ აგლაძის სახ.
არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტი

გარდამავალ მეტალთა ტეტრათიონათიმონატების ამიაკატური კომპლექსები
საინტერესო ნაერთებია არა მხოლოდ ქიმიური, ფიზიოლოგიური აქტივობის თვალ-
საზრისით. მათი სინთეზის პირობები და ფიზიკურ-ქიმიური თვისებები შესწავლილია
[1,2], რაც შეეხება მათ თერმულ თვისებებს, მონაცემები პრაქტიკულად არ არსებობს.

უკანასკნელ წლებში თერმული ანალიზი გახდა ერთ-ერთი წამყვანი კვლევის
ფიზიკურ-ქიმიურ მეთოდთა შორის. გაიზარდა მკვლევართა ინტერესი კომპლექსნაერ-
თა მყარფაზური გარდაქმნების მიმართ, დაიწყო თვისობრივად ახალი ეტაპი კომპ-
ლექსნაერთოთა თერმული გარდაქმნების შესწავლაში დიფერენციალური თერმული
ანალიზის გამოყენებით.

თერმული კვლევებისას, გარდაქმნებისა და ქიმიური რეაქციების სრული სუ-
რათის მისაღებად საჭიროა T და DTA მრუდებთან ერთად მივიღოთ მასის ცვლილე-
ბის TG მრუდი. ასეთ ხელსაწყოებს მიეკუთვნება სინთეზირებული ნიმუშების კვლე-
ვისათვის ჩვენს მიერ გამოყენებული უნგრული წარმოების F. Paulik; Y. Paulik; L.Erdey -
ის სისტემის დერივატოგრაფი – Q - 1500 D [3]. იგი საშუალებას იძლევა, ერთი და
იმავე ნიმუშისათვის ერთდროულად ჩაიწეროს ოთხი მრუდი: ტემპერატურის ცვლილე-
ბის (T), მასის ცვლილების (TG); აგრეთვე შესაბამისი დიფერენციალური DTA და
DTG მრუდები. თერმოგრავიმეტრული კვლევა ტარდებოდა 1000°C -მდე, გახურების
სიჩქარით $10^{\circ}/\text{წთ}$. სასწორის მგრძნობიარობა - $1000 \text{ N}_{\text{m}}/250 \text{ mm}$.


გალვანომეტრის მგრძნობიარობა - 250 Mv ; ეტალონური ნივთიერება α -
 Ae_2O_3 , ტიგელი - პლატინის, საკვლევი ნიმუშების მასა - 100 mg .

შესწავლილ იქნა d-მეტალთა ტეტრათიონათიმონატების(V) ამიკატური კომპ-
ლექსების ქიმიური ქცევა გახურებისას. d-მეტალთა ამიაკატების თერმოლიზმა აჩვენა,
რომ კომპლექსების დამლა-დესტრუქცია იწყება ამიაკის მოხლეზვა-მოცილებით.
თერმოლიზის შედეგები მოგანილია ნახაზზე.

ნიმუშად განვიხილოთ პექსამინნიკელის (II) ტეტრათიონათიმონატის თერმო-
ლიზი ნახ. 1,ა) $[\text{Ni}(\text{NH}_3)_6](\text{SbS}_4)_2$ -ის თერმული დაშლა იწყება 70°C -დან ლიგანდის-
ამიაკის მოწვევით, პროცესი მიმდინარეობს ორ ეტაპად. პირველი ენდოთერმული
ეფექტი შეინიშნება DTA მრუდზე $70-130^{\circ}\text{C}$ -ის ინტერვალში, პიკით 90°C -ზე. ამ
ეტაპზე მასის კლება შეადგენს $11,39\%$ -ს, რაც შეესაბამება 6 მოლი NH_3 -ის მოწვევას
(თეორიული - $10,38\%$).


შემდგომი მასის კლება მიმდინარეობს $130-220^{\circ}\text{C}$ -ზე. მასა ამ შემთხვევაში
მცირდება $21,51\%$ -ით, რაც შეესაბამება დარჩენილი 12 მოლი ამიაკის მოცილებას
($20,77\%$ - თეორიული).

შედარებით რთული პროცესი მიმდინარეობს $220-810^{\circ}\text{C}$ -ის ტემპერატურულ ინ-
ტერვალში. DTA მრუდზე შეინიშნება ორი ეგზოეფექტი, პიკებით 560°C და 610°C -ზე.
ამ პროცესს მოხდევს ენდოეფექტი, პიკით 770°C -ზე. მასის კლება $220-610^{\circ}\text{C}$ ინტერ-
ვალში შეადგენს $6,32\%$ -ს (პრაქტიკული), რაც შეესაბამება 2 მოლი გოგირდის მოცი-
ლებას (თეორიული - $6,51\%$). შემდგომ, 610°C -ზე ზემოთ კვლავ აქტიური დაგილი მასის
ცვლილებას, კერძოდ, მასა მცირდება $3,81\%$ (პრაქტიკული), რაც შეიძლება გამოწ-
ვეული იყოს ერთი მოლი გოგირდის მოცილებით (თეორიული - $6,51\%$).



სინთეზირებულ ნაერთთა თერმოგრამები
 а) $[\text{Ni}(\text{NH}_3)_6]_3(\text{SbS}_4)_2$; б) $[\text{Zn}(\text{NH}_3)_4]_3(\text{SbS}_4)_2$;
 в) $[\text{Ag}(\text{NH}_3)_2]_3\text{SbS}_4$; г) $[\text{Hg}(\text{NH}_3)_4]_3(\text{SbS}_4)_2$

ზემოთ ნათქვამიდან გამომდინარე, $[\text{Ni}(\text{NH}_3)_6]_3(\text{SbS}_4)_2$ -ის თერმოლიტის სავარაუ-
დო სქემა შეიძლება შემდეგნაირად წარმოვიდგინოთ:




განხილული მაგალითის მსგავსად მიმდინარეობს $[\text{Ag}(\text{NH}_3)_2]_3\text{SbS}_4$ -ის, $[\text{Cd}(\text{NH}_3)_4]_3(\text{SbS}_4)_2$ -ის, $[\text{Zn}(\text{NH}_3)_4]_3(\text{SbS}_4)_2$ -ის, $[\text{Co}(\text{NH}_3)_6]\text{SbS}_4$ -ის თერმული დაშ-
ლაც, რაც უპირველესად ლიგანდის-ამიაკის მოწყვეტაში და შემდგომ დეთიონირე-
ბაში გამოიხატება.

თერმოლიტის თვალსაზრისით განსაკუთრებით საყურადღებოა ვერცხლის-
წყლის(II) ტეტრათიონანთიმონატი(V) ამიაკატური კომპლექსის ქიმიური ქცევა გახუ-

რებისას. განვიხილოთ $[Hg(NH_3)_4]_3(SbS_4)_2$ -ის თერმული დაშლა (ნახ. დ), რომელიც დანარჩენ კომპლექსებთან შედარებით განსხვავებულად მიმდინარეობს. ნიმუშის დაშლა იწყება ლიგანდის-ამიაკის მოწყვეტით, რაც DTG მრუდზე $80-240^{\circ}\text{C}$ ტემპერატურულ ინტერვალში აისახება სამი ენდოთერმული ეფექტით, მაქსიმუმებით 100, 180 და 220°C -ზე. აღნიშნულ ტემპერატურულ ინტერვალში წონაკის მასა მცირდება 15,53%-ით, რაც შეესაბამება 12 მოლეკულა ამიაკის მოცილებას (თეორიული 15,62%). მასის საგრძნობლად შემცირებას ადგილი აქვს $240-500^{\circ}\text{C}$ ინტერვალში. ამ ეტაპზე წონის კლება შეადგენს 59,22%-ს, რაც უნდა აიხსნას 2 მოლი გოგირდისა და 3 მოლი HgS -ის მოცილებით (თეორიული 58,43%); 500°C -ზე ზევით კი მიმდინარეობს ნიმუშის სრული დაშლა ყოველგვარი ნაშთის გარეშე.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ტეტრამინგვერცხლისწყლის(II) ტეტრათიოანთო-მონატის(V) თერმული დაშლის სქემა შეიძლება ასე წარმოვადგინოთ:



ამრიგად, თერმული ანალიზის შედეგების ინტერპრეტირით შეიძლება აღვწეროთ კომპლექსებში მიმდინარე ქიმიური რეაქციები და ფიზიკური გარდაქმნები, აგრეთვე ის სითბური ეფექტები, რომლებიც მათ თან ახლავს. ამასთან, თერმული ანალიზით შესწავლილი ნაერთები შეიძლება მივაკუთვნოთ „თერმოაქტიურებს“, რადგან ადგილი აქვს საკვლევი ნიმუშების მასის გარკვეულ ცვლილებას.

ლიტერატურა

1. სამხარაძე მ., რუსია მ., ვიგაური რ., მეტრეველი ჯ., ვიგაური რ. /საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, ქმითი სერია, 1998, 24, 1-4. გვ. 34-38.
2. Самхарадзе М.Р., Русия М.Ш., Кипиани Э.И., Гигаури Р.Д. Синтез и превращения аммиакатов тетратиоантимонатов d-металлов. //Georgian, Engineering. News, 2000, №2, გვ. 117-119.
3. თ. მაჩალაძე. თერმული ანალიზი. -თბილისი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, 2006, 91 გვ.

SUMMARY

THE THERMAL ANALYSIS OF AMMONIATE COMPLEXES OF D-METALS

Samkharadze M.G., Machaladze T.E. and Kakhidze N.A.

Akaki Tsereteli State University, Kutaisi

Iv. Javakhishvili Tbilisi State University, R. Agladze Institute of Inorganic Chemistry and Electrochemistry

Ammonia complexes of d-metals tetrathioantimonates with the general formula. $[M(NH_3)_n]_3(SbS_4)_2$ have been studied by the thermal analysis method. After heating of these complexes firstly the ligand is removed, then it happens dethionation and at last destruction.

Keywords: tetrathioantimonate, ammoniate complexes, thermal analysis.

**ამჟიღების – აგთვისებიან სიმსივნეთა ოპერატორის შემდგომი გეტასტაზის
ახალი თაობის ინპიპოტორი (შემაჩირებელი)**

ჩიგოგიძე ნ.შ., ნადირაძე ი.შ., წიგწივაძე გ.კ., წიგწივაძე თ.ი.


**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიოლოგიურად
აქტიურ ნივთიერებათა კვლევის სამეცნიერო ცენტრი
საქართველო-ისრაელის ერთობლივი კლინიკა „გიდმედის“ სამეცნიერო ცენტრი
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი**

ავთვისებიან სიმსივნეთა (კიბოს) განვითარება და მათი მეტასტაზირების პროცესი კვლავინდებურად მსოფლიო ონკოლოგიისა და, ზოგადად, მეცნიერ-მკვლევართა აქტუალური პრობლემაა, რომელზეც უწყვეტი სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები მიმდინარეობს ბევრ ქვეყანაში, მათ შორის – საქართველოშიც. ბოლო ათწლეულებში, როგორც უცხოეთში, ასევე ჩვენ ქვეყანაშიც აღინიშნება ონკოლოგიურ დაავადებათა გახსშირების ტენდენციები და კიბოთი დაავადებულთა საგანგაშო მაჩვენებლები. მიუხედავად სამედიცინო (და არა მარტო) დარგის მუშაკთა თავგადაკლული ბრძოლისა, კიბო დღემდე რჩება დაუმარცხებელ დაავადებად, რადგან ორგანიზმის სიმსივნურ უჯრედებთან დაკავშირებული ბევრი პროცესი ამ დრომდე იღუმალებითად მოცული.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებათა კვლევის სამეცნიერო ცენტრის პროფ. ნოდარ ჩიგოგიძემ და საქართველო-ისრაელის ერთობლივი კლინიკა „გიდმედის“ ცენტრის პროფ. ირაკლი ნადირაძემ (მეცნიერ-კონსულტანტი, პროფ. თენგიზ წიგწივაძე) გამოგონებისათვის „მეტასტაზირების ახალი ინპიპიტორების შექმნა ონკოდავადებათა ქიმიოთერაპიისათვის“, მოიპოვეს საქართველოს პატენტი (P 2019 7005 B).


წინამდებარე ნაშრომში გაეცნობით რა ძირითადი თვისებებით გამოირჩევა სიმსივნური უჯრედები, რა ასულდგმულებს მათ, რა მექანიზმებია ჩართული მათი მეტასტაზირების პროცესში და სხვა პრობლემებს, რომლებიც ჩვენ გამოვიარეთ სანამ შევქმნიდით ავთვისებიან სიმსივნეთა ოპერაციისშემდგომი მეტასტაზირების ახალი თაობის ინპიპიტორს – ამფიცეზის, რომლის შეყვანით ორგანიზმში რადიკალური ოპერაციის დროს და მის შემდგომ, ონკოპაციენტები დაცულნი არიან მეტასტაზირებისაგან – სიმსივნის ახალი კერის – წყაროს წარმოშობისაგან.

ჩვენ სამუშაოებამდე ცნობილი იყო [1-4], რომ პირველი სიმსივნური კერიდან მოწყვეტილი უჯრედი შეიფუთება ფიბრინით (როგორც მაჩაბლის სინდრომის [3] დაცვითი რეაქცია) და სისხლის თუ ლიმფის გზით შორს, სხვა ორგანოებში გადაიტანება, სადაც იგი იმავე ფიბრინის მეშვეობით მიეწებება (ადჰეზიონური) და მეტასტაზს აძლევს დასაბამს. ასევე ცნობილი იყო, რომ ეს ფიბრინი ერთგვარი საკვები ნიადაგია მეტასტაზების განვითარებისათვის (სურ. 1 და 2).




სურათი 1 და 2. სისხლძარღვში მოცირკულირე ფიბრინით შეფუთული
და შეუფუთავი (შიშველი) სიმსივნური უჯრედები

მრავალწლიანი მიზანმიმართული (ცდებისა და შეცდომების მეთოდი) ექპერი-
მენტული მუშაობის შედეგად მივედით იმ დასკვნამდე, რომ ორგანიზმში ავთვისებიან
სიმსივნეთა მეტასტაზირების პროცესი შეიძლება დაიყოს 4 ეტაპად: 1) ერთეული სიმ-
სივნური უჯრედების ან მათი დაჯგუფების მოწყვეტა პირველადი სიმსივნური
კერიდან; 2) აღნიშნული უჯრედების გადატანა სისხლით ან ლიმფით წვრილ სისხლ-
ძარღვებში; 3) სიმსივნური უჯრედების ფიქსაცია შინაგან ორგანოებში; 4) ხელსაყ-
რელ პირობებში მათი პროლიფერაცია (გამრავლება) და შემდგომ მეტასტაზების
ავტონომიური (დამოუკიდებლად) ზრდა (სურ. 3).



**სურათი 3. ავთვისებიანი სიმსივნური უჯრედების გამრავლება
და მეტასტაზების ავტონომიური ზრდა**

ზემოაღნიშნული დასკვნებიდან გამომდინარე, არსებული მასალების
ანალიზმა (ექსპერიმენტის პროცესში) მოგვცა იმის დაშვების წინაპირობა, რომ პირ-
ველადი სიმსივნური კერიდან ონკოუჯრედების მოწყვეტა უწევები და გარდაუვალი
პროცესია და, რომ აღნიშნული უჯრედების პლაზმურ მემბრანაზე წარმოქმნილი
ფიბრინით (უფრო სწორად ფიბრინის შრით, გარსით) გაპირობებულია სიმსივნური
უჯრედების (ონკოუჯრედების) ადჰეზიის (მიწებების) უნარი. როგორც ჩანს, სწორედ
ფიბრინი თამაშობს მთავარ როლს ავთვისებიან სიმსივნეთა მეტასტაზირების მექა-
ნიზმში (სურ. 4 და 5). პისტოლოგიურმა გამოკვლევამ გვიჩვენა, რომ ენდოთელიუმი
(სისხლძარღვთა კედლის შიგნითა ამომფენი უჯრედების შრე) ქარგავს თავის ნორ-
მალურ სტრუქტურას, როდესაც სიმსივნური უჯრედი ემაგრება მას კედლისმიერი
თრომბის სახით. სწორედ ენდოთელიუმსა და სიმსივნურ უჯრედებს შორის
ურთიერთქმედება ქმნის ცენტრალურ პრობლემას მეტასტაზების განვითარებაში.




სურათი 4 და 5. ფიბრინის აპეს მეშვეობით ონკოუჯრედების დალექცა

აქედან გამომდინარე, ჩვენმა ჯგუფმა მიზნად დაისახა ისეთი პრეპარატის
შექმნა, რომელიც ხელს შეუშლიდა სწორედ ამ ფიბრინის გარსის წარმოქმნას, ანუ
არ მისცემდა ავთვისებიანი პირველადი სიმსივნური კერიდან მოწყვეტილ ონკოუჯ-

რედს შეფუთვის საშუალებას, თანაც მოქმედ ნივთიერებას უნდა პქონოდა კ.წ. ქლერის ფუნქციაც, ანუ მოეკლა სიმსივნური უჯრედი; როგორ მოკლავდა, პირდაპირი იერიშით თუ გატუტიანების გზით, ეს უკვე სხვა საკითხია, მთავარია, რომ უჯრედი გაშიშვლებულ-შეუფუთავი უნდა დარჩენილიყო. ასევე პიპოთეტურ ახალ ნივთიერებას ჰქაპარინმაგარი და ფიბრინოლიზური მოქმედება უნდა პქონოდა. სწორედ ამ თვისებების მქონე ორგანულ ანიონებს დაეფუძნა ახალი თაობის ინპიბიტორის შექმნა [5].

აღნიშნული ორგანული ანიონები (ცენტოუმისა და რუბიდიუმის (როგორც ქიმიურად ყველაზე აქტიური და ძლიერადმდგენი ტუტე მეტალები) მაგრავებლად გამოვიყენეთ, რადგან დასახელებულ კატიონთა უჯრედებში შეღწევა უჯრედთა შიდა გარემოს ძლიერ გატუტიანებას იწვევს, რასაც საბოლოოდ სიმსივნური უჯრედების განადგურება მოსდევს. ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ ცენტოუმისა და რუბიდიუმის კატიონები არ აზიანებენ ნორმალურ, ჯანმრთელ უჯრედებს.

უჯრედული მემბრანების შეღწევადობის რეგულირებით, ჩვენ მიერ შერჩეული ორგანული ანიონები დამატებით ეხმარება სიმსივნის საწინააღმდეგო პრეპარატის ტრანსპორტირებას უჯრედებში. ეს ორგანული ანიონები, რა თქმა უნდა, არ არის კომპლექსონები [6], მაგრამ მათი მოლეკულების ცალკეულ ფრაგმენტებს (ხელსაყრელ პირობებში) ძალუმთ შეასრულონ მახვილარიტებელი (ციკლიზარმომქმნელი) როლი და აქტიური მონაწილეობა მიიღონ მძიმე მეტალების (ქრომი, კადმიუმი და სხვ.) კანცეროგენული იონების შებოჭვაში.




სურათი 6. ახალი თაობის ინპიბიტორი – ამფიცეზინი გრძელჯაჭვიანი უარყოფითი, მრავალმუხტიანი, ანიონაქტიური, ორგანული, მაკრომელეგულებისა და ერთ-ერთი ძლიერ ტუტე მეტალის (ცენტოუმი, რუბიდიუმი) ქიმიური ნაერთი.

სამწუხაროდ, ბევრი ახალი მიღგომა ავთვისებიანი სიმსივნეების მკურნალობაში, რომლებიც კარგ შედეგებს იძლეოდა ლაბორატორიაში (*in vitro*), კლინიკურ პრაქტიკაში წარუმატებელი აღმოჩნდა. ამის ერთ-ერთი მიზეზია ის, რომ არ ხდება მთავარი ფაქტორის გათვალისწინება – ნებისმიერი მოწოდებული პრეპარატი უნდა იყოს გამიზნეული მხოლოდ სიმსივნურ უჯრედებზე და არ უნდა აზიანებდეს ჯანმრთელ უჯრედს.

ჩატარებული ხანგრძლივი ექსპერიმენტის ფარგლებში ერთხელ კიდევ დავრწმუნდით იმაში, რომ სიმსივნე – ქსოვილთა ზრდის განსაკუთრებით რეაქტიული ფორმა, რომელსაც მეტ-ნაკლებად გამოხატული ავტონომიურობა ახასიათებს. ორგანიზმთან არაკორდინირებული ზრდის ეს ფორმა მიჩნეულია რეაქტიულად, რადგან მეორეულია იმ ფაქტორებთან, რომლებიც იწვევს მის წარმოქმნას. ამასთან, ამგვარი ზრდის ეს ფორმა გრძელდება მისი გამომწვევი მიზეზების მოქმედების შეწყვეტის შემდეგაც. სიმსივნური უჯრედების უსაზღვრო და უკონტროლო გამრავლების თვისება გადაეცემა უჯრედთა მომდევნო გენერაციებს.

და მაინც, ავთვისებიან უჯრედთა მთავარი თვისებაა – მაინფილტრირებელი ზრდის უნარი, ანუ შეღწევა ირგვლივ მდებარე ქსოვილებში მათი შემდგომი დაშლით

და მეტასტაზების განვითარება, რაც ავთვისებიანი უჯრედების სისხლისა და ლიმფის დინებით გავრცელების შედეგია.



სურათი 7 და 8. ახალი თაობის ინპიბიტორის – ამფიცეზინის გამოყენებისას იბლოკება სიმსივნური უჯრედის ფიბრინით შეფუთვის პროცესი; გაშიშვლებული და ამდენად ადგილად მისაწვდომი სიმსივნური უჯრედი სრულად ნადგურდება

ექსპერიმენტთა ჩატარების ფარგლებში კიდევ ერთხელ დავრწმუნდით, რომ მეტასტაზების წარმოქმნა მჭიდროდ არის დაკავშირებული სიმსივნური უჯრედების სისხლისა და ლიმფური ძარღვების ენდოთელიუმის ურთიერთდამოკიდებულებებთან ფიზიკურ-ქიმიურ დონეზე. სიმსივნური უჯრედების ავთვისებიანობის ხარისხის მატებას თან ერთვის მათი ეფექტური ელექტროურყოფითი მუხტის ზრდა [4], რომელიც მისი ცნობილი მაცოცხლებელი თვისებების გამო, თავის მხრივ, კიდევ უფრო მეტად ზრდის სიმსივნური უჯრედების სიცოცხლისუნარიანობას. ნიშანდობლივია, რომ სწორედ კანცეროგენული ნივთიერებები ხელს უწყობს უჯრედთა უარყოფითი მუხტის მარებას. ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით, საინტერესოა კიბოსთან ბრძოლაში სიმსივნური და ჰომოლოგიური ნორმალური უჯრედების ელექტროსტატიკურ პოტენციალებს შორის არსებული სხვაობა [7-8].

ჰეპარინმაგვარი აქტივობის, ანუ ფიბრინოლიზური თვისებების მქონე მეტასტაზირების ახალი თაობის (შემაჩერებელი საშუალებების) დახმარებით შეიძლება შეჩერდეს სიმსივნური უჯრედების ადჰეზია (მიწებება) ენდოთელიუმთან. სწორედ სიმსივნეთა მეტასტაზირების ამ ახალი თაობის სინთეგური ინპიბიტორების კლასში (სურ. 7-8) გაერთიანებულია სიმსივნეთა მეტასტაზირების შემაჩერებელი მრავალმუხტიანი ანიონაქტიური ნაერთები, რომელთაც გააჩნიათ პოლიფენიკური მოქმედების უნარი [10].

ტერმინში „მრავალმუხტიანი“ იგულისხმება მაკრომოლებულადში რამდენიმე ფუნქციური ჯგუფის არსებობა, კერძოდ $-COOH$, $-OSO_3H$, $-SO_3H$, $-PO(OH)_2$ და სხვა, რომლებსაც გააჩნიათ ორგანული ნაერთების, კერძოდ, ძლიერ ტუტე მეტალებთან – ცეზიუმსა და რუბიდიუმთან მარილების წარმოქმნის უნარი [6,9]. დასახელებული ნივთიერებები ბიოლოგიურ გარემოში (სითხეებში) დისოციირდებიან და წარმოქმნიან გრძელჯაჭვიან ორგანულ ანიონებს, ასევე ცეზიუმისა და რუბიდიუმის კატიონებს. მიზანმიმართული სინთეზის გზით ორგანულ ანიონებს უნდა გააჩნდეთ ანტიკოაგულაციური ან ფიბრინოლიზური თვისებები, რითაც შეაფერხებენ სიმსივნური უჯრედების ადჰეზიას სისხლძარღვთა ენდოთელიუმზე.

გრძელჯაჭვიანი მრავალმუხტიანი ანიონაქტიური ნაერთები შეიძლება სინთეზირდეს როგორც ცეზიუმისა და რუბიდიუმის მონომარილების, ასევე ორბირთვიანი კომპლექსური მოლეკულების სახით, რომელთა სტრუქტურაშიც ერთდროულად იქნება ცეზიუმისა და რუბიდიუმის ატომები გარკვეული თანაფარდობით. ასეთი პრეპარატები კარგად ისხნება წყალში, რაც უზრუნველყოფს მათ მაღალ შეღწევა-დობას ცოცხალი ორგანიზმის ბიოლოგიურ სითხეებში [8].

აღსანიშნავია ისიც, რომ ნორმალური უჯრედებისათვის ოპტიმალური pH 7,35. pH -ის მუდმივობის შენარჩუნებას ორგანიზმის ბუფერული სისტემები განაპირობებს. სიმსივნური უჯრედებისთვის დამახასიათებელია ბევრად უფრო მუვა გარემო, pH -ის მნიშვნელობის თანდათანობით შემცირებით (7,2-დან 6,5-მდე). ონკოდაავადებათა მოგვიანებით სტადიებზე, ავთვისებიან უჯრედთა აგრესიულობის მატებისკვალად, მათი pH შესაძლოა კიდევ მეტად დაქვეითდეს.

ჯანმრთელი უჯრედის მიერ უანგბადის მოხმარების ერთი მესამედით დაქვეითება მის ავთვისებიან გადაგვარებას განაპირობებს. უანგბადის ნაკლებობის პირობებში თავისი ცხოველმყოფელობის შენარჩუნებისათვის უჯრედი იძულებულია გადაერთოს ნივთიერებათა ანაერობულ დაუანგვაზე მოლეკულათა როული ქიმიური გარღავის განვითარების გზით. ეს უკანასკნელი ხორიცელდება ფერმენტების სპეციფიკური სისტემებით. გადაგვარებული (სიმსივნური) უჯრედი ანაერობული ხდება. გლუკოზის ფერმენტაცია, უანგბადის არარსებობის პირობებში, იწვევს რძის მუავასა და სხვა მუავების წარმოქმნას.

ანაერობულ პროცესში გამოყოფილი ენერგია ბევრად მცირეა, ვიდრე აერობულის დროს. სწორედ ეს განაპირობებს იმას, რომ სიმსივნური უჯრედები თავისი ცხოველმყოფელობისათვის იძულებული არიან გლუკოზა და კალიუმის იონები გამოიყენონ დიდი რაოდენობით. ამ დროს გამოყოფილი რძის მუავა აქვეითებს სიმსივნური უჯრედების pH -ს, ანუ მათ შემუავებას იწვევს. იმავდროულად ირდვევა ნუკლეინის მუავების უნარი აკონტროლონ უჯრედთა გაყოფა, ამის გამოა, რომ სიმსივნური უჯრედები უკონტროლოდ მრავლდება.

ცალკეული ბიოქიმიური გარღავის შედეგად გამოყოფილი ერბოს, პროპიონის, მმრისა და სხვა მუავები ასევე განაპირობებებს სიმსივნური წარმონაქმნებისა და მათი მეტასტაზების უჯრედთა შიდა გარემოს მუავიანობის მომატებას.

ძლიერი ტუტე მეტალები – ცეზიუმი და რუბიდიუმი არიან სინერგისტები, ანუ აძლიერებენ ერთურთის მოქმედებას. ამასთან, ცეზიუმი და რუბიდიუმი შედიან კალიუმის ქვეჯგუფში, მისი ანალოგები არიან. ეს აძლიერებს მათ საშუალებას შეაღწიონ სიმსივნურ უჯრედებში, განსხვავებით სხვა ელემენტებისგან, შექმნან მათში ძლიერი ტუტე გარემო – გაანადგურონ იქ თავმოყრილი ავთვისებიანი ონკოუჯრედები.

დასკვნის სახით (ჩვენს მიერ შემოთავაზებული ახალი ნაერთის, ამფიცეზინის, აფექტურობა ექსპერიმენტულად უკვე დადასტურებულია. ქალაქ რიგის (ლატვია) ვიროორაპიის ინტერნაციონალურ ცენტრში წარმატებით ჩატარდა *in vitro* ექსპერიმენტები. შესწავლილია ამფიცეზინის ზემოქმედება D60 p4 უჯრედოვანი კულტურის *in vitro* სიცოცხლისუნარიანი უჯრედების რაოდენობაზე.

უცხოელ ექსპერტთა გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც ქართველი მეცნიერების მიერ შექმნილი პრეპარატით (10%-იანი ამფიცეზინით) სიმსივნური უჯრედების ზრდის მაქსიმალური ინჰიბიცია (PSB), საკონტროლო ჯგუფთან შედარებით, 93,5% იყო.

სამწუხაროა, რომ ქართველ მეცნიერთა ეს უდიდესი გამარჯვება, რატომდაც, უურადდების გარეშე დარჩა სამშობლოში, გასაოცარი შედეგის მიუხედავად, ქართველ მეცნიერთა გამოგონებას „მწვანე შუქი მაინც არ ენთება“ საქართველოში.

აგერ უკვე ერთი წელია, *in vitro* ექსპერიმენტების შემდეგ, უსასხრობის გამო, ვერ გრძელდება *in vivo* ცდები ჩვენს ქვეყანაში; მაშინ, როცა უცხოელი სპეციალისტები დიდ ინტერესს გამოხატავენ და მეტიც, უკვე ამ ეტაპზე ჯერ კიდევ შეუცნობადი და საკირველი კორონავირუსის ფონზე, კლინიკურ კვლევებში მონაწილეობის სურვილს უამრავი მოხალისე გამოხატავს).

– ამფიცეზინი, ავთვისებიან სიმსივნეთა ინჰიბიტორების ახალი თაობის პირველი წარმომადგენელი, უფრო კონკრეტულად სიმსივნეთა ოპერაციის შემდგომი მეტასტაზიონების საწინააღმდეგო პრეპარატი (ამჟამად სრულდება მეორე თაობის ინჰიბიტორებზე – გრძელჯაჭვიან, მრავალმუხტიან ანიონაქტიურ მოლეკულებზე მუშაობა);

– ამფიცეზინი, პირველი პრეპარატი მსოფლიოში, რომელიც მოქმედებს მხოლოდ სიმსივნურ უჯრედებზე და არ აზიანებს ორგანიზმის ჯანმრთელ, ნორმალურ უჯრედებს. იგი ახერებს სიმსივნური უჯრედების ადჰეზიას ენდოთელიუმზე, ანუ გააჩნია პეპარინმაგვარი მოქმედება;

– ამფიცეზინი, აქვს მახელატირებელი (ციკლურმომქმნელი) ეფექტი და მონაწილეობს მძიმე მეტალთა კანცეროგენული იონების შებოჭვაში (კოორდინაციაში);

– ამფიცეზინი, ტუტე მეტალების – ცეზიუმისა და რუბიდიუმის (კალიუმის ანალოგები) მატარებელი, უზრუნველყოფს მათ ტრანსპორტს და სიმსივნურ უჯრედებში შეღწევას;

- ამფიცეზინი, წარიტაცებს სიმსიგნური უჯრედებისათვის საჭირო კატიონებს და აიძულებს სიმსიგნურ უჯრედებს განიცადონ საკვების დეფიციტი;
- ამფიცეზინი, ზრდის უჯრედთა მდგრადობას პიპოქსიისადმი (ჟანგბადის ნაკლებობა) და აძლევრებს იმუნიტეტს;
- ამფიცეზინი, უზრუნველყოფს სიმსიგნური უჯრედების ნაწილის, რომლებშიც გადაგარების პროცესი ჯერ კიდევ არ არის შორს წასული (ანუ ონკოუჯრედები გენეტიკური აპარატის დაზიანების გარეშე), ნორმალურ მდგომარეობაში დაბრუნებას, დანარჩენი ონკოუჯრედები კი იღუპება;
- ამფიცეზინი, ხასიათდება კარგი შეთავესებულობით სიმსიგნის საწინააღმდეგო სხვა სამკურნალო პრეპარატებსა და თერაპიის მეთოდებთან;
- ამფიცეზინი, როგორც მრავალმუხტიანი ანიონაქტიური ნაერთი განსხვავდება არსებული სიმსიგნის საწინააღმდეგო ქიმიოპრეპარატებისაგან, რომელთაც გააჩნიათ მაღალი ციტოტოქსიკურობა. ახალი თაობის ამ კლასის ნაერთებს ახასიათებთ სიმსიგნის საწინააღმდეგო მოქმედების მაღალი შერჩევითობა და სპეციფიკურობა;
- ამფიცეზინი, სხივური თერაპიის სამკურნალო-პროფილაქტიკური დოზების შემცირების საშუალებას იძლევა, უფრო მეტიც, მისი წევალობით ზოგჯერ შეიძლება მთლიანად უარისთვის რადიოთერაპიაზე;
- ამფიცეზინი, და ახალი თაობის ამ კლასის სხვა წარმომადგენლები, შეიძლება გამოყენებულ იქნეს მცირე დოზებით, ხანგრძლივი დროის განმავლობაში, სიმსიგნურ დაგადასტურებათა საპროფილაქტიკოდ.

დადასტურებულად შეგვიძლია იმის აღნიშვნა, რომ „ალექტრული მუხტი“ და საზოგადო „ელექტრობა“, ჩვენს გარდა, ჯერ არ გამოყენებულა ონკოლოგიაში და იგი, თუ არ ჩავთვლით ცალკეულ გამონათებებს, ბურუსითაა მოცული.

ლიტერატურა

1. ირაკლი ნადირაძე, გივი ჩიქობავა. ონკოლოგია. წიგნი I. თბილისი, 2014, 160გვ.
2. ონკოლოგია. წიგნი II. ირაკლი ნადირაძის საერთო რედაქციით. თბილისი, 2017, 416 გვ.
3. Надирадзе И.Ш. Синдром Мачабели в онкологии. Тбилиси, Chronograph, 2000.
4. Вольф М., Рансбергер К. Лечение ферментами. -М., Мир, 1976, 232 с.
5. Дятлова Н.М., Тёмкина В.Я., Попов К.И. Комплексоны и комплексонаты металлов. М., Химия, 1988, 544 с.
6. Абрамзон А.А. Поверхностно-активные вещества. -Л., Химия, 1981, 204 с.
7. Адамсон А.В., Физическая химия поверхности. -М., Мир, 1979, 232 с.
8. Фридрихсберг Д.А. Курс коллоидной химии. -Л., Химия, 1984, 484 с.
9. Файнгольд С., Кууск А., Кийк Х. Химия анионных и амфолитных азотсодержащих поверхностно-активных веществ. -Таллин, Валгус, 1984, 200 с.
10. საქართველოს დეპონირების დამადასტურებელი მოწმობა №6811, დეპონირებულია 19.12.2016წ.

SUMMARY

AMPHICEZINE – A NEW GENERATION INHIBITOR (PRECIPITANT) FOR POSTOPERATIVE METASTASIS OF MALIGNANT TUMORS

Chigogidze N.Sh, Nadiradze I.Sh., Tsivtsivadze V.P. and Tsivtsivadze T.I.

Biological Active Material Research Center of Georgian Technical University

Scientific Center of Georgia-Israel Joint Clinic Gidmedi

Caucasus International University

The development of malignant tumors (cancer) and the processes of their metastasis in the body is an actual problem for scientists and researchers in the field of oncology as well as for various specialties, who conduct scientific research in this field in many countries around the world, including Georgia. In the last decade, in abroad as well as in our country, there is a growing tendency of oncological diseases and the number of patients has increased too. Despite the dedicated struggle against cancer by medical representatives (and not only by them), cancer is still an invincible disease. (Except for rare exceptions), and many of the processes associated with cancer cells in the body remain unstudied. Employees of the Biological Active Material Research Center of Georgian Technical University (Prof. N. Chigogidze) and the Scientific Center of Georgia-Israel Joint Clinic Gidmedi (Prof. I. Nadiradze) received a Georgian patent №P2019 7005B, date of registration 17.07.2019 year for an invention "Creation of new metastases inhibitors for oncological diseases chemotherapy"

Keywords: cancer, metastasis, oncology, inhibitor, amphicezine, malignant, fibrin, adhesion, proliferation, membrane, oncologic cell.

**ზოსფოლიპიდების უნიტარულობასი თვისებები მზარდირას ზეთის
ნეიტრალიზაციის პროცესში**

სირამე მ.გ., მნელაძე ს.ჯ.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ტრიგლიცერიდების უნიტარულობას თანაურ ნივთიერებას წარმოადგენს მცენარეულ ზეთებში გახსნილი ფოსფოლიპიდები, რომლებსაც თავისი ქიმიური აღნაგობიდან გამომდინარე შეუძლიათ შეცვალონ ფაზური და ენერგეტიკული ურთიერთქმედება პოლარულ და არაპოლარულ ფაზებს შორის. ფოსფოლიპიდებისათვის ასეთი აქტიურობის არსებობა განპირობებულია მათი სტრუქტურით, პოლარობით და პოლარიზაციით, ასევე გარე ფაქტორებით: ტემპერატურით, გამსხველის (არე) ხასიათით, კონცენტრაციითა და გაყოფის საზღვარზე ფაზების თავისებურებით.

დაბალპოლარულ გამსხველებში, კერძოდ მცენარეული ზეთების ტრიაცილგლიცერილებში გახსნილი ფოსფოლიპიდების თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ ისინი პრაქტიკულად არ ამჟღავნებენ ზედაპირულ აქტიურობას „გამსხველი-ჰაერი“ ფაზების გაყოფის საზღვარზე. მათი ზედაპირული აქტიურობა არაპოლარულ გამსხველებში აშკარად გამოიხატება წყალთან გაყოფის საზღვარზე. ფოსფოლიპიდური ხსნარების ასეთი თავისებურების გამო, ისინი მიეკუთვნებიან ზედაპირულად აქტიურ ნივთიერებათა ჯგუფს და გააჩნიათ ზეთებში მიცელარული ხსნარების ფორმირების უნარი.

ფართოდაა შესწავლილი მცენარეული ზეთებში ფოსფოლიპიდების მონაწილეობით მიმდინარე ძირითადი ქიმიური რეაქციები, კერძოდ ნახშირწყლებთან და პიგმენტებთან მათ ურთიერთქმედების რეაქციები, ფოსფოლიპიდების ჟანგვის რეაქციები და ასევე მათი შესაძლო დესტრუქცია კონცენტრირებული ტუტების წყალხსნარებთან ურთიერთქმედებისას [1-3].

არსებობს მცენარეული ზეთებიდან ამ ნივთიერებათა მოცილების სამრეწველო მეთოდი – ჰიდრატაცია, რომელიც განპირობებულია ზეთში გახსნილი ფოსფოლიპიდების მოლექულების ზედაპირული აქტიურობით წყალთან საზღვარზე [2,3].

ჰიდრატირებული ზეთების ტუტე ნეიტრალიზაციის პროცესის ეფექტურობის შესაფასებლად არ არსებობს საკმარისი კვლევები, რომლებიც უზრუნველყოფენ, რომ საკმარისად ობიექტურად განისაზღვროს ფოსფოლიპიდების მოცილების სრული გავლენა პროცესის ეფექტურობის ძირითად მაჩვენებელზე – ნეიტრალიზირებული ზეთის გამოსავალიანობაზე.

ლიტერტურული მონაცემებით ბამბის ზეთის ტუტე ნეიტრალიზაციის სტადიაზე ზეთის გამოსავლიანობის ზრდა ფოსფოლიპიდების წინასწარი ჰიდრატაციის გამოყენების შემთხვევაში შეადგენს 1 %; ე.ი. არსებულ კვლევებში ფაქტიურად დაფიქსირებულია ნეიტრალიზირებული ზეთის გამოსავლიანობის ნამატი, რომელიც არის არაპირატირებული ზეთის დანაკარგების ნორმირებული სიდიდე, რაც აიხსნება ასეთ ზეთებში არსებული ფოსფატიდების სრული დაშლით [1].

ზოგიერთი აგტორის აზრით კი მაღალი ხარისხის მცენარეული ზეთების მისცელების რაფინირებისას მიზანშეწონილია წინასწარი ჰიდრატაციის ჩატარება, რაც ნეიტრალიზირებული ზეთის გამოსავლიანობას 3,0–4,0%-ით გაზრდის [4,5], დაბალი ხარისხის ზეთებისათვის კი – წინასწარი ჰიდრატაციის ჩატარება ნაკლებ ეფექტურია [3].

ზემოაღნიშვნული მონაცემები გვესახება არასრულფასოვნად ფოსფატიდების, როგორც ზედაპირულად აქტიური ნივთიერებების, მაგმულგირებელი უნარის შესახებ ცნობილი წარმოდგენების გამო [3,6,7].

მცენარეული ზეთების ტუტე ნეიტრალიზაციის პროცესში ფოსფოლიპიდების მაგმულგირებელი ქმედების შესახებ წარმოდგენების დაზუსტების მიზნით ლაბორატორიულ პირობებში ჩატარდა „ზეთი-წყალი“ სისტემაში ფოსფოლიპიდების და ნეიტრალიზაციის პროცესის შედეგად წარმოქმნილი საპნის მაგმულგირებელი უნარის

შედარებითი შეფასება. ფოსფოლიპიდების მაქმულგირებელი „უნარი ზეთი-წყალი“ სისტემაში შესწავლილი იქნა მზესუმზირას ფოსფატიდების მაგალითზე ზოგადად მიღებული ტესტის – მოცემულ სისტემაში ფოსფოლიპიდების ტენის შემაკავებელი უნარის მიხედვით. ექსპერიმენტმა აჩვენა, რომ ფოსფოლიპიდების ტენის შეკავების უნარი რამდენჯერმე აღემატებოდა საპნის ტენის შემაკავებელ უნარს.


„ზეთი-ტუტეწყალსნარის“ სისტემაში ფოსფოლიპიდების მაქმულგირებელი უნარის გავლენა ნეიტრალიზირებული ზეთის გამოსავლიანობაზე დადასტურებულ იქნა ჩატარებული ექსპერიმენტების სერიით – გულდასმით რაფინირენულ და გათეთრებულ მზესუმზირას ზეთში გახსნილი ფოსფატიდებისა და თავისუფალი ცხიმოვანი მჟავების მოდელურ სნარებზე.

მოდელებში აღებული ნივთიერებები შეტანილ იქნა სამრეწველო მზესუმზირას ზეთებში მათი მასური წილების დონეების შესაბამისად (ფოსფოლიპიდები – 0,5 – 1, 5 %, თავისუფალი ცხიმოვანი მჟავები: ცდების 1-ლი სერია – 1,5 %; ცდების მე2 სერია – 3,0 %).

ლაბორატორიულ პირობებში მიღებული მოდელები დამუშავებულ იქნა ტუტის წყალსნარებით საცდელი რაფინირების მეთოდით. ტუტის სნარის კონცენტრაცია და ნაჭარბი განისაზღვრა ზეთის მჟავიანობის მიხედვით [8].

ზემოთ აღწერილი მზესუმზირას მოდელური ნიმუშების საცდელი რაფინირების შედეგები მოცემულია ნახ. 1 და 2-ზე.


ექსპერიმენტების შედეგები მოწმობენ, რომ მზესუმზირას ზეთის მოდელური სნარების ტუტე რაფინირებისას ნეიტრალიზირებული ზეთის გამოსავალი ფოსფოლიპიდების კონცენტრაციის პირდაპირპროპორციულია. ეს დამოკიდებულება თავს იჩნეს მაღალი სარისხის ზეთებში მჟავური რიცხვის მიუხედავად.



ნახ. 1. ნეიტრალიზაციის პარამეტრები: $C[RCOOH] = 1,5\%$;

1. $C[NaOH] = 40 \text{ г/ლ}$; ნაჭარბი – 10%;


2. $C[NaOH] = 100 \text{ г/ლ}$; ნაჭარბი – 20%.



ნახ. 2. ნეიტრალიზაციის პარამეტრები: $C[RCOOH] = 3,0\%$;

1. $C[NaOH] = 40 \text{ g/l}$; ნაჭარბი – 10%;
2. $C[NaOH] = 100 \text{ g/l}$; ნაჭარბი – 20%.

ჩატარებული კვლევების სრულყოფისათვის ექსპერიმენტი გაგრძელდა დაბალი ხარისხის მზესუმზირას ზეთზეც, რომლის მეაგური რიცხვი იყო 6 % და რომლის ნეიტრალიზაციისათვის გამოყენებულ იქნა ტუბის მაღალი კონცენტრაცია და ნაჭარბი. შედეგები მოცემულია ნახ. 3-ზე.



ნახ. 3. ნეიტრალიზაციის პარამეტრები: $C[RCOOH] = 6,0 \text{ %}$;

1. $C[NaOH] = 150 \text{ g/l}$; ნაჭარბი – 30 %;
2. $C[NaOH] = 200 \text{ g/l}$; ნაჭარბი – 100 %.

ჩვენს მიერ წარმოებული კალევების მონაცემებით დაბალი სარისხის ზე-თებში ფოსფოლიადების მაქტულგირებელი ქმედების გავლენა ნაკლებად შესამჩნე-ვია, ვიდრე ემულგირება ნეიტრალურიზაციის პროცესის შედეგად წარმოქმნილი საპნიო (სოაბსტოკი).

უნდა აღინიშნოს, რომ „ზეთი-ტუტენჴალხსნარის“ სისტემაში ორი ემულგატორის კონცენტრაციების შეფარდება, და შესაბამისად, მათი გავლენაც არ არის მუდმივი: ტუტე ნეიტრალიზაციის პროცესის პირველ მომენტებში მაგრულგირებელ თვისებას იჩენებ ფოსფოლიპიდები, ვინაიდან საპონი, პეტეროგენულ სისტემაში მისი წარმოქმნის უფრო დაბალი სიჩქარის გამო, ჯერ კიდევ უნდა წარმოიქმნას. ამ ორი ემულგატორის შედარებითი ეფექტურობა შეიძლება იცვლებოდეს ცხიმოვანი მჟავების კონცენტრაციის გაზრდასთან ერთად. 6,0 % მჟავური რიცხვის მქონე მზესუმზირას ზეთებში, სადაც ცხიმოვანი მჟავების კონცენტრაცია თითქმის 4-ჯერ აღემატება ფოსფატიდების კონცენტრაციას, ჩატარებულმა ცდებმა აჩვენა, რომ ფოსფოლიპიდების მაგრულგირებელი ქმედების გავლენა ნაკლებად შესამჩნევია, ვიდრე ემულგირება წარმოქმნილი საპნის ხარჯზე.

ექსპერიმენტის შედეგად მიღებული მონაცემები მოწმობენ, რომ ტრიგლიცე-
რიდების (ნეიტრალიზირებული ზეთის) მნიშვნელოვანი რაოდენობა წარიტაცება
სოაბსტოკში (ნარჩენებში) არა ნეიტრალიზაციის პროცესში წარმოქმნილი საპნის
ხარჯზე, არამედ „ზეთი-ტუტექუალსნარის“ სისტემაში არსებული ფოსფოლიპიდების
მაქმულებელი ქმედების გავლენით.

იმის გამო, რომ ლაბორატორიულ პირობები ჩატარებული საცდელი რაფინირება მეთოდური ცდომილებებით ხასიათდება, ზეთის სამოდელო ნიმუშების საცდელი ლაბორატორიული რაფინირების შედეგების გამოყენების საფუძველზე ახალი ზური მიღომა შემუშავდა, რაც ამ მეთოდის მეტროლოგიური მახასიათებლების დადგენაში მდგრამარეობს.

მზესუმზირას ზეთის ლაბორატორიული რაფინირებისას ზეთის გამოსავლიანობის განსაზღვრის ცდომილებების გაანგარიშებისათვის დასამუშავებელი მონაცემების შედეგები მოცემულია ცხრილში (ადგებულია დაბალი ხარისხის ზეთი):

საცდელი რაფინირების მეტროლოგიური დახასიათება

№ ექსპერ.	ზეთის გამოსავლიანობის მნიშვნელობები	№ ექსპერ.	ზეთის გამოსავლიანობის მნიშვნელობები
1	79,0	14	79,0
2	79,0	15	80,0
3	80,0	16	79,0
4	79,0	17	79,0
5	81,0	18	79,0
6	81,0	19	80,0
7	81,0	20	81,0
8	79,0	21	81,0
9	79,0	22	80,0
10	80,0	23	79,0
11	81,0	24	79,0
12	81,0	25	79,0
13	81,0		

ცხრილში წარმოდგენილი მონაცემების დამუშავებაზ გვიჩვენა შემდეგი შედებები:

საშუალო არითმეტიკული მნიშვნელობა $X = \pm 79,84\%$;

საშუალო კვადრატული გადახრა $S = \pm 0,9\%$;

დასაშვები შეუსაბამობები ორ პარალელურ

$$d = 1,77 \cdot S = 2,5 \text{ \%}.$$

დამუშავებული მონაცემების საფუძველზე ლაბორატორიულ პირობებში ჩატარებული საკვალი რაოდინირების შედეგად მიღებული რაოდინირებული ზეთის გა-

მოსავლიანობის საშუალო კვადრატული გადახრა ($S = \pm 0,9\%$) მინიმალურია, ($<1\%-\text{ზე}$), რაც ექსპერიმენტის მაღალ ეფექტურობაზე მიუთითებს.

გამოკვლევების შედეგად დადგინდა, რომ მზესუმზირას ზეთის ნეიტრალიზაციის პროცესში ნეიტრალიზირებული ზეთის გამოსავლიანობა ფოსფოლიპიდების კონცენტრაციის პირდაპირპროპორციულია. ასეთი დამოკიდებულება თავს იჩენს მაღალი ხარისხის ზეთებში მუავური რიცხვის მიუხედავად. რაც შეეხება დაბალი ხარისხის ზეთებს – ფოსფოლიპიდების მატერიალების ქმედების გავლენა ნაკლებად შესამჩნევია, ვიდრე ემულგირება წარმოქმნილი საპნის ხარჯზე.

ლიტერატურა

1. Волотовская С.Н., Кузнецова Н.В., Майорова Н.Н. Потери при рафинации хлопкового масла. //Масло-жировая промышленность, 1980, №3, с.25.
2. Паронян В.Х. Технология жиров и жирозаментелей. – М.: ДeЛиПринт, 2006, сс. 158-168, 241-248.
3. Манана Сирадзе, Ирина Бердзенишвили. Масла растительные. Химический состав и совершенствование технологии рафинации. (Монография). -Тбилиси, Технический университет, 2017, с. 44, 49-57, 110-115.
4. Сергеев А.Г., Стерлин Б.Я., Троско У.И. и др. Рафинация хлопкового масла в мисцелле. //Масло-жировая промышленность, 1960, № 12, с. 30.
5. Сирадзе М.Г., Бердзенишвили И.Г., Гоксадзе И.Б. Рафинация экстракционного подсолнечного масла. //Химический журнал Грузии, 2009, №2, с. 150.
6. А.И. Аскинази, Р.С. Махсон, И.И. Губман, Л.С. Сидорина. Влияние состава и качества масел на величину отходов и потерь в процессе сепарационной рафинации. /ДНИИТЭИПищепром, вып.1, М., 1981, с. 2.
7. Лежаич И., Мезон И., Дьюрдьевич Н., Шмит Ф. Влияние фосфатидов на процесс рафинации растительных масел. - Л.: Стеклогр. изд., 1973, сс. 4-8.
8. Руководство по технологии получения и переработки растительных масел и жиров. /Под редакцией Сергеева А.Г. и Ржехина В.П. - Л.: ВНИИЖ, 1973, т.II, издание 2-е. с. 26, 159, 350.

SUMMARY

THE MOST IMPORTANT PROPERTIES OF PHOSPHOLIPIDS IN THE PROCESS OF NEUTRALIZING SUNFLOWER OIL

Siradze M.G. and Dzneladze S.J.

Georgian Technical University

Studies have shown that the yield of refined oil in the neutralization process of sunflower oil is directly proportional to the concentration of phospholipids. Such an attitude is manifested despite the acid number in high quality oils. As for low quality oils - the effect of phospholipid emulsifying action is less noticeable than emulsifying at the expense of the resulting soap.

Keywords: phospholipid, neutralization process, sunflower oil, acid number, concentration.

**დგინდვის ხარისხის შეფასება აძროლადი კომპონენტების
ძრმალების მიხედვით**

შათირიშვილი შ.ი., გილაძე მ.თ., ჩხარტიშვილი ნ.ნ., შათირიშვილი ი.შ.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

აირადი ქრომატოგრაფიის გამოყენებით წონასწორული ორთქლის ფაზის ანალიზის მეთოდმა ფართო გამოყენება პპოვა, როგორც ინფორმაციულმა მეთოდმა, რომელიც არა მხოლოდ ორთქლის ფაზის ანალიზის საშუალებას იძლევა, არამედ მასზე დაყრდნობით ვდებულობთ მონაცემებს მასთან წონასწორობაში მყოფ თხევად და მყარი ფაზების შემადგენლობასა და თავისებურებებზე [1]. ამ მეთოდის გამოყენება განსაკუთრებით საინტერესოა ისეთი ობიექტებისათვის, რომელთა თხევადი ფაზებიც შეიცავენ არააქროლად ან მცირედაქროლად ნივთიერებებს, რაც საანალიზო სვეტში თხევადი ფაზის შეყვანისას იწვევს მასში ჭუჭყის დაგროვებას და მისი მახსინათებლების ცვლილებას. ასეთი სახის ობიექტებს ნაწილობრივ ეკუთვნის ღვინო და კონიაკი, რომელთა შემადგენლობაშიც შედიან შაქრები, მღებავი ნივთიერებები, ამინომჟავები და პეპტიდები.

არსებობს ორთქლის ფაზის ანალიზის რამდენიმე ვარიანტი: პირდაპირი, როდესაც სინჯი აირადი სივრციდან შეჰყავთ ქრომატოგრაფში და ობიექტის ტემპერატურას ხანდახან ზრდიან და კონცენტრირებით, როდესაც აირადი ნაკადით ორთქლის ფაზიდან აცილებენ ნივთიერებებს, რომლებიც შემდგომში კონცენტრირდებიან ან შთაინთქმებიან დამჭერში და მხოლოდ ამის შემდეგ ხდება მათი ანალიზი.

ორივე ეს მეთოდი ჩვენს მიერ გამოყენებულ იქნა ღვინოების კვლევისათვის. პირველ შემთხვევაში ღვინოების ორთქლის ფაზის პირდაპირი ანალიზით სელექტიური დეტექტორების გამოყენებისას და მაკონცენტრირებელი მილიდან დესორბირებული აქროლადი კომპონენტების იდენტიფიცირებით ქრომატო-მასს-სპექტრომეტრის მეთოდით [2,3].

ამავე დროს, ხელმეორე ანალიზის ჩასატარებლად, სტატისტიკური მასალის შესაგროვებლად აუცილებელია აღებულ იქნას ორთქლის ფაზა წონასწორობის დაურღვევლად. ამ შემთხვევაში საინტერესოა მოწყობილობის სქემა, რომელიც თხევადი და ორთქლის ფაზების ანალიზის ერთდროული ჩატარების შესაძლებლობას იძლევა [4]. ამ დროს შესაძლებელი ხდება აირადი და თხევადი ფაზებიდან სინჯი წონასწორობის დარღვევის გარეშე საანალიზოდ იქნას მიწოდებული ქრომატოგრაფში. ამასთანავე სასურველია თხევადი ფაზა ხელმეორედ იქნეს კონდენსირებული. ორთქლის ფაზის ანალიზის ჩვენს მიერ შემოთავაზებული ვარიანტი საშუალებას გვაძლევს განვსაზღვროთ ნივთიერებათა განაწილების კოეფიციენტები აირად და თხევად ფაზათა შორის.

არომატის რიცხვის ფარდობითი მნიშვნელობა

კომპონენტები	დგინდვის მნიშვნელობა			
	მანავი	მუკუზანი	ტიბაანი	რქაწითელი
აცეტალდეპიდი	2,6	0,8	1,5	2,4
ეთილაცეტატი	0,7	1,4	1,4	1,4
მეთანოლი	0,1	0,2	0,1	0,5
ბუთილაცეტატი	—	—	0,5	0,5
პროპანოლი	2,4	2,6	3,0	2,5
ბუთანოლი	0,1	0,1	0,3	0,3
იზოამილის სპირტი	2,5	3,5	2,6	2,5
H-ამილის სპირტი	4,2	5,6	4,5	4,0
ეთილპალმიტატი	0,5	2,2	1,4	0,2
კანილინი	4,0	5,0	3,0	4,0
ფურფუროლი	3,6	—	3,5	5,6

ორთქლის ფაზის ანალიზი საშუალებას იძლევა ობიექტურად იქნეს შეფასებული კონკრეტულად იმ ნივთიერებათა კომპლექსი, რომლებიც განაპირობებენ სასმელის არომატს. ამ შემთხვევაში ის მრავალრიცხოვგანი გაზომვები, რომლებიც ჩატარებულია ქართული ღვინოების კვლევისას [5], საშუალებას იძლევა წონას-წორული ორთქლის ფაზის ანალიზის მონაცემების მიხედვით, შეფასებულ იქნას სხვადასხვა ღვინოების თვისობრივი მაჩვენებლები. აქ ხდება „არომატის რიცხვის“ გამოთვლა (ორთქლის ფაზაში მოცემული ნივთიერების კონცენტრაციის ფარდობა ამ ნივთიერების იმ ზღვრულ მნიშვნელობასთან, რომელიც შეიძლება შეიგრძნოს ადამიანმა). ზოგიერთი ღვინისათვის ეს მონაცემები მოცემულია ცხრილში.

ნაჩვენებია, რომ გამოკვლეულ ღვინოებში არომატის ფორმირებაში დიდ როლს თამაშობენ ალიფატური სპირტები, ეთერები, ფურფუროლი და ვანილინი. სამწუხაროდ, ზღვრული მნიშვნელობების ნაკრები მცირეა და ღვინოებში ზოგიერთი მათგანის შემცველობა ჯერჯერობით უცნობია.

ამგარად, გაუმჯობესებულია ორთქლფაზური ტექნიკა და ნაჩვენებია, რომ ორთქლფაზური ანალიზის მონაცემები საფუძვლად უდევს სასმელის ხარისხის შეფასებას არომატის რიცხვის მიხედვით.

ლიტერატურა

1. А.Г. Витенберг, Б.В. Иоффе. Газовая экстракция. -Л., Наука, 1982, 252 с.
2. Sh. Shatirishvili, I. Ninoshvili. Gas chromatographic analysis of wine materials vapor phase. /Bulletin of the Georgian academy of Sciences. 162, N1, 2000, pp.87-88.
3. გ. ზაკალაშვილი, ლ. მუჯირი, ი. შათირიშვილი. ღვინოების ორთქლის ფაზის გაზური ქრომატოგრაფიული ანალიზი. /აგრარული მეცნიერებების პრობლემები, ტ. XXIV, 2003 წ, გვ. 76-77.
4. Шатиришвили И.Ш., Зельвенский В.Ю., Закалашвили Г.Н. /Бюллетень изобретений, 1988, N11, с. 32.
5. Шатиришвили И.Ш. Хроматография грузинских вин. –Тбилиси, Ганатлеба, 1988, 170 с.

SUMMARY

EVALUATION OF THE QUALITY OF WINES ACCORDING TO THE COMPLEX OF VOLATILE COMPONENTS

Shatirishvili Sh.I., Kiladze M.T., Chkhartishvili N.N. and Shatirishvili I.Sh.

Georgian Technical University

The technique of vapor phase analysis is improved and the possibility of simultaneous analysis of vapor and liquid phases without disturbing equilibrium is shown. The obtained data is the base for the assessment of the quality of alcoholic drinks according to the “complex of volatile components”.

Keywords: selective detector, aliphatic alcohols, vapor phase method, coloring substances.

შპეციალური მასით დამზადებულ ქართულ
ლინგვის მეტალთა შედარებითი შესწავლა

სორდია ე.პ., ქარცხაგა გ.რ.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ლვინო სულ უფრო და უფრო პოპულარული პროდუქტი ხდება ადამიანის ცხოვრებაში. თავისი სოციალური მნიშვნელობის გარდა, ლვინოს აქვს მნიშვნელოვანი ეკონომიკური გავლენა და კომერციული ღირებულებაც. ლვინოს წარმოება ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი სასოფლო-სამეურნეო პროცესია და მოითხოვს მასში შემავალი ქიმიური ელემენტების მყაცრ ანალიზურ კონტროლს ყურძნის წარმოების პროცესიდან საბოლოო პროდუქტამდე [1]. ინფორმაცია ლვინის სხვადასხვა კომპონენტის რაოდენობრივი კონცენტრაციის შესახებ, მედვინეობის ყველა ეტაპზე, მედვინების საშუალებას აძლევს აკონტროლონ მაღალი ხარისხის ლვინის მიღების პროცესი გარკვეული გემოთი, ბუქეტით, ფერით, არომატით და გამჭვირვალობით [2,3]. ყურძნის ჯიშმა, დამუშავების მეოთვმა და მეგენახეობის სტადიაზე ჩატარებულმა სამუშაოებმა, წყალმაც კი შეიძლება დიდი გავლენა მოახდინოს ლვინის ხარისხზე.

ლვინის ქიმიური შემადგენლობა ძალიან როგორია – მასში 9000-მდე ნაერთია იდენტიფიცირებული. ეთანოლის, შაქრის, ორგანული მჟავების, პოლიფენოლების, ცილების, ამინომჟავების, პოლისაქარიდების, ტანინების, არომატული და საღებარი ნივთიერებების გარდა ლვინო ასევე შეიცავს მინერალურ ნივთიერებებს. მათი მაღალი შემცველობით გამოირჩევა ყურძნის კანი, კლერტი, წიპტა. ისინი მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ლვინის ორგანოლეპტიკური თვისებების ჩამოყალიბებაში. ლვინის შემადგენლობაში გვხვდება სხვადასხვა ლითონები, რომლებიც შეიძლება იყოს თავისუფალი იონების, ორგანული მჟავების კომპლექსების, ასევე პექტინის, პოლისაქარიდების, პეტიონების, ცილებისა და პოლიფენოლების დიდი მოლექულების სახით [4].

ლვინოს დადებითი გავლენა აქვს ადამიანის ჯანმრთელობაზე, ხელს უწყობს ორგანიზმის გამდიდრებას Ca, Mg, Fe, K, Zn, Cu-ით. მძიმე მეტალები, როგორიცაა ტყვია, რკინა, თუთია დასაშვებ ზღვრებში უნდა იყოს და ადამიანის ჯანმრთელობაზე უარყოფით გავლენას არ უნდა ახდენდეს. ამიტომ ლვინის შედგენილობის ანალიზს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს და უნდა ხორციელდებოდეს მუდმივი მონიტორინგი ლვინის წარმოების ყველა ეტაპზე.

მნიშვნელოვანია დადგინდეს, თუ საიდან ხდება მეტალების გადასვლა და ლვინში. მეტალები, როგორც საბოლოო პროდუქტი, შეიძლება წარმოიშვას როგორც ბუნებრივი, ისე ანთროპოგენური წყაროებიდან [3]. მათი კონცენტრაცია დამოკიდებულია ფაქტორების მინიმუმ ოთხ ჯგუფზე: პირველი – ნიადაგი, საიდანაც ყურძენი ითვისებს მინერალებს. მეტალები სხვადასხვა ფორმით ვაზის ფესვებიდან გადადიან მარცვალში და შეადგენენ ლვინოში არსებული იონების უმეტეს ნაწილს. მეორე ჯგუფი დაკავშირებულია ადამიანურ საქმიანობასთან: ვაზის მოყვანა, პესტიციიდების, ფუნგიციიდების და სასუქების გამოყენება. ასევე მნიშვნელოვანი ფაქტორია ჰაერის დაბინძურება. ყურძენში მძიმე მეტალების შემცველობა დამოკიდებულია იმ გარემოზე, სადაც მცენარე იზრდება [5]. მესამე ჯგუფი უკავშირდება ალკოჰოლური ფერმენტაციის განხორციელებას და შესაძლოა სხვადასხვა ნივთიერებების დამატებას და ლვინის წარმოებაში [6]. მეოთხე – ლვინის დასამზადებლად გამოყენებული ალკოჰოლი განვითარება, რა მასალებია გამოყენებული ლვინის დაკენების პროცესში, თუ რა პირობებში ხდება ლვინის დაძველება, კონსერვაცია და ჩამოსხმა [5,6].


ცნობილია, რომ ყურძენი მგრძნობიარება ნიადაგის ჭარბი მარილიანობის მიმართ. ვაზის კვდომა მატულობს საირიგაციო წყალში მარილების კონცენტრაციის ზრდისას. როგორც კი იონები ხელებიან ფესვთა სისტემაში, მათ შეუძლიათ დაგროვება ფოთლებში, მარცვალში და იწვევენ მინერალურ ბალანსში ცვლილებებს. ზოგიერთი იონი (K, Ca, Na) აუცილებელია ვაზის ზრდისთვის და მაღალხარისხოვანი ყურძნის მოსაყვანად საჭირო მინერალური ბალანსის უზრუნველსაყოფად. კალიუმი შეადგენს ყურძნის მშრალი წონის 3%-ს, ნატრიუმი საჭიროა შედარებით ნაკლები

რაოდენობით და ჩვეულებრივ ყურძნის მშრალი წონის 0,5%-ზე ნაკლებია. მათმა მაღალმა კონცენტრაციებმა შეიძლება გავლენა მოახდინოს ღვინის ხარისხზე [7].

დღესდღეობით როგორც საქართველოში, ასევე მის ფარგლებს გარეთ ქვევრის ღვინი სულ უფრო და უფრო პოპულარული ხდება, რასაც ქვევრის ღვინის მწარმოებლების რაოდენობის სწრაფი ზრდა ადასტურებს. ქვევრის და ევროპული წესით დაყენებული ღვინოები განსხვავდება ერთმანეთისაგან. მათი განსხვავებულობა გამოიხატება როგორც გემოთი ასევე ფერით.

ჩვენი კვლევის მიზანია დაგინდეს რა გავლენას ახდენს ქვევრი ღვინის გარკვეულ პარამეტრებზე, რით განსხვავდება იგი ევროპული წესით დაყენებულ ღვინოსთან შედარებით და ექსტრაგირდება თუ არა ქვევრის კედლებიდან ღვინოში მეტალების გარკვეული რაოდენობა.

ექსპერიმენტისთვის შერჩეულ იქნა კახეთის ცნობილი ჯიშები, რქაწითელის და ქისის ქვევრისა და ევროპული წესით დამზადებული ღვინოები. ორივე ჯიშის ყურძენი დაკრეფილ იქნა ერთსა და იმავე პერიოდში, ღვინოების წლოვანებაც ერთია, ღვინოები ინახებოდა ერთნაირ პირობებში. ექსპერიმენტი ჩატარდა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის ბაზაზე არსებულ ლაბორატორიაში.



ზოგიერთი მეტალის სტანდარტის საკალიბრო მრუდი
 δ – Mg; δ – K; δ – Na

დვინოში მეტალების კონცენტრაციის განსაზღვრის რეკომედებული მეთოდები ძირითადად დაფუძნებულია ატომურ-აბსორბციულ სპექტრომეტრიაზე, რომელსაც ახასიათებს სელექციურობა, მაღალი მგრძნობიარობა და პირდაპირი გაზომვების უნარი [3]. ელემენტების კონცენტრაციები განისაზღვრა მეტალების სტანდარტული სსნარებით. საკალიბრო გრაფიკის ასაგებად გამოყენებულ იქნა 1000 მკგ/ლ კონცენტრაციის სტანდარტული სსნარი, საიდანაც აღებულ იქნა კონცენტრაციის სამი განსხვავებული წერტილი.

დვინის ნიმუშებში განსაზღვრული მეტალების კონცენტრაციები

	რქაწითელი (ქვევრი)	რქაწითელი (ეგროპული წესით)	ქისი (ქვევრი)	ქისი (ეგროპული წესით)
Mg (ppm)	2,29	2,47	3,27	3,32
K (ppm)	3,94	3,96	4,07	4,08
Na (ppm)	0,22	0,17	0,18	0,15
Ca (ppm)	37,6	35,02	48,01	44,05
Al (ppm)	0,40	1,28	0,99	1,02
Pb (ppm)	<0,5	<0,5	<0,5	<0,5
Fe (ppm)	<1	<1	<1	<1
Zn (ppm)	<1	<1	<1	<1

მეტალების განსაზღვრის შედეგად დადგინდა, რომ ჩვენ მიერ შერჩეული ვაზის ჯიშების დვინოებში მძიმე მეტალების (Pb, Fe, Zn) შემცველობა დასაშვებ ზღვრებშია. როგორც ვიცით, ქვევრის თისის შემადგენლობაში გვხვდება კაოლინიტი, კვარცი, მინდვრის შპატი, ქარსი, ასევე რკინის, კალციუმის, მაგნიუმის, ნატრიუმის და სხვ. ეანგეულები. დადგენილია, რომ ქვევრის ფსკერი ასრულებს ერთგვარ სორბენტის როლს, რადგან იქ ილექტა დვინოში შემავალი მეტალების დიდი ნაწილი. ჩვენ მიერ გაანალიზებულ ნიმუშებში, როგორც ცხრილის მონაცემებიდან ჩანს, მინერალური ნივთიერებების (Na, Ca) რაოდენობა მეტია ქვევრში დაყენებულ დვინოში, ვიდრე ევროპული წესით დამზადებულში. რქაწითელის ქვევრის დვინოში ნატრიუმის შემცველობა 0,22 ppm-ს შეადგენს, ხოლო კალციუმი 37,6 ppm-ია. ნიმუშებში შეიმჩნევა ასევე Ca-ის მაღალი შემცველობა ქვევრის დვინოში ევროპული წესით დამზადებულთან შედარებით. რქაწითელის ქვევრის დვინოში Ca 37,6 ppm-ს შეადგენს, იმავე ჯიშის ევროპული წესით დამზადებულ დვინოში 35,02 ppm, ხოლო ქისის ქვევრის დვინოში 48,01 ppm ევროპული წესით დამზადებულში 44,05 ppm. K-ის შემცველობა ორივე ტიპის დვინოში თითქმის თანაბარია. Mg-ის შემთხვევაში ფიქსირდება მცირედი განსხვავება, უფრო მეტი რაოდენობითაა მოცემული ევროპული წესით დამზადებულ დვინოებში ქვევრის დვინოებთან შედარებით. რაც შეეხება ალუმინის, მისი შემცველობა ბევრად მეტია ევროპული წესით დამზადებულ დვინოში, შეადგენს 1,22 ppm-ს, როცა ქვევრის დვინოში მხოლოდ 0,4 ppm-ია.

ამრიგად, ჩვენ მიერ შესწავლილ დვინოებში სავარაუდოა, რომ მინერალური ნივთიერებების შედარებით მაღალი შემცველობა გამოწვეულია დვინის დაყენებით ქვევრში, რადგან ქვევრის კედლებიდან ხდება კალციუმისა და მაგნიუმის იონების მიგრაცია დვინოში.

ლიტერატურა

1. Niina J. Ronkainen. Determination of Trace Elements in Wine by Atomic Spectroscopy and Electroanalytical Methods. USA, October 2016. DOI:10.5772/64932. pp: 418-422
2. Trajče Stafilov, Irina Karadjova. Atomic Absorption Spectrometry In Wine Analysis. Macedonian, January 2009. Vol. 28, No. 1, pp: 17–31.
3. Blanka Tariba. Metals in Wine—Impact on Wine Quality and Health Outcomes. Croatia, April 2011. DOI 10.1007/s12011-011-9052-7, pp: 143–156.
4. Krystyna Pyrzynska. Chemical speciation and fractionation of metals in wine. Warsaw, Poland, 2007. DOI: 10.3184/095422907X198040. pp:1-8.
5. Janja Kristl, Marjan Veber, and Metka Slekovec. The Contents Of Cu, Mn, Zn, Cd, Cr and Pb at Different Stages Of The Winemaking Process. Slovenia 2003, p:123–136.
6. M. Blesić, Maja Drmać, Kristina Batinić, Nermina Spaho, Mirela Smajić Murtić, M. Zele. Levels of selected metals in wines from different Herzegovinian viticultural localities. Bosnia and Herzegovina, 2017. DOI: 10.17508/CJFST.2017.9.1.01. pp:1-4.

SUMMARY

DETERMINATION OF METAL CONTENT IN QVEVRI AND EUROPEAN STYLE WINE SAMPLES

Sordia E.K. and Kvartskhava G.R.

Georgian Technical University

Wine is becoming an increasingly sought after product not only in Georgia but around the world too. It takes a significant place in the dining culture, therefore, its quality is important. Throughout centuries, Georgian people developed a particular way winemaking - holding concentrated grape juice in a large underground clay vessel- Qvevri. Minerals in wine play an important role in forming its organoleptic qualities. The qualities include taste and aroma. According to the previous research, high contents of calcium and potassium are due to using hard water for the irrigation of vine plants. Sodium and calcium migrate from the walls of a Qvevri, a widely used vessel in winemaking in Georgia. In this case, measured high concentrations are explained by this particular preparation process in Qvevri. Therefore, it is important to determine the sources of these metals.

Keywords: wine, metals, atomic absorption spectrometry.

СОВЕРШЕНСТВОВАНИЕ ТЕХНОЛОГИИ ПРОИЗВОДСТВА ВАРЕНЫХ КОЛБАСНЫХ ИЗДЕЛИЙ С ПРИМЕНЕНИЕМ БИОТЕХНОЛОГИЧЕСКИХ ПРИЕМОВ

Баль-Прилипко Л.В., Гармаш А.М

Национальный университет биоресурсов и природопользования, Киев, Украина

Использование ферментов является перспективным направлением в производстве вареных колбасных изделий. Процессы, происходящие в мясной системе при применении ферментов, с успехом могут быть реализованы на белковых субстратах при использовании на основе активированной воды [1]. Наиболее изученным способом ферментативного реструктурирования мясного сырья является применение трансглютаминазы.

Целью работы является совершенствование технологии варенных колбасных изделий (сосисок) с использованием активированной воды, растительного белка (глютена) и препарата трансглютаминазы Activa®GS. Стандартным образцом контроля были избраны сосиски, не содержащие названных ингредиентов.

Перед началом работ с использованием фермента следует определять его активность. Данный процесс характеризуется однако, высокой длительностью и трудоемкостью. Недостатками являются также сложности в приготовлении реактивов и использование дорогостоящего оборудования. В связи с этим перспективным направлением исследований является разработка простого в использовании и эффективного способа определения качества фермента с помощью количественного показателя каталитических эффективности препарата трансглютаминазы. Способ определения ее каталитической эффективности был разработан на кафедре технологии мясных, рыбных и морепродуктов НУБиП Украины [3].

В экспериментальных исследованиях для формирования стандартного геля был использован пищевой желатин и препарат трансглютаминазы Activa®GS. Для приготовления их растворов был использован буферный раствор с pH = 7,4. Показатель пенетрации гелей определяли пенетрометрами Ulab 3-31 M с конусным идектором (угол конуса 60°). Для термостатирования образцов и активации фермента использовали ультратермостат Ultratherm BWT-UBIOSAN. Контролем был раствор желатина не содержащий препарат трансглютаминазы.

Использование предложенного способа в условиях производственных лабораторий предприятия, научных организаций позволяет осуществлять оценку эффективности образования изопептидных связей промышленными препаратами трансглютаминазы без применения сложного, дорогостоящего оборудования и реактивов.

Активность фермента трансглютаминазы проводили на основе разработанного метода определения каталитической эффективности препарата трансглютаминазы. Целью работы было сравнение ее активности в системах на основе активированной и водопроводной воды.

Полученные экспериментальные диаграммы описывают величину пенетрации геля, полученного из раствора желатина и буферной смеси, католита, водопроводной воды с добавлением различного количества ферментного препарата трансглютаминазы в условиях термостатирования при температуре 50° С с последующей инактивацией и выдержкой для желирования в течении 12 часов при 25°C [2]:

Наименьшие показатели пенетрации характерны для католита (активированной воды из катодного пространства электролизера) при pH = 10 имеет самые низкие показатели пенетрации при наименьших и наибольших концентрациях препарата трансглютаминазы. При использовании водопроводной воды были получены обратные результаты. Показатель пенетрации и сила геля изменяются антибатно, т.е. наибольшие значения пенетрации были получены при наименьшей силе геля.

Таким образом, наивысшая активность ферментного препарата трансглютаминазы Activa®GS проявляется при использовании католита. Мясной фарш относится к системам с коагуляционной структурой, частицы которой связаны в сплошной каркас силами межмолекулярного взаимодействия. За счет данных изменений в рецептуре сосисок функционально-технологические свойства фаршей также изменились. Результаты исследований представлены в таблице 1.

Таблица 1.Функционально-технологические свойства опытного и контрольного фарша

Показатель	Образцы фарша	
	контроль	опыт
Содержание влаги, %	57,3±0,29	62,37±0,31
BCC _m , % к фаршу	62,5±0,31	65,2±0,33
BCC _a , % к общей влаге	80,4±0,4	89,7±0,45
Напряжение смещения, Па	9,7±0,05x10 ⁻⁶	4,3±0,02x10 ⁻⁶
Характеристики цвета	X=85,3±0,43, Y=80,41±0,4, Z=51,90±0,26	X=66,93±0,33, Y=60,29±0,3, Z=32,43±0,16
Пластичность, см ² /г	31,32±0,16 x 10 ³	26,66±0,13 x 10 ³

p<0,05

Способность пшеничного белка образовывать гидромодуль позволяет фаршевой системе удерживать большее количество реакционноспособной влаги, что подтверждается данными, полученными при сравнении опытного и контрольного образца. Согласно результатам исследований, BCC и BCC опытного образца фарша выше, чем при использовании контрольного образца, что объясняется состоянием в системе воды и глютена. Исследования напряжения сдвига опытных образцов также имеют лучшие показатели за счет наличия в рецептуре трансглютаминазы, улучшающей структурные и функционально-технологические свойства мясных систем.

Эмульгирующая способность и стабильность эмульсии фарша положительно влияют на выход колбасных изделий, их консистенцию, сочность, товарный вид .

Результаты исследования физико-химических показателей контрольных опытных образцов представлены в таблице 2:

Таблица 2. Физико-химические показатели опытного и контрольного образцов сосисок

Наименование, %	Контроль	Опыт	Нормы ДСТУ 4436:2005
Белок	16,07±0,03	18,9±0,11	не менее 12
Жир	22,76±0,05	20,45±0,04	не более 30
Влага	68,14±0,14	71,29±0,16	не более 70
Зола	3,01±0,001	3,84±0,001	не нормируется
Поваренная соль	0,07±0,01	0,05±0,01	не более 2,5
Общее содержание фосфата в пересчете на P ₂ O ₅	5676,5	-	не более 10000
Содержание фосфата в пересчете на P ₂ O ₅ , мг/кг	1659	-	не более 4000
Энергетическая ценность, кКал	269,12±1,346	259,65	-
pH	7,46±0,04	6,92±0,035	-
ОВП	+107	-21,38	-

p<0,05

Представленные результаты физико-химических показателей контрольных и опытных образцов сосисок показывают их соответствие нормативным требованиям. Массовая доля белка в опытном образце увеличилась за счет внесения глютена; содержание нитрита натрия уменьшилось под действием активированной воды.

Для оценки пищевой ценности был изучен аминокислотный состав фарша вареных колбасных изделий (сосисок) представлен в таблице 3.

Таблица 3. Аминокислотный состав фарша вареных колбасных изделий (сосисок) опытного и контрольного образцов

Название незаменимой аминокислоты	Эталон ФАО/ВСЗ г/100 г белка	Образцы			
		контроль		опыт	
		г/100 г белка	аминокислотный скор., %	г/100 г белка	Аминокислотный скор., %
Лейцин	7	8,283±0,041	118,3	9,659±0,048	137,9
Метионин + цистин	3,5	4,031±0,02	115,2	5,012±0,025	143,2
Валин	5	5,186±0,056	103,7	5,347±0,027	106,9
Лизин	5,5	6,256±0,031	113,8	6,846±0,034	124,5
Тreonин	4	4,169±0,021	104,2	4,257±0,021	106,4
Фенилаланин + тирозин	6	6,112±0,031	101,9	6,345±0,032	105,8
Триптофан	1	0,999±0,049	99,9	1,007±0,005	100,7
Изолейцин	4	4,572±0,023	114,3	4,846±0,024	121,2
Сумма	36	39,608±0,19	-	43,319±0,21	-

p<0,05

Полученные данные свидетельствуют о присутствии, как в контрольных так и в опытных образцах всех необходимых незаменимых аминокислот в количествах, превышающих рекомендованные нормы ФАО/ВСЗ, что позволяет сделать вывод о высоком качестве белковых компонентов исследуемых колбас.

Важным этапом исследования готовых мясных изделий является определение их жирно-кислотного состава, соответственно, биологической ценности.

Содержание пальмитиновой и стеариновой кислот в липидах контрольных образцов вареных колбас является меньшим по сравнению с контрольными и составляет 36,49-42,57%. Пальмитиновая кислота входит в состав глицеридов жиров и является конечным продуктом синтеза жирных кислот из ацетил-КоА. Ее наличие в липидах сосисок является чрезвычайно важным с точки зрения включения углеводов в цикл синтеза трикарбоновых кислот, а стеариновая кислота, как одна из наиболее распространенных в природе жирных кислот, входит в форму глицеридов в состав выполняющих функцию энергетического депо липидов.

Сумма мононенасыщенных жирных кислот варьируется в диапазоне 47,98 - 52% при преобладании содержания олеиновой кислоты, а ее количество в опытных и контрольных образцах существенно не отличается.

Полиненасыщенные жирные кислоты, положительно влияющие на обмен веществ и холестерина, являются жизненно необходимыми компонентами рациона питания. Однако, по суммарному содержанию их количества в образцах вареных колбас являются существенно меньшими по сравнению с другими группами кислот и варьируются в диапазоне 9,79-16,46%. Следует отметить, что в экспериментальных образцах фаршей сумма массовых долей биологически эффективных жирных кислот в два раза выше, чем в контрольных образцах.

Таблица 4. Перевариваемость белков сосисок *in vitro* опытного и контрольного образца

Фермент	Перевариваемость, мг тирозина/г белка	
	Контрольные образцы	Опытные образцы
Пепсином	12,13±0,06	13,62±0,07
Трипсином	13,53±0,07	14,16±0,07
Общая перевариваемость	25,66±0,13	27,78±0,14

p<0,05

Результаты определения перевариваемости белков *in vitro* дают возможность предсказать степень утилизации белков организмом человека. Так, согласно с данными эксперимента, общая перевариваемость белков в опытных образцах сосисок выше контрольных

на 2,12 мг тирозина/г белка, что свидетельствует о положительном влиянии ферментного препарата на пищеварение.

На основании результатов комплексных исследований установлено, что реализация усовершенствованной технологии вареных колбасных изделий на базе активированной воды с включением растительного белка и препарата трансглутаминазы Activa®GS позволяет улучшить показатели качества и безопасности готовых изделий. Экспериментальные данные подтверждены промышленной апробацией. Разработаны и утверждены в установленном порядке изменения в технической документации ТУ15.1.-32903790-003: 2006 «Колбасные изделия вареные».

ЛИТЕРАТУРА

1. Л.В. Баль-Прилипко, Н.М. Слободянюк, Б.И. Леонова, Ю.П. Крыжова. Актуальные проблемы мясоперерабатывающей отрасли. - К.: Компринт, Изд. 2-е, 2016, 423 с.
2. Л.В. Баль-Прилипко и др. Антиоксидантные свойства католита. // Вода в пищевой промышленности, Тез. VII Всеукр. научн.-практ. конф., Одесса, 26-27 апреля 2016, Одесса: ОНАХТ, 2016, сс. 4-7.
3. Л.В. Баль-Прилипко, А.С. Виннов, Б.И. Леонова, А.М. Гармаш, Р.В. Александров. Патент 90939 Украина, МПК C12N 9/10 (2006.01). Способ определения каталитической эффективности препарата трансглутаминазы. - заявка № 201401090; Заявл. 05.02.2014; Опубл. 10.06.2014, Бюл. № 11.

SUMMARY

IMPROVEMENT OF THE TECHNOLOGY OF PRODUCTION OF BOILED SAUSAGE PRODUCTS WITH THE APPLICATION OF BIOTECHNOLOGICAL METHODS

Bal-Prylypko L.V. and Garmash A.M.

National University of Life and Environmental Sciences of Ukraine

The technology of boiled sausages was optimized in use of preparation of trans-glutaminaza, activated water, and vegetative albumen. Their use permitted to improve indices of quality and safety of sausages in process of their storage.

Keywords: biotechnology, safety, trans-glutaminaza, boiled sausages

დამბალსაჭოში აღმოჩენილი ძირითადი სოპოს სახეობები

ძირკელი შეიტყობინებული ნ.დ., ქვარცხავა გ.რ., აფციაური ლ.გ.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

მთელ მსოფლიოში აგრარული მეურნეობის ტემას ზრდამ და სასურსათო პროდუქტებზე გაზრდილი მოთხოვნილების დაკმაყოფილების აუცილებლობამ, განაპირობა ახალი მეთოდების შემუშავება და არსებულის გაუმჯობესება. აღნიშნული-დან გამომდინარე გადავწყვიტეთ დამბალსაჭოს ბიო-ქიმიური და მიკრობიოლოგიური შესწავლა, რაც საშუალებას მოგვცემს შევინარჩუნოთ ტრადიციული პროდუქტის გემური თვისებები.

დამბალსაჭოს მომწიფებაში მონაწილე მიკროორგანიზმები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ.

მიკროფლორა შესაძლებელია დაიყოს ორ ჯგუფად: სტარტერული რძემქავა ბაქტერიები და მეორეული მიკროორგანიზმები. სტარტერული მიკროორგანიზმები წარმოქმნიან მჟავას და ხელს უწყობენ პროდუქტის მომწიფების პროცესს. ხოლო მეორეული მიკროორგანიზმები კი, როგორიცაა საფუვრები და ობის სოკოები, იზრდებიან პროდუქტის შიგნით, ან მის ზედაპირზე და წვლილი შეაქვთ ორგანოლეპტიკური თვისებების ჩამოყალიბებაში [1].

რაც შეეხება ობს და საფუვრებს, საფუვრების დაახლოებით 1500-მდე სახეობაა აღმოჩენილი, რომლებიც იწვევენ სხვადასხვა სასურსათო ნედლეულისა და მზა პროდუქტის გაფუჭებას. პროდუქტის ზედაპირზე მოხვედრილი საფუვრები იყენებენ რძემქავას და იწვევენ მისი მჟავიანობის შეცვლას, ხოლო გამწარებას განაპირობებს თავისუფალი ცხიმოვანი მჟავები, რომელიც წარმოქმნება საფუვრების ცხიმებზე მოხვედრისას [2].

სოკოები სურსათის გაფუჭების გამომწვევი მიკროორგანიზმებია. ობის სოკოები ხასიათდებიან სწრაფი გამრავლების უნარით. სასურსათო პროდუქტების და სასურსათო ნედლეულის ზედაპირზე მოხვედრის შემთხვევაში, წარმოქმნიან არასა-სიამოვნო სუნის მქონე ფიფქისებურ კოლონიებს. ხასიათდებიან მაღალი ფერმენტული აქტივობით. წარმოქმნიან ლიპოლიზურ, პროტეინოლიზურ, ფერმენტებს. ცილებს შლიან მონომერებად, ცხიმების დაშლის შედეგად წარმოქმნიან ცხიმოვან მჟავებს, კეტონებს, ალდებორიდებს, რასაც თან სდევს უსიამოვნო გემოსა და სუნის წარმოქმნა. შედეგად, სურსათის სასაქონლო სახე ქვეითდება. ობის სოკოები კარგად ვითარდებიან რძის პროდუქტების ზედაპირზე და გამოყოფენ ტოქსიკურ ნივთიერებებს – მიკოტოქსინებს, რომლებიც ხასიათდებიან მაღალი ტოქსიკურობით. მათი მცირე რაოდენობაც კი ძლიერ ტოქსიკურობას ავლენს. შეუძლიათ მარტივად დიფუნდირდნენ სასურსათო პროდუქტებსა და სასურსათო ნედლეულის დრმა ფენებში. მათი უმრავლესობა არის თერმომდგრადი და ძალიან კარგად უძლებს მაღალ ტემპერატურაზე დამუშავებას. მჟავე არეში ინარჩუნებენ მდგარდობას. ტუტე არეში იშლებიან და წარმოქმნიან არატოქსიკურ ან ნაკლებად ტოქსიკურ ნაერთებს [3].

დამბალსაჭოს მიკროფლორის ბუნება განსხვავდება ერთმანეთისგან და ეს ძირითადად დამოკიდებულია გეოგრაფიულ ადგილმდებარეობაზე, სადაც მოხდა პირველადი ნედლეულის-რძის მიღება, აგრეთვე პროდუქტის შენახვის პირობებზე, როგორიცაა გამოშრობა, ტემპერატურა, ჰაერის ფარდობითი ტენიანობა და შენახვის სხვა მეთოდები.

მასში არსებული მიკროფლორა ერთის მხრივ შესაძლოა წარმოადგენდეს პოტენციურ საფრთხეს ადამიანის ჯანმრთელობისათვის, იმიტომ რომ მათი მეტაბოლიტური ნივთიერებები შეიცავდნენ მეორად მეტაბოლიტურ პროდუქტებს-მიკოტოქსინებს. მიკოტოქსინების მნიშვნელოვანი მწარმოებლები არიან: ასპერგილიუსის, პენიცილიუმის და ფუსარიუმის სახეობები [4].

სოკოები, რომელიც დამბალსაჭოში გვხვდება, შესაძლოა პროდუქტს გადაეცეს უშუალოდ რძისგან და ასევე, შესაძლებელია წარმოქმნას პროდუქტის დამზადების პროცესში, როგორც დამოუკიდებლად, ასევე გარემოდან, ან ხელოვნურად შეყვანილი

– სტარტერული კულტურების სახით. მაგრამ ის სოკოები, რომლებიც რძეში არსებობენ, ან იმ გარემოში, სადაც პროდუქტის დამზადება მიმდინარეობს, ნაკლები ალბათობა და შანსი აქვთ, რომ ხანგრძლივად იარსებონ ან გამრავლდნენ მზა პროდუქტში. ეს უშუალოდ გამოწვეულია დამბალხაჭოს ბიოქიმიური შედგენილობით და მიკროფლორისა და მიკროფაუნის დამაპრკოლებელი, ხელის შემშლელი მოქმედებით.

სოკოებმა აგრეთვე შესაძლებელია უარყოფითად იმოქმედოს პროდუქტის ხარისხზე და გამოიწვიოს გარეგნული დაფაქტები, ნაკლოვანებები, არომატის წახდენა, და, რაც ყველაზე მთავარია, ხელი შეუწყონ ტოქსიკური, მეორეული მეტაბოლიტური პროდუქტის შექმნას.

ექსპერიმენტული ნაწილი

საწყის ეტაპზე შევისწავლეთ ექსპერიმენტისთვის გამოყენებული რძის მონაცემები. გავარკვიეთ მისი ქიმიური შედგენილობა და აღმოჩნდა, რომ არსებული ნედლეულის ქიმიური პარამეტრები შეესაბამებოდა სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

ნედლეული, რომელიც გამოვიყენეთ დამბალხაჭოს მოსამზადებლად იყო: I ხარისხის რძე, ბაქტერიული დედო, შემადედებელი ფერმენტი ქიმიზინი, კალციუმის ქლორიდი და მარილი. პირველადი პროდუქტი ხაჭო, მოვამზადეთ ტრადიციული მეთოდით და შემდეგ მოვახდინეთ მისი მეორეული გადამუშავება საბოლოო პროდუქტის მიღების მიზნით.

ჩვენი კვლევის მიზანს წარმოადგენდა შეგვესწავლა მომწიფების პროცესში მონაწილე ობის სოკოები. მათი გარკვეული ნაირსახეობები გამოკვლეული იქნა დამბალხაჭოში სტარტერულ კულტურაზე დაყრდნობის მეთოდით. აღმოჩნდა რომ პროდუქტი ძირითადად მაფერმენტირებელ მიკროფლორას წარმოადგენს, რომელიც მომწიფების პროცესში ვითარდება და იმ არსებითი მნიშვნელობის მქონე სოკოს ტიპებს მიეკუთვნება, რომლებიც დამბალხაჭოში ბინადრობენ და იზრდებიან. ასეთი მიკოტოქსიგენური სოკოებია: *Fusarium, Penicillium, Aspergillus, Cladosporium, Mucor*.

მიკროსკოპული სოკოების იდენტიფიკაციისათვის შესწავლილი იქნა მათი ფიზიოლოგიური მახასიათებლებლები, როგორიცაა: სხვადასხვა ტემპერატურაზე (10°C , 20°C , 25°C , 30°C) და ფარდობითი ტენიანობის სხვადასხვა პირობებში ზრდა. შედეგები მოცემულია ცხრილში:

სოკოების ფიზიოლოგიური მახასიათებლები კშებში

სოკოვანი შტამები	$10^{\circ}\text{C}, 80\%$	$20^{\circ}\text{C}, 85\%$	$25^{\circ}\text{C}, 90\%$	$30^{\circ}\text{C}, 95\%$
<i>Fusarium</i>	$1\times 10^{*2}$	$1\times 10^{*3}$	$1\times 10^{*2}$	$1\times 10^{*4}$
<i>Penicillium</i>	$1\times 10^{*4}$	$1\times 10^{*5}$	$1\times 10^{*7}$	$1\times 10^{*7}$
<i>Aspergillus</i>	$1\times 10^{*2}$	$1\times 10^{*4}$	$1\times 10^{*5}$	$1\times 10^{*6}$
<i>Cladosporium</i>	$1\times 10^{*2}$	$1\times 10^{*4}$	$1\times 10^{*6}$	$1\times 10^{*6}$
<i>Mucor</i>	$1\times 10^{*2}$	$1\times 10^{*2}$	$1\times 10^{*3}$	$1\times 10^{*3}$

დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ დამბალხაჭოში აღმოჩენილ ძირითადი სოკოს სახეობებზე გარემოს მაღალი ტემპერატურა ($20 - 30^{\circ}\text{C}$) და ჰაერის მაღალი ფარდობითი ტენიანობა ($85 - 95\%$) ხელსაყრელ პირობებს ქმნის მათი განვითარებისათვის.

როგორც ჩანს, ეფოლუციის პროცესში მათ აქვს უნარი ახალი ფორმების და ფიზიოლოგიური რასების წარმოქმნის. აღნიშნული სოკოები დამბალხაჭოში ძალიან ნელი ტემპით ვითარდება 5°C -ს დროს, საშუალოდ იზრდება $20 - 25^{\circ}\text{C}$ -ზე. ინტენსიურად ვითარდებიან $25-30^{\circ}\text{C}$ -ის ტემპერატურის პირობებში.

ლაბორატორიული კვლევით დადგენილია, რომ ობის გამომწვევი სოკოები წმინდა კულტურაში ხასიათდება სწრაფი განვითარების უნარით.

ტოქსინის წარმოშობა ყველაზე მაღალია 10°C დან 20°C გრადუსამდე ინტერვალში. პროდუქტის შენახვა 80% ტენიანობის პირობებში ამცირებს სოკოს ზრდას და შესაბამისად ხელს უშლის ტოქსინის წარმოშობასაც.

ამრიგად, მიკოტოქსინთა განვითარებაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ბიოტური და აბიოტური ფაქტორები. მათ შესწევთ უნარი მნიშვნელოვნად შეაფერხონ და ხელი შეუშალონ სოკოს განვითარებას, აღმოფხვრას ან მინიმუმამდე შეამციროს მიკოტოქსინთა დონეები.

დამბალხაჭოში არსებული სოკოს სახეობები არ შეიძლება დაგაჯგუფოთ, როგორც ტექნოლოგიური ან დამასხუებოვნებელი სოკოს ტიპები, იქიდან გამომდინარე რომ ერთი და იგივე სახეობა შესაძლოა ერთ შემთხვევაში გამოყენებული იქნას როგორც მომამწიფებელი კულტურა და მეორე შემთხვევაში შეიძლება მოგვევლინოს სრულიად უსარგებლოდ. სხვადასხვა სახეობის ობის სოკომ რძის სხვადასხვა პროდუქტზე შესაძლოა იმოქმედოს როგორც დადებითად, ასევე უარყოფითად. მაგალითად (*Aspergillus*) შესაძლოა გამოვიყენოთ როგორც ძირითადი მომამწიფებელი კულტურა დამბალხაჭოს შემთხვევაში, მაშინ როცა სხვა სახეობის რძის პროდუქტებში ის მიიჩნევა დამასხუებოვნებლად.

მიკოტოქსინთა კონტროლის წარმატებული შედეგები მივიღეთ იქ სადაც გათვალისწინებული იყო კონკრეტული პირობები, როგორც დამხადების ასევე შენახვის დროს. ვინაიდან გარემო პირობების ცვალებადობა მუდმივად ახდენდა ზეგავლენას მიკოტოქსინთა არსებობაზე, მათი რაოდენობისა და ხარისხის ცვალებადობაზე, ტოქსიკურობის დონეებზე, ცოცხალი და არაცოცხალი ფაქტორების ზემოქმედებაზე.

ლიტერატურა

1. Beresford P., Fitzsimons N., Brennan N., Cogan T. Recent advances in cheese microbiology. //International Dairy Journal, 2001, 11, 259-274 pp.
2. <https://www.sciencedirect.com/book/9781855737068/yeasts-in-food>
3. <https://www.sciencedirect.com/science/book/9781855737068>
4. Magan and Aldred 2007; Fox and Howlett 2008
5. Moretti, Antonio. Taxonomy of Fusarium genus: A continuous fight between lumpers and splitters. /Proceedings of the Matica Srpska for Natural Sciences, 2009, pp. 7-13.
6. Watanabe Maiko, Yonezawa Takahiro, Lee Ken-ichi, Kumagai Susumu, Sugita-Konishi Yoshiko, Goto Keiichi, Hara-Kudo Yukiko "Molecular phylogeny of the higher and lower taxonomy of the Fusarium genus and differences in the evolutionary histories of multiple genes". //BMC Evolutionary Biology, 2011, 11 (1): 322 p.

SUMMARY

THE MAIN FUNGUS'S SPECIES WHICH ARE DISCOVERED IN DAMBALKHACHO

Dzirkvelishvili N.D., Kvartskava G.R. and Aftsiauri L.G.

Georgian Technical University

The growth of agriculture around the world and the necessity to satisfy the growing demand for food products have led to the development of new methods and to the improvement of existing ones. One of such products is Dambalkhatcho, which is a protein concentrate obtained through special processing of milk and is a food product with high nutritional value, which is rich with taste properties. We can freely call it one of the most popular dairy products. As a result of microbiological, enzymatic and other biochemical processes in the product, the finished product acquires new, valuable organoleptic and useful properties compared to the milk and the body (organism) assimilates it much more easily. Therefore, the rational and cost-effective use of milk to obtain a quality product will be possible if the basic principles of dairy technology are perceived at a professional level.

Keywords: mold, dairy products, promotion of local production.

ობების გამოყენების როლი დამბალებოს მომზიშვაში

ძირკველი შვილი 6.დ.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

საბაზო ეკონომიკის პრინციპებიდან გამომდინარე დიდი მნიშვნელობა ენიჭება მაღალხარისხის რის პროდუქტების წარმოებას და მისი ასორტიმენტის გაზრდას. საქართველოს რის პროდუქტების წარმოების ასორტიმენტში დღემდე წარმოდგენილი არ არის დამბალხაჭო, რომელიც თავისი ორიგინალობით დიდი პო-ჰულარობით სარგებლობს. პროდუქტი თდითგანვე იწარმოებოდა საქართველოს მაღალმომანი ზონაში. შესაბამისად მისი მაფერმენტირებელი მიკროფლორა და დამზა-დების ტექნოლოგია შენარჩუნებულია მხოლოდ არსებულ რეგიონებში და ოჯახურ მეურნეობებში. აღნიშნული პროდუქტის ბიოქიმიური და მიკრობიოლოგიური შესწავლა საშუალებას მოგვცემს შევინარჩუნოთ ამ უნიკალური პროდუქტის სპეცი-ფიკური მიკროორგანიზმები და ამასთან ერთად მეწარმეებს შევთავაზოთ დამბალ-ხაჭოს საწარმოო ტექნოლოგია და სტანდარტული პროდუქტი. ვინაიდან მთიან რე-გიონებში წარმოებული დამბალხაჭო არ შეესაბამება სტანდარტებს.

დამბალხაჭოს მომწიფებაში უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებენ მიკროორგა-ნიზმები, წორედ მათზეა დამოკიდებული საბოლოო პროდუქტის ხარისხი და კვებითი ღირებულება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენი კვლევის მიზანს წარმოადგენდა შეგვესწავლა დამბალხაჭოს მომწიფებაში მონაწილე რძემუავა ბაქტერიები, აგრეთვე შეგვემშავებინა ისეთი ტექნოლოგიური პროცესები და შეგვერჩია სტარტერული კულტურები, რომელიც განაპირობებს რის ნაწარმის ბიოლოგიური ღირებულების ამაღლებას, ხანგრძლივი შენახვის ვადების უზრუნველყოფით, რაც მეტად აქტუალურია და წარმოადგენს მნიშვნელოვან სოციალურ ამოცანას.

აქვთის პროდუქტების მრეწველობისათვის მნიშვნელოვანი ლაქტობაქტერიები კარგად შესწავლილ და დახასიათებულ ჯგუფს წარმოადგენს. რძემუავა ბაქტერიების ის სახეობები, რომლებიც საზოგადო ადიარებულია, როგორც უსაფრთხო (GRAS - Generally Recognized As Safe), ფართოდ გამოყენება სხვადასხვა ტიპის პროდუქტების წარმოებაში: ფერმენტირებული რის პროდუქტების წარმოებისას, ხორცისა და თევ-ზის მრეწველობაში, ბოსტნებულის და ხილის ბიოლოგიური კონსერვაციის დროს. აგრეთვე პერსპექტიული აღმოჩნდა ლაქტობაქტერიებისა და მათ მიერ სინთეზი-რებული ბაქტერიოლოგიების საწარმო გამოყენება ბიოპრეზერვატორების (ბიოკონსერ-ვანტების) სახით [1,2].

რძემუავა ბაქტერიების რიცხვს ეკუთვნის გრამ-დადებითი, ანაერობული ან მიკროაეროფილური, მეავატოლერანტული მიკროორგანიზმები, რომელთაც ნახშირ-წყლების ფერმენტაციის შედეგად რძემუავის წარმოქმნის უნარი შესწევთ.

რძემუავა ბაქტერიები რძემუავს წარმოქმნის შედეგად იწვევენ რის შემადგენ-ლობაზე და ხარისხზე [3].

რძემაჟავა ბაქტერიების ჯგუფის მაღალი ჰეტეროგენურობის გამო მათი კლასიფიკაცია დღემდე ინტენსიური შესწავლის ობიექტს წარმოადგენს. უკანასკნელი მონაცემების მიხედვით ამ ჯგუფში გაერთიანებულია 10 გვარი: *Lactobacillus, Lactococcus, Streptococcus, Enterococcus, Leuconostoc, Pediococcus, Tetragenococcus, Vagococcus, Carnobacterium, Aerococcus*. ათივე გვარი ბერგის სისტემატიკის სახელმძღვანელოს თანახმად ბაქტერიების II კატეგორიას ანუ უჯრედული კედლის მქონე გრამ-დადებით ეუბაქტერიებს მიეცუთვნება [4].

ექსპერიმენტული ნაწილი. ჩვენ მიერ ჩატარებულ ცდებში შევეცადეთ გამოგვე-ებინა ადგილობრივი ნედლეული. აქვთ გამომდინარე, საწყის ეტაპზე შევის-წავლეთ რძე, რომელსაც სასურსათო პროდუქტებს შორის განსაბუთოებული ადგილი უჭირავს და გააჩნია მაღალი კვებითი და ბიოლოგიური ფასეულობები. შესაბამისად მასში შემავალი ინგრედიენტების გამოყენება ფერმენტირებულ რის პროდუქტებში

უზრუნველყოფს მისი მნიშვნელოვანი კომპონენტების შენარჩუნებას და ხდის მათ ხელმისაწვდომს მთელი წლის განმავლობაში.

ცხრილი 1. რძის ქიმიური შედგენილობა %-ობით

ცხოველი	ცხიმი	კაზეინი	ლაქტოზა	ალბუმინი	ნაცარი	წყალი
ძროხა	3,75	3,0	4,75	0,4	0,75	87,3
თხა	6,0	3,3	4,6	0,7	0,84	84,5
კამები	6,0	3,8	4,5	0,7	0,75	85

ტექნოლოგიური პროცესის დასრულების შემდეგ დასამუშავებელი რძის ხარისხი იცვლება, მასში მიმდინარე მთელი რიგი პროცესების შედეგად და ხდება საჭირო ნედლეულის ფიზიკურ-ქიმიური თვისებების და ქიმიური შედგენილობის ცვლილება.

ნორმალიზაციის შემდეგ მივიღეთ რძე 2,8% ცხიმის შემცველობით, რომელსაც ჰომოგენიზაცია გაუკეთდა 50°C -ზე, ცხიმის მთლიან მასაში თანაბრად განაწილებისთვის, ხოლო მიკროფლორის მოსპობის მიზნით ჩაუტარდა პასტერიზაცია $75 - 76^{\circ}\text{C}$ ტემპერატურაზე, 20 – 25 წამის განმავლობაში.

პასტერიზაციის დამთავრების შემდეგ 35 0ჩ ტემპერატურამდე გაციებულ რძეში შევიტანეთ თერმოფილური კულტურა და დავაყოვნეთ 12 საათის განმავლობაში შესაფერდებლად.

ცხრილი 2. ექსპერიმენტისთვის გამოყენებული რძის ქიმიური შედგენილობა

ცხიმი	2,8 %
ცილა	3,0 %
სიმკვრივე	1,030 გგ/მ ³
pH	6,70
T ⁰	17,5 ⁰
მშრალი ნარჩენი	11,43 %

ექსპერიმენტისთვის ხაჭოს მომზადება მოხდა ტრადიციული მეთოდით, რომლისთვისაც გამოვიყენეთ წინასწარ შერჩეული თერმოფილური კულტურა და დამუშავებული ნედლეული.

ფერმენტაციის პროცესში მუდმივად კონტროლდებოდა pH-ის და ტიტრული მჟავიანობის კონტროლი. მიღებული მზა ნარჩენის ხარშვა და მარცვლის გამოშრობა დაიწყო მას შემდეგ, რაც მასში უვიანობამ მიაღწია 108° ტერმეტრს, ხოლო pH-5,0-ს.

ბაქტერიოლოგიური კვლევისთვის შერჩეული ნიმუშები მოვათავსეთ მაცივარში და ვინახავდით 4°C ტემპერატურაზე 30 დღის განმავლობაში.

მეთოდიკის განსაზღვრული პირობების შესაბამისად ჩავატარეთ მიკრობიოლოგიური კვლევა დამზადებიდან მე-10, მე-20 და 30-ე დღეს.

მზა ნაწარმში რძემჟავა ბაქტერიების საერთო რაოდენობის განსაზღვრას ვადგენდით ზედაპირზე ჩათესვის მეთოდის გამოყენებით [5,6].

შედეგები. რძემჟავა ბაქტერიებით ფერმენტაცია, რომლის გამოყენებაც ხდებოდა დამბალხაჭოს მომზადებისას არის ყველაზე უფრო ეფექტური მეთოდი, რომელიც საშუალებას გვაძლევს გავაუმჯობესოთ საბოლოო პროდუქტის ტექსტურა, არომატი და გემური თვისებები. სწორედ რძემჟავა ბაქტერიების (LAB) ფიზიოლოგიური მახასიათებლების შესწავლა საშუალებას გვაძლევს გამოვიყენოთ ტრადეციული სტარტერული კულტურა თანამედროვე ტექნოლოგიის განვითარებისათვის.

მე-3 ცხრილში მოცემულია დამბალხაჭოს წარმოებისთვის მნიშვნელოვანი ბაქტერიული გვარების შესწავლით ფიზიოლოგიური მახასიათებლები. მხოლოდ 4 გვარი მონაწილეობს დამბალხაჭოს ფერმენტაციის პროცესში: *Lactobacillus*, *Lactococcus*, *Enterococcus*, *Streptococcus*.

ცხრილი 3. რძემჟავა ბაქტერიების ფიზიოლოგიური მახასიათებლები

მახასიათებლები	<i>Lactobacillus</i>	<i>Enterococcus</i>	<i>Lactococcus</i>	<i>Streptococcus</i>
ზრდა 10 °C	+/-	-	-	+/-
ზრდა 45 °C	+/-	+	+	+/-
ზრდა 6,5% NaCl	+/-	+	-	-
ზრდა 18% NaCl	-	+	-	+/-
ზრდა pH 4,4	+/-	-	-	+/-
ზრდა pH 9,6	-	+	+/-	+/-
რძემჟავას სახ.	D, L, DL	L	L	L

ზემოთ ჩამოთვლილი რძემჟავა ბაქტერიები აღმოჩენილია პროდუქტის მომწიფების ეტაპზე, რომელიც ხელს უწყობს გემოს და არომატის ჩამოყალიბებას, რაც გამოწვეულია რძემჟავა ბაქტერიების მიერ წარმოქმნილი მრავალი ფერმენტის მოქმედებით.

ცილის მომწიფობის პერიოდი იყოფა კაზინის დაშლით პერიოდებამდე და ამონიუმჟავებამდე. რომელსაც ადგილი აქვს მომწიფების დროს და რძემჟავის ბაქტიერები მასში მნიშვნელოვან როლს ასრულებენ. კაზინის პიროვლითის საწყის ნაბიჯს ასრულებს ფერმენტი ქიმოზინი და პროთეინაზები სტარტერული რძემჟავის ბაქტერიიდან, სტარტერული ობიდან და სხვა მიკრობანიზმებიდან. ტრადიციული რძის პროდუქტებიდან გამოყოფილი ეს ბაქტერიები დიდ ყურადღება იპყრობენ, როგორც პოტენციური კონსერვანტები მათი ანტაგონისტური აქტივობის გამო მრავალი პათოგენის მიმართ, რომლებიც იწვევენ საკვები პროდუქტების გაფუჭებას [7,8].

ჩატარებული სამუშაოს შედეგად ჩანს, რომ ბაქტერიული დედოს შეტანამ დადებითი გავლენა მოახდინა როგორც პროდუქტის მიკრობიოლოგიურ უსაფრთხოებაზე, ასევე, ორგანოლებრივ მახასიათებლებზე. აღმოჩენილი რძემჟავა ბაქტერიების გამოყენება ხელს შეუწყობს სტანდარტული გემოსა და არომატის შენარჩუნებას და დამბალხაჭოს წარმოების განვითარებას ქვეყანაში.

ლიტერატურა

- Ray Bibek. 1996. Fundamental food microbiology. CRC Press LLC. 516 pp.
- Stiles M.E. 1996. Biopreservation by lactic acid bacteria. Antonie van Leeuwenhoek 70: 331-345 pp.
- ГОСТ 3627-81. Молоко и молочные продукты. Методы определения хлористого натрия
- Adams R. M., Moss M.O. Food Microbiology. Third Edition, UK: The Royal Society of Chemistry., 2008, 478p.
- Harley J. P. Ed. P.Reidy. Laboratory Exercises in Microbiology. 6th ed., The McGraw Hill Higher Education., 2005, 449 pp
- Ronald M. Atlas. Handbook of microbiological media, Fourth Edition. Washington, D.C.: CRC Press Taylor & Francis Group., 2010, 2043 p.
- Jamuna M., Jeevaratnam K. Isolation and partial characterization of bacteriocins from *Pediococcus* species. Applied Microbiology and Biotechnology., 2004, 65, 4, 433–439pp.
- Хамагаева И.С., Бояринева И.В., Потапчук Н.Ю. Исследование пробиотических свойств комбинированной закваски. /Техника и технология пищевых производств., 2013, 11, 1-5

SUMMARY

THE ROLE OF LACTIC ACID BACTERIA IN MATURATION OF DAMBALKHACHO

Dzirkvelishvili N.D.

Georgian Technical University

Based on the principles of market economy, great importance is granted to the production of high quality dairy products and to increase its assortment. Dambalkhatcho, which is very popular due to its originality is still not represented in the assortment of Georgian dairy products till today. The product has been indigenously produced in the mountainous zone of Georgia. Consequently it's an enzymatic unique microflora and manufacturing technology are maintained only in existing regions and family farms. Biochemical and microbiological study of this product will allow to preserve the specific microorganisms of this unique product and at the same time offer to the entrepreneurs Dambalkhatcho's production technology and standard product. Dambalkhatcho which is produced in mountainous regions does not meet the standards but its taste properties arouses great interest in the customers.

Keywords: Dairy products, Lactic acid bacteria, Promotion of local production.

შართული მუხის (Q,iberica Stev) ნაყოფმსხმოიარობა აანკისის ხეობაში

გაგოშიძე გ.ა., სამადაშვილი მ.ე.

**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი**

ახმეტის მუნიციპალიტეტის პანკისის ხეობაში, მუხის ნაყოფმსხმოიარობა შევისწავლეთ ბაბანეურის, ბირკიანის, ღუისის და ძიბახვის ტერიტორიაზე, ზღვის დონიდან 700 მ-ის სიმაღლეზე, სამხრეთი ექსპოზიციის, 12°-დე დაქანების ფერდობზე წარმოდგენილ კორომში მუხის გაბატონებით, რომლის შემადგენლობაა 7 მხ.2რც.1იფ.+კრპ.თლ+ბლმწ., კორომის საშუალო ხნოვანებაა 180 წ. საშუალო სიმაღლე 17 მ, საშუალო დიამეტრი – 80 სმ, ნიადაგები – ტყის ყავისფერია, კარბონატული, ბუქებრივი თესლითი განახლება – არადამაკმაყოფილებელი, ტყის ტიპი – მუხის საფარით.

სანიმუშო ფართობის პარამეტრები, სადაც კვლევა ჩატარდა გაანგარიშებული იქნა დღეისათვის მიღებული მეთოდიკის შესაბამისად [1], რა დროსაც განხორციელდა 10 სმ და მეტი დიამეტრის ხეების სატაქსაციო ოღწერა და დაფიქსირებული იქნა შესაბამისი ხარისხის (მცირე, საშუალო და კარგი) ნაყოფმსხმოიარე ხეების რაოდენობა. მათგან სამოდელოდ შერჩეული იქნა ეგზემპლარები თესლმსხმოიარობის საშუალო ხარისხით, რომლებზეც ვაწარმოეთ ნაყოფების მოსავლიანობის აღრიცხვა ე.წ. სანიმუშო ტოტების მეთოდით – კერძოდ, თესლის მომწიფებამდე, კორომში წარმოდგენილ ორ-სამ ძირამდე ხეებზე მოგჭერით 1 მ სიგრძის რამდენიმე ტოტი, მათზე დავითვალეთ თესლების რაოდენობა, მიღებული ჯამი გავყავით მოჭრილი ტოტების სიგრძეთა ჯამზე და მივიღეთ საშუალო მოსავლის მაჩვენებელი ერთი გრძივი მ ზომის ტოტზე. სანიმუშო ტოტების მაჩვენებლით განვსაზღვრეთ მოსავლიანობის ხარისხი ერთ ხეზე, ორ ან სამივე ძირზე და სანიმუშო ფართობზე, რის შემდეგაც დავადგინეთ მოსავლიანობის მაჩვენებელი 1 პა-ზე [2].

გარდა აღნიშნულისა, სანიმუშო ფართობებზე გამოყოფილი სამოდელო ხეების ვარჯი დავყავით ორ ნაწილად, კერძოდ – ჩრდილოეთი და სამხრეთი ექსპოზიციებისკენ მიმართულ ნაწილებად და ხის საბურველის რამდენიმე – ქვედა, შუა და ზედა ხეებიციებად. მათში ცალ-ცალკე შევისწავლეთ თესლმსხმოიარობა და განსხვავება აღნიშნულ მაჩვენებლებს შორის როგორც ექსპოზიციების, ისე ვარჯის ვერტიკალური ნაწილების მიხედვით – როგორც რაოდენობრივად, ისე წონით.

აღნიშნულ ტერიტორიაზე გამოყოფილი სამი სამოდელო ხიდან მოპოვებული მასალა წარმოდგენილია ცხრ. 1-ში.

როგორც წარმოდგენილი ცხრილის მონაცემებიდან ჩანს, ხის ვარჯის როგორც ჩრდილოეთ, ისე სამხრეთ ნაწილში თესლმსხმოიარობის მახასიათებელი უფრო მაღალია ზედა ნაწილში, ვიდრე შუა და ქვედა ნაწილებში, ხოლო ამ ორი უკანასკნელიდან უპირატესობა შუა ნაწილში უფრო შეინიშნება ვიდრე ქვედაში. რაც შეეხება მოსავლიანობას ვარჯის სამხრეთ და ჩრდილოეთ ნაწილში, უკეთესი მაჩვენებლით ვარჯის სამხრეთ ექსპოზიციისაკენ მიმართული ნაწილი ხასიათდება, რაც პროცენტულად 63%-ს შეადგენს 37%-ზე.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, გარდა თესლმსხმოიარობის რაოდენობრივი მაჩვენებლებისა, შევისწავლეთ მუხის ნაყოფის წონითი მაჩვენებლებიც ასევე ექსპოზიციების მიხედვით, რისთვისაც თითოეული სამოდელო ხიდან ვიღებდით რკოს ნიმუშებს წონის დასადგენად. ნაყოფის საშუალო წონას ვსაზღვრავდით როგორც 1 ნაკოფის მიხედვით, ისე მათი მთელი რაოდენობისას.

მუხის ნაყოფების წონის მახასიათებლები მათი რაოდენობისა და ექსპოზიციების მიხედვით (ცხრ. 2).

ცხრილი 1. ქართული მუხის (*Q. iberica Stev.*) თესლმსმოიარობის მახასიათებლები – სამოდელო ხეების, ექსპოზიციებისა და ვარჯის გერტიკალური ნაწილების მიხედვით

ვარჯის მიმართულება და ნაწილები	სამხრეთი ჩრდილოეთი	ზედა	რკოს საშ. რაოდ. ტ-ზე (1მ-ზ). რკოს რაოდენობა (ც.) ტოტების სიგრძე (მ)	19	20	21	13	18
			რკოს რაოდენობა (ც.) ტოტების სიგრძე (მ)	18	1500	1680	585	1255
			ტოტების სიგრძე (მ)	17	75	80	45	66,7
		ქვე	რკოს საშ. რაოდ. ტ-ზე რკოს რაოდენობა (ც.) ტოტების სიგრძე (მ)	16	14	15	12	14
			რკოს რაოდენობა (ც.) ტოტების სიგრძე (მ)	15	756	1005	480	747
			ტოტების სიგრძე (მ)	14	54	67	40	53,7
	ჩრდილოეთი	ქვე	რკოს საშ. რაოდ. ტ-ზე (1მ-ზ). რკოს რაოდენობა (ც.) ტოტების სიგრძე (მ)	13	12	14	11	12
			რკოს რაოდენობა (ც.) ტოტების სიგრძე (მ)	12	612	882	429	641
			ტოტების სიგრძე (მ)	11	51	63	39	51
		ქვე	რკოს საშ. რაოდ. ტ-ზე (1მ-ზ). რკოს რაოდენობა (ც.) ტოტების სიგრძე (მ)	10	12	14	11	12
			რკოს რაოდენობა (ც.) ტოტების სიგრძე (მ)	9	900	1076	473	816
			ტოტების სიგრძე (მ)	8	75	77	43	65
	ქვე	ქვე	რკოს საშ. რაოდ. ტ-ზე (1მ-ზ). რკოს რაოდენობა (ც.) ტოტების სიგრძე (მ)	7	9	11	10	10
			რკოს რაოდენობა (ც.) ტოტების სიგრძე (მ)	6	567	682	410	553
			ტოტების სიგრძე (მ)	5	63	62	41	55,3
		ქვე	რკოს საშ. რაოდ. ტ-ზე (1მ-ზ). რკოს რაოდენობა (ც.) ტოტების სიგრძე (მ)	4	7	9	8	8
			რკოს რაოდენობა (ც.) ტოტების სიგრძე (მ)	3	294	459	320	358
			ტოტების სიგრძე (მ)	2	42	51	40	44,3
სამოდელო ხის №				1	1	2	3	საშ. ხეზე

ცხრილი №2. მუხის ნაყოფების წონის მახასიათებლები მათი რაოდენობისა და ექსპოზიციების მიხედვით

რელიეფი	საბურველების შეკრულობა	მსხმოიარე ხეების რაოდენობა 1მ-ზე	სამოდელო ხის №	მსხმოიარე სამოდელო ხე				1 პა-ზე		
				სამხრეთი ექსპოზიცია		ჩრდილოეთი ექსპოზიცია				
				ნაყოფის	ნაყოფის	ნაყოფის	ნაყოფის			
კესა, 120°-ზე	0,6	105	1	რაოდ (ც.)	წონა (კგ.)	რაოდ (ც.)	წონა (კგ.)	1 პა-ზე		
				2868	11,18	1761	6,72	-		
				3567	15,82	2219	9,33	-		
საშუალოდ			3	1494	6,32	1203	4,95	-		
				2643	11,1	1728	7,0	458955		
								1901		

როგორც ცხრილის მონაცემებიდან ჩანს, 1-პა-ზე მსხმოიარე ხეების რაოდენობა შეადგენს 105 ძირს. ოუ მხედველობაში მიეღილებთ, რომ საშუალოდ სამოდელო ხეზე 4371ც. ნაყოფია აღრიცხული, მაშინ მათი რაოდენობა 1 პა-ზე - 458955 ც-ს შეადგენს, რომელთა საერთო წონა 1901 კგ-ია. ცხრილში წარმოდგენილი მონაცემებიდან კიდევ ერთხელ ირკვევა, რომ ზოგადად თესლმსმოიარობა მეტია ვარჯის სამხრეთი ექსპოზიციის ნაწილში, ვიდრე ჩრდილოეთისაზე, როგორც რაოდენობრივად, ისე წონით, რაც ინსოლაციის უკეთესი პირობებით აიხსნება.

სანიმუშო ფართობზე ჩვენს მიერ დაფიქსირებული იქნა მუხის ნაყოფების ფორმა, ზომა და სხვა მახასიათებლებიც, რომელთა მიხედვით, რკოს ფორმა

ოვალურია, ოდნავ წაგრძელებული, საშუალო ზომით 2,8 სმ. სიგრძის და 1,1 სმ. სიგანის. 1000 ცალ რკოში საშუალოდ 650 ცალი (65%) ნაყოფი აღმოჩნდა ვარგისი – სადი, ხოლო დანარჩენი (35%) კი - განუვითარებელი, დაზიანებული და აღმოცენების უქნარო.

როგორც ჩვენ მიერ მოპოვებული მასალების ანალიზის საფუძველზე ირკვევა, ისლისსაფარიან მუხნარებში, მუხის თესლების საშუალო რაოდენობა 1 ჰა-ზე – 458955 ც-ს შეადგენს, წონით – 1901 კგ. რკოს ფორმა ოვალურია, ოდნავ წაგრძელებული, საშუალოდ სიგრძით – 2,8 სმ-დე და სიგანით – 1,1 სმ-დე, 1000 ც. ნაყოფში სადი და აღმოცენების უნარიანი აღმოჩნდა 650 ეგზემპლარი ანუ 65%, ხოლო აღმოცენების უქნარო – 350 ცალი ანუ 35%.

სანიმუშო ფართობზე, ინსოლაციის უკეთესი ხარისხის გამო მუხის ნაყოფ-მსემოიარობის ხარისხი უკეთესია ვარჯის სამხრეთ ნაწილში, ვიდრე ჩრდილოეთით და განსხვავება მათ შორის მერყეობს ნაყოფების საერთო საშუალო რაოდენობის – 53–63%-დან 47–37%-მდე.

მუხის რკოს მოსავლიანობის საშუალო მაჩვენებელი ასევე განსხვავდება ერთმანეთისაგან მცენარის ვარჯის სხვადასხვა ნაწილების მიხედვით, უკეთესი მახასიათებელი ყველა სანიმუშო ფართობის სამოდელო ხევზე, ვარჯის ზედა ნაწილში გამოვლინდა, შემდეგ – შუა ნაწილში, ხოლო შედარებით მცირედ ქვედა ნაწილში, რაც ასევე განათების უკეთესი ხარისხით აიხსნება პირველ ორ შემთხვევაში, ხოლო შედარებით უარესით – ვარჯის ქვედა ნაწილში.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ნათლად ჩანს, რომ კახეთის ქართული მუხის კორომებში მათი სწორი დაცვისა და მოვლის პირობებში, 1 ჰა-ზე საშუალოდ 1 ტონაზე მეტი ნაყოფის მიღებაა შესაძლებელი, რაც სავსებით საკმარისია მისი ბუნებრივი განახლების საუკეთესო მაჩვენებლების მისაღწევად არამხოლოდ ჩვენ მიერ შესწავლილ კორომებში, არამედ კახეთის დეგრადირებულ ტყის ეკოსისტემებში – მათი აღდგენა – განახლების სამუშაოების წარმატებით განხორციელებისათვის.

როგორც ჩვენს მიერ შესწავლილი მუხის ნაყოფსმეომიარობიდან ჩანს, ახმეტის მიდამოებში შესაძლებელია ნახვარი ტონიდან ერთ ტონამდე სათესლე მასალის მიღება, რაც მუხნარების დაცვისა და ბუნებრივი განახლების ხელშეწყობის პირობებში სრულიად საკმარისია საიმედო მოზარდის საკმარისი რაოდენობის მისაღებად.

ლიტერატურა

- გ. გაგორშიძე. ბუნებრივი თესლითი განახლების თავისებურებები საქართველოს იგლის ქაეტყიან წაბლნარებში „აგრარული მეცნიერების პრობლემები“, შრომათა კრებული ტ.30-ე თბილისი, 2005 წელი, გვ. 121-125
- თ. ჯაფარიძე, რ. ჩაგელიშვილი, რ. რუხაძე. ტყის კულტურები - თბილისი 2008, გვ. 3–295

SUMMARY

GEORGIAN OAK FRUITFULNESS IN AKHMETA DISTRICT

Gagoshidze G.A. and Samadashvili M.E.

Georgian Technical University

Iakob Gogebashvili Telavi State University

In Akhmeta municipality, we studied the fruitfulness of Georgian Oak (*Q. iberica* Stev.) in the territory of Babaneuri, Birkiani, Dusisi and Dzibakhevi. In addition, we have already studied the weight parameters of oak fruits according to their number and exposures. In conclusion, it should be mentioned that the total number of Oak fruits is 458955 pieces per hectare (1901 kilograms in total weight). 650 pieces (65%) of Oak fruits were good quality from 1000 pieces and 350 pieces (35%) were damaged.

Keywords: oak, fruitfulness.

შართული მუხის ნაყოფმსხმოიარობა შვევრ ქართლის ოზიონში

გაგოშიძე გ.ა. ქაპანაძე ი.გ.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტო

საქართველოს ტყეებში მუხნარებს ერთ-ერთი გამორჩეული ადგილი უკავიათ. წვენში გავრცელებული 7 სახეობიდან 5 ენდემია და მათ დღეს 291 ათასი ჰექტარი ფართობი უჭირავს. ძველად ქვეყნაში მუხნარებს უფრო მეტი ფართობი ეკავა, მაგრამ მის მერქანზე გაზრდილი მოთხოვნილებების გამო მუხნარის ფართობები მცირდება და ხარისხს კარგავს. ქართული მუხა (*Quercus eberica*) ქვემო ქართლში საქმაოდ დიდ ფართობზეა გავრცელებული, თუმცა ამჟამად მუხის ბუნებრივი განახლების მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელია და მუხნარების უმეტესი ნაწილი წარმოდგენილია დეგრადირებული კორომების სახით. ამ ხრივ საინტერესოა მუხის ნაყოფმსხმოიარობის შესწავლა რკოს რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლის დადგენის მიზნით.

მრავალი დაკვირვებით დამტკიცებულია, რომ სხვადასხვა რაიონში შეგროვებული თესლის წონა სხვადასხვანაირია. პროფ. ვ. ოგიევსკის მონაცემებით, ფიჭვის თესლის წონა ვაკე პირობებში მატულობს ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ, არაერთგვარვანია ასევე ზღვის დონიდან სხვადასხვა სიმაღლეზე თესლის წონა. საქართველოს პირობებში ეს საკითხი შესწავლილი იყო წიფლნარებში და ფიჭვნარებში. მუხნარებში კი აღნიშნული კვლევა ბოლო ათწლეულების მანძილზე არ ჩატარებულა.

სანიმუშო ფართობზე სატაქსაციო აღწერას ვატარებდით 10 სმ და მეტი დიამეტრის მქონე ხეებზე და ვიგებდით კარგი, საშუალო და მცირე მსხმოიარობის ხეთა რიცხვს, აქედან მოდელად ვიღებდით საშუალო მსხმოიარობის ხეს, რის მიხედვითაც ვსაზღვრავდით სამოდელო ხის თესლმსხმოიარობას ვ. ნესტეროვის მეთოდით, რომელიც შემდეგში მდგომარეობს: – თესლის მომწიფებამდე 15-20 საშუალოდ განვითარებულ ხეზე, ვიღებდით 1 მ-ის სიგრძის რამოდენიმე ტოტს და ვითვლიდი ყველა თესლს, რის გადაანგარიშებაც ხდებოდა 1 ჰა-ზე და შემდეგ ცხრილის მეშვეობით ვებულობდით კორომის თესლმსხმოიარობის ხარისხს. აღებულ სამოდელო ხის ვარჯს ვყოფდით ორ ნაწილად: ჩრდილოეთის და სამხრეთის ნაწილებად, შემდეგ მათ ვყოფდით სექციებად: ძირითად, შუა და ზედა სექციებად და მათში ცალ-ცალკე ვსაზღვრავდით თესლმსხმოიარობას. თითოეული სამოდელო ხიდან აღებულ რკოს ვწონიდით, ჯერ ერთი რკოს საშუალო წონას ვიგებდით, შემდეგ კი მთლიანი სამოდელო ხის რკოს წონას. ასევე, სანიმუშო ფართობზე ვითვლიდით 1000 რკოდან დაზიანებულების რაოდენობას, რაც თესლის ხარისხის განსაზღვრის საშუალებას გვაძლევდა. ყველა შემთხვევაში მუხნარ კორომებში ხეების როგორც სამხრეთ, ისე ჩრდილოეთ ტოტების ზედა სექციაში ვითარდება ნაყოფების მეტი რაოდენობა, ვიდრე შუა და მითუმეტეს ქვედა სექციაში, რაც უნდა აიხსნას ხის ვარჯის ზედა ნაწილების მეტი განათებით, ასევე ხეების ვარჯის სამხრეთ ექსპოზიციაზე მეტი მსხმოიარობაა, ვიდრე ჩრდილოეთ ექსპოზიციაზე. როგორც კვლევებით ირკვევა, მუხნარ კორომებში ზღვის დონიდან სხვადასხვა სიმაღლეზე თესლმსხმოიარობა ერთნაირი არ არის. ამასთანავე მუხის რკოს რაოდენობა და წონა იცვლება კორომების ხისზირებთან ერთად. როგორც ზედა, ისე ქვედა სარტყელში. ზღვის დონიდან 830 მეტრ სიმაღლეზე აღებულ სანიმუშო ფართობის ერთ მოდელზე საშუალოდ ასხია 4,691 ცალი რკო (წონით 18 კგ). ხოლო ამავე სიხშირის კორომში, რომელიც აღებულია ზღვის დონიდან 1200 მ სიმაღლეზე, საშუალოდ ასხია 2,386 ცალი რკო (წონით 7.4 კგ) ერთ სამოდელო ხეზე. ასეთივე მდგომარეობაა სხვა დანარჩენ სანიმუშო ფართობებზე. რაც უფრო ნაკლებია სიხშირე, მით მეტია მსხმოიარობა. ვაკე ადგილზე გავრცელებული მუხის კორომები უფრო კარგი მსხმოიარობით ხასიათდებიან - ვიდრე ფერდობზე. მსხმოიარობაზე გავლენას ახდენს ნიადაგები. დაბალი სიხშირის დროს 1000 ცალ რკოში უფრო მეტი

სადი რკოა, ვიდრე მაღალი სიხშირის კორომებში. მუხის რკოს წონის ირგვლივ ჩატარებულმა გამოკვლევებმა დაადასტურა, რომ სხვადასხვა წონით ხასიათდება მუხის თესლიც სხვადასხვა პირობებში.

ქვემო ქართლის რეგიონში, მუხნარ კორომებში განხორციელებული კვლევების შედეგებზე დაყრდნობით გამოვლინდა, რომ ყველა შემხვევში, 1 ჰა-ზე მიღებული მუხის რკოს წონითი მაჩვენებელი მეტია 1000 კგ-ზე და მათგან უმეტესი ნაწილი ვარგისა აღმოსაცენებლად, რის საფუძველზეც შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ბუნებრივი თუ ხელოვნური ხელისშემძლელი გარემოებების გარეშე უზრუნველყოფილი უნდა იქნეს მუხის ბუნებრივი განახლების ნორმალური მაჩვენებელი.

ლიტერატურა

1. გაგოშიძე გ. წაბლის მოსავლიანობის კვლევის შედეგები კახეთის რეგიონში. „მუხილ. და მებოსტნ. ინტ. განვით. პერსპექტ. საქართველოში“. საქ. აგრარ. უნივ-ის სამეცნ. შრ., საქ. აგრარ. უნივ. გამომც. თბილისი, 1993, გვ. 73-80.
2. ჯაფარიძე თ., ჩაგელიშვილი რ. რუხაძე რ. ტყის კულტურები. -თბილისი, 2008 წ. გვ. 5-25.
3. ჩერქეზიშვილი ტ., მუხა ძლიერების სიმბოლოა. -თბილისი, 2013 წ. <https://agronews.ge/mukha/>

SUMMARY

STUDY THE FRUITING OF GEORGIAN OAK TREE IN KVEMO KARTLI REGION

Gagoshidze G.A. and Kapanadze I.G.

Georgian Technical University

LELP National Forestry Agency

The data about the Georgia oak tree fruiting is analyzed on the territory of Kvemo Kartli region, where the sample plots with the size of 0.25 ha was taken with high, medium and low density. In all cases, in oak tree stands on the south and north sides, trees produce more fruits <https://agronews.ge/mukha/>, south sides of the tree crowns is more fruits produced than in north – which can be explained by more sunlight on the upper parts of the crown. The oak fruiting, with the changing the height from the sea level fluctuates and decreases from low to high. The fruiting is higher when the density is lower and vice versa. In all cases, the weight of the oak tree fruits obtained per 1 ha is more than 1000 kg and most of them are suitable for sprouting.

Keywords: copse, model area, exposition, section, crown, frequency, endemic.

**პათოგენისა და მცენარის საეციზიკური ურთიერთშემსრულებლისას
ზემოქმნებიარობის რჩაშენის ღინამიგა**

ყანჩაველი შ.ს.

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი

პათოგენების უმეტესობის უუნარობა, რომ დაავადოს მცენარე მოწმობს მასზე, რომ მცენარეს შეუძლია დაიცვას თავი ინფექციის პოტენციური გამომწვევისაგან. მცენარეები ასეთი პათოგენებისაგან იცავენ თავს ან არსებული ბარიერებით, ან პათოგენის შეჭრის საპასუხოდ დინამიურად წარმოქმნილი ანტიბიოტიკური ნივთიერებებით. ზოგიერთი პათოგენები კი წინააღმდეგობის გარეშე აავადებენ მოცემულ მცენარეს. ასეთმა პათოგენებმა შეიძინეს უნარი, რომ შეიჭრან თავის პატრონ მცენარეში ისე, რომ არ მოახდინონ რეაქციების ან დაცვითი საშუალებების ინდუცირება, რომლებიც ეფექტურია სხვა პათოგენების მიმართ. პათოგენის შეჭრის საპასუხოდ მცენარეთა ქსოვილების ზემგრძნობიარობის რეაქცია იწვევს უჯრედების სწრაფ კვდომას, ქსოვილების გამუქებას და ანტიმიკრობული ნივთიერებების დაგროვებას, რომლებიც უფრო სწრაფად ხდება გამძლე მცენარეებში, მიმღებიანთან შედარებით. უმეტეს შემთხვევაში კი მცენარის გამძლეობა დამოკიდებულია მისი ზემგრძნობიარობის რეაქციაზე [1-4].

სტატიაში აღწერილია ზემგრძნობიარობის ინდუქციისა და სუპრესიის ახალი ასპექტები სისტემაში: კარტოფილი – *Phytophthora infestans* და განსაზღვრულია ზემგრძნობიარობის რეაქციის დინამიკის როლი სოკოს რასათა ხარისხობრივი სპეციფიურობისათვის.

ცდები ჩატარდა სხვადასხვა გამძლეობის მქონე (10-ჯიში) კარტოფილის ტუბერებიდან ახლად აღებულ და ძველ (დასენიანებამდე, რამდენიმე საათით ადრე აღებულ) ფირფიტებზე.

დაღვინდა, რომ კარტოფილისადმი სოკოს – *P. infestans*-ის შეუთავსებადი რასები იწვევენ მისი ქსოვილების უჯრედების სწრაფ კვდომას და დაავადებული უჯრედების ეს ნაადრევი რეაქცია დაკავშირებულია პატრონ-მცენარის გამძლეობასთან. კარტოფილის ახალი ფირფიტების ქსოვილების ზედაპირულ უჯრედებს არ ააქვთ სწრაფად კვდომის უნარი შეუთავსებადი რასით დაავადებისას და ამ უნარს ისინი იძენენ ოპტიმალურ ტემპერატურაზე რამოდენიმე ხანს მათი მოთავსების შემდეგ, მაგრამ ასეთ მდგომარეობას უჯრედებმა შეიძლება მიაღწიონ ისეთ პირობებში, რომლის დროსაც ხდება ცილების სინთეზის ინციდირება. გაირკვა, რომ შეჭრილ შეუთაბსებად პათოგენზე ზემგრძნობიარედ მოქმედების უნარი შეიძლება განპირობებული იყოს რადაც სტიმულით (ზემგრძნობიარობის გამააქტივირებული ფაქტორით), რომელიც დაკავშირებულია ინფექციასთან ან რამდენიმე მექანიკურ ჭრილობასთან. ამავე დროს უჯრედის კვდომის პროცესი, რომელიც ავითარებს აღნიშნულ უნარს არა დამოკიდებული ცილის სინთეზზე.

ამრიგად, შეუთავსებადი პათოგენებით გამოწვეული პატრონ-მცენარის უჯრედების ზემგრძნობიარე კვდომა ითვლება არსებით პროცესად მისი გამძლეობისათვის, მაგრამ არ თამაშობს პირდაპირ როლს პათოგენების ზრდის დახმობაში.

კარტოფილის ტუბერების, როგორც ახალი ისე ძველი ფირფიტების დასენიანების შემთხვევაში, სხვადასხვა ჯიშებში განსხვავებულია უჯრედების კვდომის სიჩქარე. ამავე დროს დაავადებული და ნეკროზირებული უჯრედების რიცხვი ინფექციის გვიან სტადიაზე ყველა ჯიშისთვის იყო მაღალი, მაგრამ ის განსაკუთრებით მაღალი იყო ახალ ფირფიტებში, ძველთან შედარებით, ეს რიცხვი ასევე ვარირებდა ჯიშების მიხედვით. ყველა ჯიშში, როგორც ახალ ასე ძველ ფირფიტებში დასენიანებიდან 6-სთ-ის შემდეგ მკვდარი უჯრედების პროცენტსა და დასენიანებიდან 2-დღის შემდეგ გაუქმდებულ უჯრედების რიცხვს შორის აღინიშნებოდა უარყოფითი კორელაცია. ეს კი ნიშნავს, რომ ჯიშებში, რომელთაოვისაც დამახასიათებელია მაღალი სიჩქარით უჯრედების ზემგრძნობიარე კვდომა, პათოგენს შეუძლია დამკვიდრდეს მცირე რაოდენობის უჯრედებში.

განსხვავება გამძლეობაში ჯიშებს შორის და ასევე ახალ და ძველ ფირზებს შორის მნიშვნელოვან წილად განისაზღვრება უჯრედების ზემგრძნობიარე კვდომის სიჩქარით. თვითეული ჯიშის ქსოვილებში, როგორც ჩანს არის უჯრედები, რომლებიც რეაგირებენ, ან არ რეაგირებენ შეუთავსებადი პათოგენების შეჭრაზე.

თვითეული ჯიშის ფოთლებში, სადაც განისაზღვრა გამძლეობის ინტენსივობა დაავადებიდან სამი დღის შემდეგ, ლაქაში გამუქებული ეპიდერმისის უჯრედების რიცხვით, ასევე ის გარირებდა ჯიშების მიხედვით და დადგებით კორელაციას ჰქონდა ადგილი ძველ ფირფიტებში. გამძლეობის რეაქცია ფოთლებში მსგავსი იყო ძველი ფირფიტების გამძლეობის რეაქციის, რაც ასევე გვიჩვენებს გამძლეობის ინტენსივობის დამოკიდებულებას უჯრედების კვდომის სისწრაფეზე.

ცნობილია, რომ ფიტოალექსინები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ინფექციურ დაავადებათა მიმართ მცენარეთა გამძლეობაში [5,6]. სისტემაში კარტოფილი – *P. infestans* ფიტოალექსინების როლზე გამძლეობაში მიუთითებს ის ფაქტი, რომ სოკოს ინფექციური პიფის ზრდის შეზღუდვა ვლინდება იმ პერიოდში, როდესაც ფიტოალექსინების დონე ქსოვილებში მიაღწია პათოგენის მაინციბრირებელ დონეს.

მცენარეში შეჭრილი პათოგენის შეზღუდვაში ზემგრძნობიარობის როლის შესწავლისათვის გამოკვლეულ იქნა კავშირი უჯრედების ზემგრძნობიალურ კვდომასა, გამძლეობის ინტენსიობასა, ფიტოალექსინების დაგროვების დროსა და რაოდენობას შორის. ამ მიზნისათვის ვისარგებლეთ ზემოთ აღნიშნული კარტოფილის ტუბერებიდან მომზადებული ფირფიტებით.

დადგინდა რომ, გამძლე ჯიშებისათვის დამახასიათებელია უჯრედების ზემგრძნობიალური კვდომის მაღალი სიჩქარე. *P. infestans*-ის შეუთავსებელი რასა იჭრება ზედაპირულ უჯრედებში, აპრესორიუმების განვითარების შემდეგ, ისევე როგორც შეთავსებადი რასა. შეჭრილი პათოგენის დამკვიდრება კარტოფილის ფირფიტებში ხდება დასენიანებიდან 3 სთ-ს შემდეგ. მიკროსკოპული დაკვირვება გვიჩვენებს, რომ სოკოს ინფექციური პიფები მიიმართებიან პირველად დაავადებული უჯრედებიდან მეზობლად მდებარე უჯრედებში ან უჯრედშორისებში დასენიანებიდან დაახლოებით 12 სთ-ს განმავლობაში. სოკოს შეუთავსებელი რასის შემთხვევაში ინფექციური პიფები არ იჭრებიან მეზობლად მდებარე უჯრედებში. კარტოფილის მაღალგამძლე ჯიშში (მესხური წითელი) დაავადებული უჯრედების დაახლოებით 80% დაიღუპა, დასენიანებიდან 6 სთ-ს შემდეგ და ფირფიტებში დამკვიდრებული პიფების 80% ლოკალიზებულია პირველად დაავადებულ უჯრედებში. ანალოგიურად პირველად დაავადებული უჯრედები დაიღუპა დასენიანებიდან 6 სთ-ს შემდეგ.

დასენიანებიდან 6 საათის შემდეგ მკვდარი უჯრედების პროცენტსა და ფიტოალექსინების დაგროვების დაწყების დროის შორის აღინიშნა მჭიდრო კორელაცია. კარტოფილის ძირითადი ფიტოალექსინი რიშიტინი გროვდება დასენიანებიდან 12 სთ-ს შემდეგ და მჭიდრო კორელაციურ დამოკიდებულებაშია დასენიანებიდან 6 სთ-ს შემდეგ მკვდარი უჯრედების პროცენტთან; ეს პროცენტი ანალოგიურია თვითეული ჯიშისათვის. კარტოფილის ფიტოალექსინების სინოზი შეიძლება წარმოებდეს ზემგრძნობიარე მკვდარი უჯრედების მეზობლად მიმდებარე ცოცხალ უჯრედებშიც, ამიტომ მკვდარ უჯრედებში და მის ირგვლივ დაგროვილი რიშიტინის რაოდენობა საკმარისია სოკოს ზრდის შეზღუდვისათვის. დასენიანებიდან 6 სთ-ს შემდეგ უჯრედების კვდომაშ შეიძლება მოახდინოს ფიტოალექსინის დაგროვება პათოგენის მაინციბრებელ დონემდე, სანამ გაივლის 12 სთ. დასენიანების შემდეგ, როდესაც ინფექციურ პიფებს აქვთ უნარი დატოვონ დაავადებული უჯრედები.

გვხვდება ისეთი უჯრედებიც, რომლებიც ნელა რეაგირებენ პათოგენზე, ამ შემთხვევაში სოკოს შეუძლია განაგრძოს ზრდა სხვა უჯრედებისაკენ ან უჯრედშორისებში, მანამ სანამ მათი პიფების ბოლოები არ შეეხება ზემგრძნობიარე რეაქტიულ უჯრედებს. რამდენადაც ნაკლებად გამძლე ჯიშების ქსოვილებს აქვთ მცირე რაოდენობის ასეთი უჯრედები, ამიტომ შეჭრილი პათოგენის მათთან კონტაქტი არ შეიძლება იყოს დიდი. ამ შემთხვევაში მკვდარი უჯრედები შემთხვევით შეიძლება იყოს დრმად ქსოვილებში, მაგრამ ინფექციის ბოლო სტადიაზე შეიძლება გამოვლინდეს გამუქებული უჯრედებიც. დაგროვილი ფიტოალექსინების რაოდენობასა და გამუქებულ უჯრედებს შორის აღინიშნება კორელაცია. მაშასადამე ინფექციის გვიან

სტადიაზე მაღალგამდლე ჯიშების ქსოვილებში მცირე რაოდენობის უჯრედებში ნაკლებად გროვდება ფიტოალექსინი, ვიდრე ნაკლებად გამძლე ჯიშების ქსოვილებში. მაგრამ დასენიანებიდან მე-2 და მე-3 დღეს გამუქებულ უჯრედების პროცენტსა და ფიტოალექსინების რაოდენობას შორის კორელაცია ქრება.

კვლევის შედეგების საფუძველზე შეიძლება ვთქათ, რომ ინდუცირებული ფიტოალექსინის რაოდენობა, რომელიც საკმარისია პათოგენის ლოკალიზაციისათვის, დამოკიდებულია ზემორმნობიარობის რეაქციაზე.

უჯრედის კვდომის პროცესი ხასიათდება შეჭრილი პიფის ირგვლივ ციტოპლაზმის აგრეგაციით, მისი მოძრაობის შეწყვეტით და მემბრანის გამჭოლვადობის ცვლილებით. უნდა აღინიშნოს, რომ ინფექციური პიფის ზედაპირსა და ციტოპლაზმაზე მემბრანას შორის ურთიერთქმედება წარმოადგენს ძირითად რეაქციას, რომელსაც მივყავართ უჯრედის კვდომამდე. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ *P.infestans*-ის პიფის კედლების ზოგიერთი კომპონენტები წარმოადგენებ კარტოფილის ქსოვილებში ფიტოალექსინების წარმოქმნის ინდუქტორებს.

კარტოფილის ტუბერების ქსოვილებიდან იზოლირებული პაროტოპლასტი რეაგირებას ახდენს *P.infestans*-ის ინფექციური პიფის კედლის აღნიშნულ კომპონენტებზე, რითაც ციტოპლაზმის აგრეგაცია მსგავსია შეუთავსებადი რასით დასენიანობისას უჯრედის ზემორმნობიალური კვდომის. რეაქტიული პროტოპლასტერის განსაზღვრული პროცენტი იცვლება ჯიშების მიხედვით. თვითეულ ჯიშს აქვს რეაქტიული და არარეაქტიული პროტოპლასტების განსაზღვრული პროცენტი.

დადგინდა, რომ გამოცდილ ყველა ჯიშში არსებობს მჭიდრო კორელაცია რეაქტიული უჯრედების რიცხოვნობასა და იმ პროტოპლასტების რაოდენობას შორის, რომლებიც რეაგირებენ პიფის კედლის კომპონენტებზე. პროტოპლასტები აქტიურად რეაგირებენ იმ არაპათოგენური სოკოების პიფის კომპონენტებზე, რომელთაც ცელულოზა ძირითადად აქვთ უჯრედის კედლებში და ეს რეაგირება იწვევს ქსოვილების გამუქებას.

ამრიგად, იზოლირებული პროტოპლასტების რეაქცია პიფის კომპონენტებზე, როგორც ჩანს იდენტურია უჯრედის ზემორმნობიალური კვდომის, რომელიც დასენიანებულია შეუთავსებადი რასით. ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ უჯრედის ზემორმნობიალური კვდომა – ეს არის პატრონ-მცენარის უჯრედების ცნობადობის რეაქციის შედეგი შეჭრილი პათოგენის კომპონენტების მიმართ. ცნობადობას ბიძგი შეიძლება მისცეს მცენარის უჯრედის მემბრანის კომპონენტებსა და პათოგენის კომპონენტებს შორის რეაქციამ.

P.infestans-მა შეიძლება ხშირად დაავადოს ისეთი მცენარეები, რომლებიც არ იცვლება მის პატრონ-მცენარედ და მასში იწვევს ისეთივე ზეგრძნობიარობის რეაქციას, როგორც გამძლე მცენარეებში. ეს მონაცემები გვიჩვენებენ, რომ მრავალ მცენარეს აქვს უნარი ზემორმნობიალურად იმოქმედოს პათოგენური სოკოების კონკრეტულ კომპონენტებზე.

P.infestans-ის შეთავსებადი რასის შემთხვევაში მცენარეში არ გვხვდება გამდლეობის საპასუხო დინამიური რეაქცია და სოკო ადვილად იჭრება მის უჯრედებში. ეს უკანასკნელი შეთავსებადი რასით დასენიანებისას ძლებს რამოდენიმე დღის განმავლობაში. ამრიგად, *P.infestans*-ის შეთავსებად რასებს შეუძლიათ „თანაცხოვრება“ პატრონ-მცენარის ქსოვილებთან, რომელთაც აქვთ პათოგენის როგორც შეთავსებადი ასევე შეუთავსებადი რასების ცნობადობის უნარი, მათზე ზემორმნობიალურად რეაგირება და ფიტოალექსინების დაგროვება. შეთავსებადი რასებით დაავადებისას ინფექციის ადრეულ სტადიაზე ხდება ზემორმნობიარობის რეაქციის დაშობა და შემდგომ უკვე შეუთავსებადი რასით დასენიანებისას ადგილი აქვს ფიტოალექსინების დაგროვებას.

როგორც ცდებმა გვიჩვენა პათოგენის ზოგიერთი ნივთიერებები მიმღებიან მცენარეებში იწვევენ ზემორმნობიარობის რეაქციის დაჭვებითებას, მაგრამ ისინი ტოქსიკურად არ მოქმედებენ მცენარის ქსოვილლებზე. შეთავსებადი რასის კომპონენტები (ნივთიერებები) უფრო მეტად აქტიურია ვიდრე შეუთავსებადის, მიუხედავად

ამისა შეუძლებელია განსაზღვროს პათოგენის სპეციფიურობა თუ რაზეა დამოკიდებული, მათ თვისობრივ თუ რაოდენობრივ ხასიათზე.

დადგინდა, რომ *P.infestans*-თვის დამახასიათებელია ისეთი შემადგენელი კომპონენტები (ნივთიერებები), როგორიცაა გლუკანები, რომლებიც იწვევეს კარტოფილის ზემგრძნობიარობის რეაქციის ინპიბირებას. 1,2,3, და 4 რასების გლუკანები, რომელთა მიმართაც მიმღებიანია ცდაში მყოფი კარტოფილის ყველა ჯიშები, იწვევს ამ უკანასკნელთა პროტოპლასტების ზემგრძნობიანობის რეაქციის უფასებული ინპიბირებას. ინპიბირების ეფექტი დამოკიდებულია გლუკონების კონცენტრაციაზე. აღსანიშნავია, რომ პროტოპლასტებში გლუკანები რაიმე ცვლილებას არ იწვევს.

ამრიგად, გლუკანებს, რომელთაც შეუძლიათ კარტოფილის ზემგრძნობიარობის რეაქციის ინპიბირება, შეუძლიათ იმოქმედონ, როგორც რასათა სპეციფიურობის დეტერმინანტები ფიტოფაზის დროს. გლუკანებით დამუშავებულ ქსოვილებში ფიტოალექსინების წარმოქმნის ინპიბირება დაკავშირებულია უფრო მეტად უჯრედების არკვდომასთან, ვიდრე პირდაპირი გზით ფიტოალექსინების სინთეზზე ზემოქმედებასთან. გლუკონების მოქმედება პროტოპლასტებზე შეიძლება შესამნევი იქნება მხოლოდ 15 წუთის განმავლობაში, ზემგრძნობიარობის რეაქციის ინდუქციამდე. როგორც გლუკონებზე ასევე სხვა კომპონენტებზე მცენარის რეაგირებას შეიძლება ადგილი პქონდეს ძირითადად პროტოპლასტების ზედაპირზე.

ზემგრძნობიარობის რეაქციის წარმოქმნით ან გაქრობით შეიძლება განისაზღვროს თუ როგორია კარტოფილის ქსოვილების რეაგირება ინფექციაზე-ზეთაგებადი თუ შეუთავსებადი. უჯრედების ზემგრძნობიალური კვდომა გამოწვეულია არასპეციფიურად თვითეული რასის ინფექციური პიფის კომპონენტებით. ამ უკანასკნელთა გამოსავლენად და ფიტოალექსინების სინთეზისათვის აუცილებელი ფიზიოლოგიური და ბიოქიმიური სისტემები არსებობს კარტოფილის თვითეული ჯიშისათვის გამდლეობის გენებისაგან დამოუკიდებლად.

დადგინდა, რომ პათოგენეზის პროცესში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს იმას წარმოებს თუ არა დაავალების კვალდაკვალ უჯრედების ზემგრძნობიალური კვდომა. უჯრედების კვდომა წარმოადგენს მასში შექრილი პათოგენის ზოგიერთ მოლეკულებისა და მცენარის ციტოპლაზმატური მებრანის მოლეკულების ურთიერთობის შედეგა. უჯრედების კვდომის გამომწვევი პათოგენის კომპონენტების ცნობადობა ხდება პატრონ-მცენარის უჯრედების მიერ. ამ უკანასკნელთა დროული კვდომა, რომელიც ხდება პათოგენის შექრის შემდეგ, აქტიურად ზღუდავს მის გადადგილებას უჯრედებში, ფიტოალექსინების დაგროვების ხარჯზე. პათოგენისა და მცენარის შეთავსებადი ურთიერთქმედების უჯრედების ზემგრძნობიალური კვდომა ხდება იმგვარად, რომ პატრონ-მცენარის არც ერთი საპასუხო რეაქცია არ წარმოადგენს გამდლეობის რეაქციას.

ცდაში მყოფი ყველა ჯიშის კარტოფილის ქსოვილები შეიცავენ განსაზღვრული პროპორციით ზემგრძნობიარე რეაქტიულ და ნაკლებად ან საერთოდ არარეაქტიულ უჯრედებს, *P.infestans*-დან გამდლეობის გენებისაგან დამოუკიდებლად. ქსოვილებში ზემგრძნობიარე რეაქტიული უჯრედების არსებობა წარმოადგენს მნიშვნელოვან ფაქტორს გამდლეობის ინტენსივობის განსაზღვრისათვის.

როგორც ჩანს კარტოფილის უჯრედები ფლობენ, როგორც პათოგენების ასევე არაპათოგენების ზოგიერთი კომპონენტების ცნობადობის სპეციფიურ უნარს და ეს იწვევს გამდლეობის რეაქციას იმისგან დამოუკიდებლად არსებობენ თუ არა გამდლეობის გენები *P.infestans*-ის მიმართ. მაშასადამე გამდლეობის გენები *P.infestans*-ის მიმართ შეიძლება დიდად იყოს დამოკიდებული ზემგრძნობიარობის მაინდუცირებელ და მაინპიბირებელ ფაქტორებთან. ე.ი. რასათა სპეციფიურობა კარტოფილის ფიტოფაზის დროს შესაძლებელია ძირითადად განისაზღვროს ზემგრძნობიარობის მაინპიბირებელი ფაქტორებით.

არსებობს შემთხვევები, როდესაც შეთავსებადი პათოგენები არ შეიცავენ ისეთ კომპონენტებს, რომლებიც შეიცნობა პატრონ-მცენარის უჯრედების მიერ და ამიტომ არ ხდება ფიტოალექსინების წარმოქმნა. პათოგენის სპეციფიური ტოქსინები მოქმედებენ, როგორც პატრონ-მცენარის გამდლეობის რეაქციის მაინპიბირებელი, ამიტომ ისინი მოქმედებენ, როგორც პათოგენობის დეტერმინანტები.

მცენარისთვის, როგორც ჩანს დამახასიათებელია ინფექციური დაავადებებისა-გან დაცვის მემკვიდრეული სისტემა. პათოგენებმა თავის მხრივ შეიძინეს უნარი – შეიჭრან განსაზღვრულ პატრონ-მცენარის ქსოვილში, ისე რომ არ გამოიწვიონ გამდლეობის ეფექტური რეაქციები ან შეაჩერონ პატრონ-მცენარის გამდლეობის რეაქციები. შეიძლება ითქვას, რომ ყველა კომბინაცია პატრონ-მცენარე – პათოგენი ფლობს ინდივიდუალურ ტაქტიკას, რითაც შეიძლება მცენარის ქსოვილების დაცვითი რეაქციის ინდუცირება ან ინპიბირება პათოგენების სხვადასხვა ეტაპზე. სისტემა კარტოფილი – *P.infestans* გვიჩვენებს პატრონ-მცენარის უჯრედის ზემგრძნობიარობის რეაქციის ადგვრას ან გაქრობის როლს რასების სპეციფიურობის განსაზღვრისათვის.

ლიტერატურა

1. Канчавели Ш.С. Сверхчувствительность как фактор иммунитета растений. // Georgian Engineering News. 2016, № 3, сс. 83-85.
2. Doke N., Garas., Kyc J. Effect of host hypersensitivity of suppressors released during the germination of phytophthora infestans cystospores. – Phytopathology, 1980, 70, pp. 35-39.
3. Doke N., Tomiyama K. Effect of high molecular substances released from zoospores of phytophthora infestans on hypersensitive response of potato tubers. – Phytopathology.Z. 1977, 90, pp. 236-242.
4. Doke N., Tomiyama K. Suppression of the hypersensitive response of potato tuber protoplasts to hyphal wall components by water soluble glucans isolated from phytophthora infestans. – Physiol. Plant Pathol. 1980, 16, pp. 177-186.
5. ყანხაველი შ.ს., ბადათურია მ.ა. ფიტოალექსინები, როგორც ხეხილის ტრაქომიკოზული ხმობისადმი გამდლეობის ერთ-ერთი მაჩვენებელი. //სულხან-საბა თრბელიანის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის პერიოდული სამეცნიერო ჟურნალი „პრომეთე“, 2005, 6 (18).
6. Keen N., Legrand M. Surface glycoproteins: evidence that they may function as the race – specific phytoalexin elicitors of phytophthora megasperma f. sp. glycinea. – Physiol. Plant Pathol. 1980, 17, pp. 175-192.

SUMMARY

DYNAMICS OF HYPERSENSITIVITY REACTION OF PATHOGEN AND PLANT DURING SPECIFIC INTERACTION

Kanchaveli Sh.S.

Scientific Research Centre of Georgian Ministry of Agriculture

Steadiness of different species of potato towards Phytophthora infestans greatly depends on hypersensitivity reaction of plant cells. Plant and pathogen incompatibility is determined by the timely death of cells and timely accumulation of phytoaleksins. The difference in steadiness among species is connected with the number of hypersensitive cells in tissues of each species. The incompatibility between the pathogen and plants is caused by the inhibition of the hypersensitivity reaction by specific substances released by the appearance of hypersensitivity reaction and its disappearance is an important factor and it also determines the specification of races.

Keywords: potato, pathogen, phytoaleksin.

ИММУНИЗАЦИЯ РАСТЕНИЙ ПРОТИВ ГРИБНЫХ И БАКТЕРИАЛЬНЫХ БОЛЕЗНЕЙ

Канчавели Ш.С., Павлиашвили К.М

Научно исследовательский центр Министерства сельского хозяйства Грузии
Грузинский Технический Университет

Сообщения об иммунизации растений против болезни с помощью заражения вызывающим её патогеном, непотагенными для сорта расами возбудителей, патогенами других видов и, реже, метаболитами возбудителей имеют по меньшей мере 150 – летнюю историю. Однако недавно обоснованность иммунизации растений была установлена экспериментально, а с её установлением началось прогрессирующее изучение молекулярных механизмов, ответственных за это явление, и возможностей её применения в борьбе с болезнями.

Целый ряд авторов [1-3] установили возможность иммунизации растений против заболеваний, вызванных грибами. А так же установлено, что тыквенные культуры можно иммунизировать против грибных бактериальных и вирусных заболеваний путём заражения грибами, бактериями или вирусами [4].

С иммунизацией связано появление макро и микроскопических некрозов, вызванных возбудителем, однако не все типы некрозов приводят к иммунизации. Механические повреждения, вызванные химическими веществами, сухим льдом или грибными и растительными экстрактами, не дают системных иммунизаций тиквенных. Заражение грибом *Colletotrichum lagenarium* проедохраняет огурец от реакции сверхчувствительности, вызываемой *Phitophthora infestans* – непатогенным для этого растения грибом. Однако же инокуляция *P. Infestans*-ом не обеспечивает защиты огурца от поражения *C. Lagenarium*-ом.

Удаление первого настоящего листа (лист-индуктор) через 72-96 ч. После заражения грибами или бактериями не ослабляет иммунизацию листьев, расположенных выше места её индуцирования. Точно так же удаление листьев, расположенных выше листа-индуктора, после приблизительно равного лаг-периода не ослабляет иммунизацию удалённых листьев. Если с иммунизационного растения удалить листья, а также пазушную почку, расположенную в месте соединения черешка и стебля, то листья могут дать корешки, и растеньца будет иммунизирована.

Сигнал иммунизации в тиквенных передаётся при прививке и не обладает сортовой, родовой или видовой специфичностью. Эксперименты с прививкой позволяют предположить, что в точке индукции образуется какой-то химический сигнал, который передается в другие ткани и обуславливает их устойчивость. Для листовых патогенов эффект иммунизации выражен сильнее над листом- индуктором, чем под ним.

Тем не менее, заражая листья, можно иммунизировать корни. Кольцевание черешка листа-индуктора предупреждало иммунизацию расположенных выше и ниже него частей растения. Кольцевание черешков листьев, используемых в дальнейшем для вторичною заражения, при интактном черешке листа-индуктора предупреждало иммунизацию только в листьях для вторичного заражения. Кольцевание почти полностью прекращает движение сахарозы из листа-индуктора, позволяя предполагать, что его влияние на иммунизацию определяется нарушением передвижения веществ во флоэме. Эти данные вместе с результатами экспериментов по передаче иммунизирующего фактора через прививку и сохранение иммунизации после удаления листа-индуктора служат четким доказательством того, что индукция- это результат сигнала, передаваемого из листа-индуктора. Однако постоянная подача сигнала не обязательна, и ткани, однажды получившие его требуют листа-индуктора для иммунизации.

Заражение первого настоящего листа огурца грибом *C. lagenarium* и последующая (через 2-3 недели) повторная инокуляция этим грибом иммунизирует растения огурца против заболеваний, вызываемых *C. lagenarium*, *Cladosporium cicutae* и *Pseudomonas lachrimans* в течение периода плодоношения. Иммунизирующее действие одной индукции продолжается в течение 4-6 недель, но без повторного заражения системная устойчивость теряется начиная с наиболее удалённых частей растения и все ближе к листу-индуктору. Однако растения огурца невозможно иммунизировать, если они вступили в фазу цветения или плодоношения.

Устранение цветочных почек до их раскрытия не продлевает период, в течение которого возможно иммунизация. Это заставляет предполагать, что «биологические часы» растения, запрограммированные на репродукцию, в выключают способность к иммунизации, но не устраниют её из уже иммунизированных тканей. Таково дополнительное доказательство, что иммунитет и сдерживание патогенов проявляют собой разные метаболические процессы.

Концентрация инокулюма, использованно для индукции, и количество некрозов, образавшихся на листе-индукторе, прямо связаны с размерами иммунизации до тех пор, пока не будет достигнута точка их насыщения. Единственный некроз, вызванный *C. Lagenarium* на листе-индукторе, иммунизирует ткани выше точки индукции. При высоких концентрациях вторичного инокулюма иммунизация, индуцированная низким уровнем инокуляционной нагрузки, будет до определённой степени ослабевать; Например, часто происходит уменьшение не числа некрозов, а их размеров. Иногда высокие концентрации инокулюма *C. Lagenarium* вызывают образование системных симптомов на растениях. Это явление не наблюдалось на иммунизированных растениях. Сокращение размеров системного заболевания при иммунизации через листья также доказано на примере растений, повторно зараженных бактерией *Erwinia tracheiphila*.

Установлено, что иммунизация через листья эффективна против *C. Lagenarium* или *C. Cuscuterinum*, нанесенных на поверхность листьев или инфильтрованных в них. Она ослабляет размножение *Pseudomonas lachrimans* и эффективна против увядания, вызванного корневым патогеном. *Fusarium oxysporum f. sp. Cuscuterinum*. Представляется невероятным, что все перечисленные явления можно объяснить только одним механизмом сдерживания.

Проникание аппресориев *C. Lagenarium* в ткани иммунизированного растения огурца заметно ослабевает, тогда как прорастание конидий не нарушается. В то же время прорастание конидий и проникание *C. Cuscuterinum* в иммунизированные ткани растений огурца остаётся без изменений. *C. Cuscuterinum* внедряется в течение 18 ч. а *C. Lagenarium*, развивающийся из толстостенных аппрессориев, требует для этого 40-60 ч.

Гистологические и химические исследования позволяют предположить, что механизмы сдерживания *C. Cuscuterinum* в иммунизированных тканях имеют общие признаки с механизмами в тканях устойчивых, неиммунизированных растений. Однако в случае *C. Lagenarium* иммунизация, видимо, активирует по крайней мере ещё один дополнительный механизм сдерживания в иммунизированных растениях по сравнению с неиммунизированными устойчивыми. Проникание осуществляется одинаково легко в устойчивых и восприимчивых растениях, но только у первых ассоциируется с реакцией типа сверхчувствительности. Иммунизация устойчивого растения ограничивает проникание и усиливает устойчивость, но не является причиной активизации сверхчувствительных реакций вокруг места проникновения у восприимчивых растений.

Иммунизация сопровождается по меньшей мере трехкратным увеличением активности пероксидазы. Она носит системный характер и отмечена у иммунизированных, не подверженных вторичному заражению тканей, удалённых от места индуктивной инокуляции. Поскольку индукция с помощью *C. Lagenarium*, *C. Cuscuterinum* и *P. Lachrimans* вызывает это увеличение, то она видимо, связана с пероксидазной активностью хозяина. При иммунизации единственное пятно некроза на листе-индукторе приводит к статистически значимому системному приросту пероксидазной активности, которая коррелирует с заметным усилением активности отдельных изоферментов. Повторное заражение *C. Lagenarium*-ом заметно повышает степень иммунизации и системное увеличение пероксидазы. Активность пероксидазы после контрольного заражения *C. Cuscuterinum* и *C. Lagenarium* возрастает скорее в иммунизированных, чем в неиммунизированных растениях, и это также связано с усилием активности некоторых изоферментов. Однако со временем общая пероксидазная активность в повторно зараженных тканях неиммунизированных растений может превысить таковую в иммунизированных. В неиммунизированных тканях активность пероксидазы часто выше, чем в иммунизированных тканях после вторичного заражения. Возможно, реакция наступает слишком поздно и вначале она слишком слаба.

Резкое усиление пероксидазной активности отмечено также в стареющих листьях огурца, причём такая ткань у неиммунизированных растений не более устойчива к *C.*

Lagenarium, чем молодые ткани. Точно так же обработка растений огурца этиленом приводит к увеличению пероксидазной активности, но не вызывает системного иммунитета.

Повышение активности пероксидазы четко совпадает с началом иммунизации и увеличением лигнификации иммунизированных растений после вторичного заражения.

У устойчивых огурцов лигнификация быстро возникает после проникновения *C. Cucumerinum* и проявляется во многих клетках вокруг места проникновения. Лигнификацию наюлюдали и у восприимчивых огурцов, зараженных этим патогеном, но реакция задерживалась до момента, когда патоген распространился в ткани, и была слабой и диффузной. Такой же процесс протекает в листьях восприимчивых огурцов, зараженных *C. Lagenarium*.

В растениях иммунизированных заражением *C. Lagenarium*, *C. Cucumerinum* и вторично зараженных *C. Cucumerinum* или *C. Lagenarium*, лигнификация идет более быстро, интенсивно и недиффузно по сравнению с неиммунизированными растениями. В иммунизированных растениях, вторично зараженных *C. Cucumerinum*, она охватывает многочисленные клетки вокруг места заражения, а в растениях, зараженных *C. Lagenarium*, выражена в местах проникновения, но особенно под аппрессориями где проникновение не происходит. Процессы лигнификации более локализованы в иммунизированных растениях, вторично зараженных *C. Lagenarium* в сравнении с *C. Cucumerinum*. После проявления лигнификации оба вида гриба растут слабо.

Установлено, что лигнификация – это механизм устойчивости к заболеванию. Она может ограничивать развитие патогенов с помощью следующих механизмов: 1. увеличения механической устойчивости стенок клетки хозяина; 2. уменьшения восприимчивости клеточных стенок хозяина к разрушению внеклеточными ферментами; 3. ограничения диффузии патотоксинов и питательных веществ; 4. подавления роста патогена в результате действия токсических предшественников лигнина или лигнификации патогена. Установлена также, что хитин как компонент клеточных стенок многих грибов может служить индуктором и матриксом для лигнификации.

Таким образом, лигнификация может создавать чрезвычайно неблагоприятные условия для грибов, например, обуславливая высокую токсичность фенольных предшественников лигнина, токсичность свободных радикалов, лигнификацию грибов, связывание грибов клеточными стенками, повышение устойчивости полисахаридов и белков клеточных стенок хозяина к действию грибных гидролаз.

Доказательство роли лигнификации как механизма сдерживания грибов в иммунизированных растениях весомо: грибы попадают в неблагоприятные условия среды, если происходит процесс лигнификации. Ограниченнное распространение системных заболеваний грибных или бактериальных – можно было бы объяснить действием лигнификации на патогены или на их внеклеточные токсины или ферменты. В иммунизированных растениях после вторичного заражения лигнификация протекает быстрее и с большой интенсивностью.

Нашиими опытами установлено, что иммунизация растений с помощью абиотических факторов, была безупречной. Для этого испытывали препорати клеточной стенки грибов и бактерий, их экстракты или внеклеточные продукты, экссудаты флоэмы, экстракты из зараженных и иммунизированных незараженных тканей. Соответствующими препоратами или экстрактами опрыскивали листья, вводили их в листовые пластинки или вносили в растения через корни, в тест-растворы помещали отдельные листья и всходы.

Установлено, что индуктор иммунизации образуется в течение довольно краткого периода после индукции, и этот или другой фактор влияет на нераскрывшиеся листья в точке роста. Нераскрытые листья в соответствующей фазе развития могут быть иммунизированы в течение 4-6 недель. Если через 3 недели провести повторное инокулирование, поражение достаточно молодых, нераскрывшихся листьев обеспечит стабильность иммунитета на весь период плодоношения. Возможность, что какое-то низкомолекулярное транслоцируемое информационное вещество служит компонентом индукции, является в высшей степени спекулятивной, но может быть доказана при наличии соответствующих данных.

Слабое заражение огурца, арбуза и дыни грибом *C. Lagenarium* защищает растения в поле от заболеваний, вызываемых при искусственном заражении высокими концентрациями патогена. В некоторых опытах некротизированная зона у иммунизированных растений сокращалась более чем на 98% в сравнении с растениями, которые не были иммунизированы.

Контрольные растения, перенесшие заражение, были защищены от антракноза, на рост и урожай иммунизация не влияла.

Надо сказать, что иммунизация не обеспечивает защиту растений от всех заболеваний. Нам не удалось иммунизировать тыквенные против мучнистой росы или использовать патоген для индукции. Большинство наших полевых опытов проведено с использованием большой инокуляционной нагрузки для определенными климатическими и почвенными условиями.

При иммунизации возможно, что в растениях развивается какой-то химический защитный барьер, который свидетельствует о безопасности растений или растительных продуктов.

Таким образом, иммунизация растений для борьбы с болезнями имеет многочисленные положительные качества, которые эффективны против грибных и аклериальных заболеваний. Иммунизация, по-видимому, зависит от активации нескольких различных механизмов и потому стабильна. Способность восприимчивых растений к иммунизации предполагает, что все растения имеют генетический потенциал устойчивости.

ЛИТЕРАТУРА

1. Yarwood C. E. Cross protection with two rust fungi. // Phytopathology, 1996, 86, pp. 115-131.
2. Müller K.O. Einige einfache Versuche zum Nachweis von Phytoalexinem. // Phytopathol Z. 1995, 27, pp. 237-254.
3. Канчавели Ш. С. Перекрестная защита Растений – Georgian Engineering News. 2015, N4, cc. 135-137.
4. Cuc J. and Richmond S. Aspects of the protection of cucumber against *Colletotrichum lagenarium* by *Colletotrichum lagenarium*. – Phytopathology, 1977, 67, pp. 533-536

SUMMARY

IMMUNIZATION OF PLANTS AGAINST FUNGUS AND BACTERIAL DISEASES.

Kanchaveli Sh.S. and Pavliashvili K.M.

Scientific Research Centre of Georgian Ministry of Agriculture

Georgian Technical University

The immunization of plants against diseases has been studied. It has been determined that during fruiting infection of first real leaf in cucumber caused by fungus *Colletotrichum lagenarium* and the second following (2-3 weeks later) inoculation immunize the plant of cucumber against the disease, caused by *C.lagenarium*, *Cladosporium cucumerinum* and *Pseudomonas lachrimans*. Concentration of inoculum, used for induction, and quantity of necrosis having been revealed on the leaf-inductor are directly connected with the doses of immunization until the saturation is reached. The immunization is accompanied by the increasing activity of peroxidase and lignifications of immunized plants after the second infection. Lignification is the mechanism of resistance to the disease. Immunization seems to be dependent on the activation of several different mechanisms and thus it reveals stability.

Keywords: plant, immunization, cucumber, lignification.

მდგრადი მინიჭებულების ხსოვნას



გარდაიცვალა ცნობილი ქართველი მეცნიერი და პედაგოგი მიხეილ გვერდწითელი.

მიხეილ გვერდწითელი დაიბადა 1951 წელს თბილისში. 1968 წელს ოქროს მედლით დაამთავრა თბილისის 55-ე საშუალო სკოლა, ხოლო 1973 წელს – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქიმიის ფაკულტეტი. 1977 წელს მოსკოვში, ელექტროქიმიის ინსტიტუტში დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია, ხოლო 1993 წელს თბილისში – სადოქტორო დისერტაცია.

1994 წლიდან მიხეილ გვერდწითელი უნივერსიტეტის პროფესორია. 1995 წელს აირჩიეს ნიუ-იორკის აკადემიის წევრად. იმავე წელს მიენიჭა სოროსის ასოცირებული პროფესორის წოდება. 2011 წელს გახდა ამერიკის ქიმიური საზოგადოების წევრი.

მიხეილ გვერდწითელი საქართველოში მათემატიკური ქიმიის სკოლის ფუძემდებელია, მისი ხელმძღვანელობით ამ სფეროში დაცულია სადოქტორო და საკანდიდატო დისერტაციები, გამოქვეყნებულია 200-ზე მეტი სტატია და მონოგრაფიები.

წლების მანძილზე, მიხეილ გვერდწითელი იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დიდი სამეცნიერო საბჭოს წევრი, ქიმიის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, ქიმიის დეპარტამენტის დირექტორი. იგი იყო უურნალის – „თსუ შრომები ქიმია“ – რედაქტორის მოადგილე, „საქართველოს ქიმიური უურნალის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი და რედაქტორის წევრი, საქართველოს უურნალისტთა ფედერაციის წევრი – გამოქვეყნებული აქვს პუბლიცისტური წერილები და კრებულები.

ბატონი მიხეილი ქიმიის დარგში პირველი საყმაწვილო ენციკლოპედიის თანაავტორია.

მ. გვერდწითელი უპირველეს ყოვლისა, ახალგაზრდა თაობის შესანიშნავი აღმზრდელი, გულისხმიერი პედაგოგი იყო, რომელიც მუდამ მხარში ედგა სტუდენტობას.

მიხეილ გვერდწითელის ხსოვნა სამუდამოდ დარჩება მეგობრების, კოლეგების, აღზრდილების გულში.

*უურნალ Georgian Engineering News-ის რედაქტორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ივ. ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

ეძღვნება ლივერი ქადაგიშვილის ხსოვნას



გარდაიცვალა საქართველოს საინჟინრო აკადემიის აკადემიკოსი ლივერი ქადაგიშვილი.

ლ. ქადაგიშვილი დაიბადა 1941 წლის 6 მაისს გურჯაანის რაიონის სოფ. ჭანდარში.

დაამთავრა გურჯაანის საშუალო სკოლა.

1962–1969 წლებში სწავლობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში კიბერნეტიკის ფაკულტეტზე.

1969 წლიდან მუშაობდა კიბერნეტიკის ინსტიტუტში უმც. მეცნიერ თანამშრომლად, წამყვან ინჟინრად, მეცნიერ თანამშრომლად, უფროს მეცნიერ თანამშრომლად.

2003 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად.

ლ. ქადაგიშვილს გამოქვეყნებული აქვს 100-ზე მეტი სამეცნიერო სტატია, 8 მონოგრაფია, მონაწილეობდა საერთაშორისო კონფერენციებში. ავტორია პოეტური და პროზაული კრებულების.

ქალბატონი ლივერის ამ ქავენიდან წასვლამ გული დასწყიტა მეგობრებსა და ახლობლებს, მისი სახელი სამუდამოდ დარჩება მათ გულებში.

უკანას ლივერი ქადაგიშვილის გარდაცვალის შემთხვევაში მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად